წელიწადი პირველი. № 2–3. ფასი 40 კაპ.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

1—15 დეკემბერი 1915 წ.

შინაარსი

1. ჩვენი დროის სურათები, პირველი კარის დასასრული, გოგია ვიმეში.
2. მგზავრის შენიშვნები, დასასრული, ხომლელისა.
3. გამახსენდა. ლექსი გორგისა.
4. ალექსი, დასასრული, ობოლი მუშისა.
5. სიცოცხლისკენ, დ. თურდოსპირელისა.
6. ბრმა და მგოსანი, ლექსი ობოლი მუშისა.
7. ნისლის ქულა, მ. რაჰვეულისა.
8. შურის ძიების სხვერპლნი, გაგძელება, გ. ებრალიძისა.
9. მოგონება, რ. საჯავახოელისა,
10. ჩემი წერილი, ლექსი, ილ. გოგიასი.
11. კრიტიკა, ხომლელისა.
12. ბიბლიოგრაფია, ხომლელისა.
13. დავიწყებული მხარე, ძველი სტუმარისა.
14. ახალი ყორნები, ჯუანშერისა.
15. თფილისის ქალაქის არჩევნები.
16. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ამბერისა.
17. შენიშვნები, კირილე წუთისოფლელისა.
18. ჭიათურის შარშანდელი და დღეინდელი მდგომარეობა, ბესარიონ ჭიათურელისა.
19. სპირიდონ მკირიშვილი, პ. ოხროგეთელისა.
20. ახალციხე, სტუმარისა.
21. ხალხის მტერი, თუ მოყვარენი, ელისე შავგულიძისა.

ქუთაისი
სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ რომანოზ ფანცხავას რედაკტორობით.
ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ.
წლიურად ჟურნალი ეღირება 5 მ., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მ., და 10 შ., თვიურად 10 შაურად.
წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.
ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მანეთი:
ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Роману Спиридоновичу Панцхава.

ცხოვრება № 2—3.

15 დეკემბერი. 1915 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ჩვენი დროის სურათები*).

(პირველი ნაწილის დასასრული).

75.

ახ, ქუთაისი... პატარძალივით
გამოწყობილა ჰაეროვანი,
ჩონგური კვნესის ნაზი ქალივით,
რიონის ბოხი გაისმის ბანი.
იქ თითქო მუდამ გაზაფხულია,
ჰაერი სავსე ყვავილის სუნით,
სავსეა გული ვნების ჟღარუნით,
მაში ოცნებაც დამარხულია,
უანგარიშოთ გამონაზოგი...
და ზოგი ოხრავს... ლექსსა წერს ზოგი...

76.

იქ საამურათ დანარნარებენ
ლამაზ-ლამაზი გოგუცანები;
იქ მიდიან და დროს ატარებენ
მოაზნაურე სალახანები;
გარდა სიტურფის მათი ტანისა,
გარდა ეშხისა ვარდისა ქორფის,
იქ ზოგჯერ ლანდიც ტრიალებს ორბის,
და ისმის კვნესა ამირანისა,
ძველათ რომ იყო — იმ გმირთა გმირის...
და ზოგი ოხრავს... ზოგიცა—ტირის...

77

შორი მთებისა თოვლიან ზოლი
ქალაქს დაცქერის, ქალაქი —ჭალებს,
სადაც იმსხვრევა რიონის ბოლი
და იმ ნამსხვრევსა მოაბჭყვიალებს;
მისი დუდუნი საიმურია,
მისი ჩხუბი, თუ მისი ბოდიში.—
იმას ყურს უგდებს ჩემი ოდიში,
იმას ყურს უგდებს კოხტა გურია,
მხარე გმირების დიდებულისა
და სიამაყის დაკარგულისა.

78

იგი ყოველთვის იყო გუშაგი
სამშობლო მხარის თავ-დადებული,
მტრებსა ხვდებოდა ლომივით შმაგი,
ანუ ვეფხვივით ჩასაფრებული.
სუ! რაღაც ისმის... მტრებია განა?!.—
გუშაგიც ელის სულ-განაბული:
მარჯვეთ უჭირავს შეყენებული
თოფი ხელში და კბილებში—დანა.
ვეფხვივით— ძგერა, ლომივით— თათი...
და ქარს მიქონდა ბურბული მათი.

79

მიქროლავს ისევ მატარებელი,
ირგვლივ ტრიალებს ცა-და-ქვეყანა,
გლეხების ქოხი, ყანა და ველი,
ღობე, ბოსტანი და ისევ ყანა.
ისმის ყვირილი გადარეული,
და სხაპა-სხუპი ელვარე ენის,
ლამაზ სახესა ყველგანა შვენის
ბაშლიყი თავზე შემოხვეული,
და რაღაც შუქი— იმედის ბწყენა,
თვალ-მიქცეული მომავლისკენა.

80

აჰა, ოდიშიც— ძველი ეგრისი...
ყური დაუგდეთ, როგორა მღერის
რუ უსახელო, შვენება მისი,
გძელი ფოთოლი სიმიდის ღერის;
როგორ გაშლილა საამოთ ველი,
როგორ გაშლილა ჭადარი მაზე.
რა სინარნარე, რა სილამაზე
საამური და გამოუთქმელი,
არ იკრიბება კვირა-დღეს ხშირათ
და არ კასკასებს ამ ხისა ძირათ.

*) იხ. „ცხოვრება", № 1.

81

აქ მიღებული უფრო ბურთია...
ივსება ველი ყმაწვილ ბიჭებით,
მზადებაა და ფართი-ფურთია
ფეხ ლამაზების ჭრელ პაჭიჭებით;
ბურთს ააგდებენ და, სანამ ისა
ზედ ასროლილი ძირს დავარდება,
გატკბობს ხტომა და შენავარდება
ლხენის, სიმარდის, სითამამისა;
იქ, სადაც ამ წამს არა იყო-რა,
დადგება უცებ ცოცხალი გორა.

82

მღელვარებს იგი, ყვირის და შხუის,
შეკრულ ჯგუფიდან გაისმის ხვნეშა.
სად არი ბურთი? არიქა, თუ ის,
მოულოდნელათ გაგორდა ქვეშა!
ერთი ფეხს წაკრავს, მეორეც ხელათ,
მესამე იგდებს იმას და, მერე—
ლხენის და ხტომის სიშვენიერე
კვლავ გაიშლება გაშლილი ველათ.
არიქა! ისევ ისმის კიჟინა
და ვიღაც ბურთით მიქროლავს წინა.

83

მირბიან მაშინ, ვით შველის ჯოგი,
მოწინავე-კი წავიდა, გაშპა;
გზას გადაუჭრის შორიდან ზოგი,
ზოგი თან მისდევს... არიქა! პა...პა...
მიკოტრიალებს ერთისა ტანი,
მეორის ზევით გადადის ყირა...
და აგრე თითქმის ყოველი კვირა
გამოცდაშია მუხლი და ჯანი,
რო ბურთი იგდონ და სასახელო,
რო გაიტანონ ბოლოშდი ლელო.

84

სახე ტურფაა ქალის, თუ ვაჟის
და საამური—მარდი თვალები,
სადაც აწყვია ნატეხი კაჟის,
რო გადმოყაროს ნაკვერჩხალები;
წელი—წვრილია, რო, როგორც სურო,
შემოგეხვიოს ტანზედა ტანი,
ტრფობა— ხატია, ძმობა—საგანი
სასახელო და სამედიდურო,
და ირგვლივ ისე ბწყინავს ბუნება,
რო გულს უნებლივ ეღუტუნება.

85

მარა ის გული გევსება დარდით,
როცა შეეყურებ ნაშთებსა ძველსა,
ზოგან ჩამალულ ტყითა ტბარდით,
ზოგან აღმართულ ციხის კედელსა,
როცა სდუმს ნაშთი დიადი წინა,
თაღი და ქვანი საგვირაშონი...
ზოგზე მოგვითხრობს დიდი სტრაბონი,
ზოგზედაც კიდევ ვინ იცის--ვინა,
ზოგს-კი მომთხრობი ჯერ ერ ყოლია
ბურავს სევდა და მელანხოლია.

86.

იქ წყემსი ზოგჯერ, ქვაზე მჯდომარე,
აღვიძებს არეს სალამურითა,
რუ უსახელო კლდიდან მხტომარე,
მორბის ჩუხჩუხით საამურითა,
და საუკუნე დუმილით ბნელით
მიათრევს ლანდებს... ეგ არი სულა.
ქვითკირი ძველი ჩამოცვინულა,
გაბზარულია შავბედის ხელით,
და გუმბათის ქვეშ ტაძრის ძველისა
არა ჰექს სიტყვა ჭყონდიდელისა.

87.

სიტყვა, რა სიტყვა, რომელი გმირის?
სად იპოვება ძალა მეხური?
ამაზე მოთქვამს, ამაზე ტირის
შენი აბაშა, შენი ტეხური,
ეგრისო ჩემო!—წარსულ გმირების
ძვალსა დადებულს, მძინარეს მინდა,
გამოღვიძება დაუგვიანდა...
და ხმები ზღვისა განაპირების,
მათი ჩოჩქოლი, ბძოლა, თუ ბგერა,
ჯერ ვერ აღვიძებს იმასა, ვერა.

88.

შავი ზღვის პირათ კოპწიაობენ
კოხტა ბათომი, ლამაზი ფოთი,

ზღვას შეცინიან და მუშაობენ,
იქ არა წყდება შრომა და შფოთი;
გააქვთ ნივთები სხვა და სხვა ფრები,
ანუ შემოაქვთ -- რა არა გინა?
ოდესამდი, თუ სტამბოლამდინა
დათრთიან ზღვაზე მათი აფრები;
იქ იკრიბება სიმდიდრე დიდი,
გასაზიდი, თუ შემონაზიდი.

89.

აღებ-მიცემის ვერ ვიტყვი ჯამსა,
არა მაქვს ცნობა . . . . . .
მწუხარე წამი მისდევდა წამსა,
გემზე ჯდებოდა ლიაძე ნიკო.
შავი ზღვის პირი, სმშობლო ჩემი,
ტურფაა მუდამ, და დარი თუა,
ცის დასავალში, ლაჟვარდის შუა,
თვალსა გიტაცებს მიმავალ გემი,
ზღვა და კამარა, შვენებით მთრთოლი,
და კვამლი ოდნათ გადანაყოლი.

90.

როცა რხევითა ჩვეულებრივით
ასტეხაგემმა ტალღებზე ქაფი,
რაღაც ფრინველებს წერტილებივით
ცის დასავალში გაებათ ძაფი,
თითქო ბუნებას შეუწყვეტია
ვერ-გამოთქმული ფიქრისა დენა,
და ამის ნიშნათ კამარის ბწყენა
იმ წერტილებით დაუჩხვლეტია...
წერტილი ბლომათ — ეს არი მხსნელი,
როცა ფიქრი გწვავს გამოუთქმელი...
„მშვიდობით! -- ნიკო ამბობდა - ბაღნარო ქვეყნის პირისა,
ძველი დიდების სამარეე, მხარეე ზღაპრების ძვირისა,
მივდივარ, გული მღელვარებს,
იგი შენზედა ტირისა,
მარა მიწვევს და ელვარებს
სიღრმე კამარის ძირისა.

—

თითქო ჩემ-წინ გაიღო ციხის დახშული კარები,
თითქო სამშობლო იქ მქონდეს, სადაც რო მივეჩქარები,
თითქო ითხოვდეს შველასა,
სდიოდეს სისხლის ღვარები...
და იქ ვეძახი ყველასა
მწვარი და გაუხარები.

—

მივდივარ, გემსა ეხვევა ლანდები ბედის წერისა
სწორეთ ის მინდა, მას ვეძებ, ვერ მიპოვნია ჯერ ისა,
მასთან საქმე არ მქონია
შეხეთქის შესაფერისა,
და მის ხარხარი მგონია
ეს ხმა ტალღათა ბგერისა.

—

რას შეგეწევი? რაღა მაქვს? თავი არ მომაქვს დიდობით,
მარა სიცოცხლეს შეგწირავ, ისევ კრძალვით ბ რიდობით.
ეჭვი ნუ შეგაქვს ამაში,
სულს არ დავამხობ ფლიდობით...
აჰა, იწყება თამაში
ბედის წერისა.... „მშვიდობით!..“

გოგია ვინმე.

მგზავრის შენიშვნები.*)

(დასასრული.)

მივედით **ნოვორასისკში** ისე, რო გზაზე არ განგვიცდია არც ქარიშხალი და ნისლი, არც ღელვა და სხვა ამგვარი საშინელება, რომელიც დაატყდება ხოლმე თავზე ზღვაში გემით მოგზაურს. ზოგიერთი ვაჟბატონები წუხდენ კიდეც, რო გზაში ასე მშვიდობიანათ სიამით მოვდიოდით და ნატრულობდენ ქარიშხალის ამოვარდნას, რომელსაც იალქნები უნდა დაეგლიჯა, ქვაბი დაეზიანებია და ჩვენც, საწყალობელი პასაჟირები ნაფოტებივით ვეთამაშებიეთ ზღვის აგორებულ დიდ ტალღებს.

მარა დიდებულმა, მშვიდათ დაწყნარებუ-

*) იხ. „ცხოვრება“, № 1.

ლმა ზღვამ არ ინება ჩვენი აშფოთება, შეწუხება და გამწარება. მან თავიდან აგვაშორა ღელვა და ქარიშხალი, რომლის მარტო ერთი ხსენება და აღწერა კაცს თავზარსა სცემს და აკანკალებს. ღმერთმა აშოროს ყველა სულდგმულს ზღვაზე ატეხილი ქარიშხალის საშინელება და ორთქმავალ გემის განსაცდელში ჩავარდნა. თუ რო თავზე ხელაღებული, ასეწოდებული, „Любители сильныхъ ощущеній“, ზოგიერთი ტრაბახა და მკვეხარა ყბედები, რომელნიც დიდი თავმოწონებით გაიძახიან, „ზღვისა არ გვეშინიაო,“ და მცირეოდენ ფურთვნის დროსაც-კი შიშის კანკალი მოსდით და ნაკრის ფერი ედებათ სახეზე, მაშ, რაღა უნდა დაემართოთ იმათ მაშინ, როცა ეს დიდებული და საშინელი ზღვა გააფთრებულ დაჭრილ ლომსავით დაიწყებს ღრიალს და დააყრუებს მთა-ბარს, მთელს არემარეს, როდესაც თავზარ დამცემი ქარიშხალი საშინელი, თითქმის წარმოუდგენელი ძლიერებით ყოველ წუთში გემს საბედისწეროთ დაეტაკება და ერთ უბრალო სათამაშო ნივთათ, ნაფოტათ გახდის. ძნელია, მეტათ ძნელი, კაცის ენამ გამოთქვას ამ დროს გემზე მსხდომთა მდგომარეობა და სასოწარკვეთილება...

რა დიდი და ღრმა აზრია გამოთქმული რუსულ ანდაზაში: „кто на морѣ небывалъ, тотъ и Богу не маливался.“

ჩვენი გემის წინ, ორი, თუ სამი დღით ადრე, ბათომიდან გასული გემი „ა. პუშკინი“, რომელსაც უნდა გავყოლოდი მეც და არ გავყევი, რათგან უკეთეს გემს ვუცდიდი, მოდგომოდა ნოვორასისკს. მარა იქიდან ეს გემი, ნავთსადგურში შესვლამდი, უცბათ მოეტაცნა საშინელ ზღვის ღელვას, რომელიც მოყვა მაშინდელ მიწის ძვრას ჩვენში და ნოვორასისკის ნარდოსტს (ძლიერი ჩრდილოეთის ქარია), ხუთი დღის შემდეგ, გაეგდო იგი ოსმალეთში, სინოპის ქალაქში.

შობის დღესასწაულებზე ქ. ეკატერინოდარში ვიყავი სტუმრათ აგრონომ გორევთან, რომელსაც თავზე დაატყდა ეს დიდი განსაცდელი და მან მიამბო ყველაფერი უბედურება, რაც მოგზაურებს გადახდომოდათ იმ დროს. თურმე, ნახშირი რომ აღარა ქონდათ, ორთქლის გამოსაწვევათ გემის ყოველივე ავეჯი დასწვეს სრულიათ, ბევრმა თავი მოიწამლა, ბევრს შიშისგან წვერ-ულვაში გაუთეთრდა და ეს ათასი სული პასაჟირი, რომელთა შორის, უეჭველია, ბევრი ატეისტიც იყო, მუხლმოდრეკილი, დაჩოქილი ევედრებოდა ღმერთს და შველას შეთხოვდა. ვიცი, რო დიდი უბედურობის დროს, ყველაზე უფრო გულრწფელი, მხურვალე მავედრებელი ღმერთისა ურწმუნო კაცი, ატესტია...

ქ. ნოვორასისკი ძევს იქვე, ზღვის პირათ. თვით ქალაქის უმთავრესი ნაწილი ბოღაზზე დაშორებულია ორი ვერსით. ნავთ-სადგურს იქვე ახლავს, ასეწოდებული, „Русскій стандартъ“, რომელიც ფრანცუცებს ქონიათ იჯარით აღებული 99 წლით ნავთის გულისთვის. მარა, რათგან ნავთი არ აღმოჩენილა, იმათ ამხანაგობა შეუდგენიათ სახლების ასაშენებლათ და ცემენტის საწარმოებლათ და იქაურობა მოუფენიათ და გაუშვენიერებიათ კოხტა სამ-სამი და ორ-ორი სართულიანი სახლებით. ზღვის ნაპირათ გაკეთებული ფართე ქუჩები კარგი სანახავია, რომელთაც ორივე მხარეზე მისდევს მდიდრულათ და ხელოვნურათ აშენებული ლამაზი სახლები. სახლების წინ, ქუჩებზე ჩაურგავთ აკაციების ნარგავები ისე, როგორც ეს ქალაქ ადესაში არი გაკეთებული. აქვეა ლადიკავკაზის რკინის გზის ლიანდაგები გაყვანილი, ვაგზალიც, აბანოები, ზავოდებიც, შავი ზღვის პირის ოლქის უფროსის სადგომი, და კანცელარია, ტელეფონა, პოლიციის და ფოსტის განყოფილებანი და დიდი, უზარმაზარი ელევატორიც. მთელი ეს ზღვის ნაპირები, ვაგზალი, ელევატორი განათებულია ელეკტრონით, რომლის სადგურიც აქვეა მოწყობილი.

მეც ამ ნაწილში ავირჩიე სასტუმრო და დავბინავდი. ნავთსადგურიდან ჩვენებური მუშა გამოვიყოლე, რომელიც დავიახლოვე და მისი მეოხებით გავიცანი თითქმის ყველა ახალგაზდა მუშები ნოვორასისკის ნავთსადგურისა, რომელნიც ჩვენი ქვეყნიდან წასულიყვენ. ბევრი

ქართული წიგნები მქონდა წაღებული და იმათ ვუფეშქაშე. ჩვენებურ მუშებთან ყოფნა და მუსაიფი ძალიან მართობდა მე, რომელსაც, იმათ გარდა, ნაცნობი იქ არავინ მყავდა. ტამოჟნაში და სასამართლოებში იყვენ ინტელიგენტი ქართველები, რომელნიც შემდეგ გავიცანი. იყო აგრეთვე ნოვორასისკში ერთი ქართველი ღვდელიც, გვარათ, ბერძენოვიაო, მითხრეს ინტელიგენტმა რუსებმა სასტუმროში. მარა იგი, თურმე, სულ ერთავად, დილიდან საღამომდი და საღამოდან დილამდი მთვრალიაო და, ამიტომ, იგი ჩემი გაცნობით მე აღარ შემიწუხებია...

თვით ქ. ნოვორასისკი, რომელიც დღეს მთელი შავი ზღვის პირის გუბერნიის მთავარ ქალაქათ ითვლება, არაფრით არ არი მაინცა-და-მაინც შესანიშნავი. აქ პირველი ქუჩა სერებრიაკოვი ქუჩა არი, რომელიც საკმაოთ გძელია და ფართოც. ორივე მხარეზე ამ ქუჩას მდიდარი მაღაზიები აქვს ჩამწკრივებული და კარგ აანახაობასაც წარმოადგენს. აქვე ახლოს პატარა სერზე არი გუბერნატორის სადგომი, ფოსტა, მთავარი პოლიცია, ეკლესია და მრავალი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულება, სასწავლებლებიც. საერთოდ—კი, საზოგადობრივი ცხოვრების მაჯის ცემა ძლიერ სუსტი და უმნიშვნელოა. აქ გაზეთი არ ისტამბება და არ გამოდის, სხვა მხრიდანაც გაზეთები ძალიან ცოტა მოდის. ნოვორასისკის ორს საუკეთესო რესტორანში გაზეთები ძალიან ცოტა არი და არც საღდება. მარტო ეს ფაკტი ამტკიცებს ნოვორასისკის „ინტელიგენტობას“.

რუსეთის შავ ზღვაზე ნოვორასისკი ისეთივე დიდი საექსპორტო პორტია, როგორც ადესა, ბათომი და ფოთია. ფოთი ჩვენებური გათქმული შავი ქვის პორტათ არი ცნობილი რუსეთსა და საზღვარ-გარეთ. ბათომი პორტია ბაქოს ნავთისა და მარგანეცისაც. მთელ კავკასიაში გათქმული მდიდარი მხარე კუბანის ოლქისა და დიდი აუზები ისეთი მდინარეებისა, როგორც დონი და ვოლგაა, თავის სიმდიდრეს—პურს აგზავნიან ნოვორასისკს და იქიდან გააქვთ საზღვარ-გარეთ. ნოვორასისკს ისეთი ძვირფასი, იშვიათი ტოპოგრაფიული მდებარეობა და ღრმა ზღვის ყურე აქვს ბუნებისგან მიცემული, რო დონის როსტოვს მან სრულიათ ხელიდან გამოსტაცა პურის მთელი აპერაცია და ნოვორასისკმა ჩაიგდო ხელში პურის მდიდარი აღებ-მიცემობა და ექსპორტი.

ნოვორასისკის, როგორც საგაჭრო პუნკტის, გავითარების ისტორია ძალიან მოკლეა. ამ თუთხმეტი, ოკი წლის წინათ ნოვორასისკი ერთი უბრალო დაბა იყო. ასე რომ, 1885 წ. ჩვენ, ორმოციოდე ქართველი ყმაწვილი, რო პირველათ ადესაში მივდიოდით, გზაზე ყოველთვის გემიდან ვხტებოდით და ყოველ თვალსაჩინო ქალაქს ვათვალიერებდით, ნოვორასისკისკენ არც-კი მიგვიხედია. მართალია, იგი მაშინ კუბანის ოლქზე იყო მიკრული და შავი ზღვის მხრის ადმინისტრატიულ ცენტრს აინც ნოვორასისკი წარმოადგენდა. მარა მალაქის სახელწოდების ღირსი მაინც არ იყო იგი.

ნოვორასისკს დღეინდელი თვისი დიდი წარმატება, სიმდიდრე და აღებ-მიცემობა სულ ერთიანა ლადიკავკაზის რკინის გზამ მიანიჭა, რომელმაც დიდათ ასწია მნიშვნელობა ამ ქალაქისა, როცა იგი შეუერთდა ტიხორეცკაია-ცარიცინის რკინის გზის ლიანდაგს და ამით მან დაუკავშირა ნოვრასისკი მთელ რუსეთის მარჩენალ და მასაზდოებელ „დედას“ — მდ. ვოლგას. როცა პირველათ ნოვორასისკს მოედვა ხმა, რო ლადიკავკაზის რკინის გზის ამხანაგობას სურს ნოვორასისკი შეუერთოს ტიხორეცკაია-ცარიცინსა—მთელი ქალაქი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა... ყველას აღტაცების ჟრუანტელმა დაუარა ტანში, ყველა გაბედნიერების სურვილით იყო გატაცებული, ყველას დიდათ შეუყვარდა სიცოცხლე და სამერმისო იმედებით აღიჭურვა.

ამ გარემოებამ, რასაკვირველია, ერთი ათად გაუცხოველა ყველას შრომის, მოქმედების ენერგია, ნიჭი ამიერიდან იქ გაშენდა დიდი აღებ-მიცემობის ქალაქი, რომლსაც, მიუცილებლათ, ყოველი მოგზაური მიაქცევს დიდსა ჯ განსაკუთრებულს ყურათღებას. ლადიკავკაზის რკინის გზის გაყვანამდი ნოვორასისკი თითქმის რუსეთზე მოწყვეტილი იყო. მას, შავი ზღვის პირათ მდებარეს, თავისთვის ღრმათ და სიამით ტკბილათ ეძინა და ამ ძილს ხანდახან, ათასში

თუ დაახწევდა თავს მაშინ, როცა მის ნაპირს ერთხელ მოადგებოდა, რუსეთის სანავოსნო საზოგადოების გემი, ისიც რამდენიმე საათის განმავლობაში და, მერე, ისევ შეჩვეულ ძილს მიცემდა თავს. აღარ აწუხებდა მას, არც თავის თავზე ზრუნვა, არც სხვა ქვეყნების ამბავი... იყო ბ იყო იგი ერთ წერტილზე უიმედოთ გაყინული...

მარა, აი, დადგა სანატრელი დროც. ლადიკავკაზის რკინის გზის ამხანაგობამ დაიწყო გზის მუშაობა. იმ წამსვე ნოვორასისკის ქალაქის ჰაობიანი ადგილები დაყვეს სამოსახლო ადგილებათ, თვალის დახამხამების უმალვე ამოაშვრეს, მოზვინეს ეს ჰაობები, მაზე შვენიერი ქვითკირის სახლები წამოდგეს, გაშენდა მცხოვრებთა კარ-მიდამო, გაიყვანეს ახალახალი ქუჩები, გააკეთეს მოედნები, ბაღები, გაიმართა სასტუმროები, რესტორანები, კომერციული კანტორები, საქონლის დასაწყობი ადგილები (სკლადები), დიდი და მდიდარი მაღაზიები და, ახლა, დღეინდელი ნოვორასისკი, რო შევუდა როთ იმას, რაც იყო ამ თუთხმეტი წლის წინათ, გასაცვიფრებელს, პირდაპირ საარაკო გასხვავებას შეამჩნევთ. და ეს სულ რკინის გზის მეოხებით მოხდა ასე.

მართალია, ნოვორასისკის მცხოვრებლებს ყველა იმედი და მოლოდინი არ გაუმართლდა. საქმე ის არი, რო ნოვორასისკს ცოტა მარცხი მოუვიდა მაშინ, როცა აქ კომერციულ პორტს აკეთებდენ. პორტის წინანდელი გეგმა შეცვალეს და იმ რთული პორტის მოთხოვნილების მაგიერათ, რომელსაც მოყვებოდა მრავალფეროვანი შენობანი და მრავლის უმრავლესი სამუშაო საქმეები, ააგეს მხოლოთ და ააშენეს ზღვის ჯბეში ორი დიდი კედელი ნავთსადგურის დასაფარავათ დიდი ღელვისა ბ ქარიშხალისგან.

მარა ინჯინერის ს. ი. კერბედზის თავგამოდებულმა ენერგიამ და ლადიკავკაზის რკინის გზის ამხანაგობის მუშაობამ მაინც მოაწყო უდიდესი და უმდიდრესი ხორბლის შესანახი ბეღლები, აგრეთვე გამართა კოლოსალური, გასაცვიფრებელი, დიადი ელევატორი ყოველგვარი ახალი ტეხნიკური გაუმჯობესობით და ზღვიდან მოსული გემების მარჯვეთ მისადგომაც საუცხოოთ მოაწყო ნოვორასისკის სადგური.

ახლა ქ. ნოვორასისკს უნდა ბათომს წაართვას ბაქოს კეროსინის ექსპორტი, რათგან ლადიკავკაზის რკინის გზამ პეტროვსკის რკინის გზის ლიანდაგით შეუერთა ბალაჯარაში კავკასიის აქეთა მხარის რკინის გზებს და პირდაპირ დერბენტზე გაატარა იგი. ამგვარათ, თუ ეს იმედებიც გაუმართლდა ნოვორასიელებს, ნოვორასისკის ხელში იქნება ვოლგის და დონის მდიდარი აუზების პურისადა ბაქოს უმდიდრესი კეროსინის მთელი საზღვარგარეთ გატანის ექსპორტის დიადი საქმე და, რა თქმა უნდა, იგი უპირველესი პორტიც გახთება მთელ რუსეთში. აქ ახლა დიდათ აყვავებულია და გავითარებულიც მრეწველობა ბ ვაჭრობა ცემენტის წარმოებისა, რომელმაც გამოიწვია ზავოდების გაკეთება გელენჯიკშიაც და ნოვორასისკი შეიქნა საგუბერნიო ქალაქიც ახლათ დაწესებულ შავი ზღვის გუბერნიისაც...

ხომლელი.

გამახსენდა.

(ლექსი აკროსტიხი).

ის, ვინც ეკლიან გზას ადგა ორმოცდაათი წელია,
ლომებ მებძოლი ამ გზაზე ნაღველ-ძიმწარის მსმელია,
ის, ვინც გაბედვით, ყოველთვის მწარე სიმართლის მთქმელია,
ათასჯერ სიტყვით და საქმით კეთილის მთესველ-მქნელია;
ბონება მთელი მუშაკი, ჩვენი ქება და დიდება,
რჩეული რჩეულთა შორის, ქართული პრესის შვენება;
ის, ვინც დევნიდა ბოროტსა, კეთილი თესვა ინება,
ბულით ვის სურდა ქვეყნისთვის ნანატრი ლხენა და შვება,
ორმოცდაათ წელს ვინცა რომ იძახდა: თავისუფლება,
რისხვა მტრებისთვის, მოყვსისთვის სპეტაკობა—ამაღლება,—
ის აღარა გვყავს!. მოგვტაცეს ცხოვრების ნაძირალებმა...
სტყორცნეს შუბლს ტყვია მგოსანსა შავტყის ულმობელ
მხეცებმა...

ძალზე დაღლილი მებძოლი არ შეიბრალეს მგელებმა...
ეცენ... დაგლიჯეს და თავი ტყეს შეაფარეს სუსტებმა..
ბმუნვა გვარგუნეს, მარა რა? მოგვიკლეს ვითომ მგოსანი?
არა, ვერ მოკლეს!.. მით შეცდენ ის სულმდაბალნი მონანი.
ვერ მოკლეს, სანამ იმეფებს პოეტის თხზულებანი,
ბეშმარიტებით აღსავსე მისი მოძღვრება-მცნებანი...
არა, ვერ მოკლეს!. მგოსანი ანათებს, როგორც სანთელი,
ვერ მოკლეს, სანამ ქართულათ სიტყვა იქნება სათქმელი...
ძეგლი აიგო მან სახლში მუდმივი და ხელთუქმნელი...
ერი თაყვანს ცემს მარადის თვის ძვირფას მოამაგესა,
სულით მდაბალთ კი, მგოსნის მკვლელთ, გაატანს ზიზღის
ტალღებსა...

გორგი

ალექსი*)

I.

(დასასრული)

ლალ-იაგუნდით მოჭედილ ცის თაღზე ნაზათ მიცურავს ბადრი მთვარე და სხივთა-ფრქვევით ციმციმებს... ხოლო ალექსი თავ-ჩაქინდრული მიდის; მწარე ფიქრები მოსვენებას არ აძლევს. აგერ, ის ჩვეულებრივათ მეზობლის ბაღში გადახტა და დალონებული გზას განაგძობს... უცებ, ვიღაცას ნაზი ხმა მოესმა.

—ალექსი!...

მან თავი აიღო და იქვე ახლოს მისი მეზობლის ასული—ცქრიალა მარინე დაინახა... გაუკვირდა.

—რას აკეთებ, მარინე, ამ ღამეში აქ?!

—შენ გიცდიდი.—მორცხვი, უმანკო ღიმილით უპასუხა მან.

—მე-ე?!

—ხ-ო...

დუმილი ჩამოვარდა... მთვარის ნათელ შუქში ისე წარმტაცათ, ისე შვენიერათ მოჩანდა სახე გაელვარებული, თავ-დახრილი მარინე, ისე ირხეოდა აჩქარებული სუნთქვით მისი ნორჩი გულ-მკერდი, რო გულ-ქვა ადიმიანსაც-კი მოხიბლავდა მისი ხილვა, ქვა გულში სისხლს აუჩუხჩუხებდა...

ალექსიც დაატკბო და წუთით წარიტაცა ამ სანახაობამ; მარა მალე გამოერკვა და მარინეს შეეკითხა:

—რა საქმე გაქვს, მარინე, ჩემთან?

—ალექსი... მთრთოლვარე ხმით დაიწყო მარინემ. მარა ველარ დაათავა, რხევით მისკენ წამოვიდა, თავი გულზე მიაყრდნო და აქვითინდა...

ალექსის მწვავემ და თან ტკბილმა ჟრჟოლამ დაურბინა ტანში, გული საშინელი სისწრაფით აუფანცქალდა და მთელი მისი არსება რაღაც ჯერ გამოუცდელი გძნობებით გაიმსჭვალა. მან მაგრათ მოხვია მარინეს ხელები და ალერსით ეუბნებოდა:

— რა მოგვიდა, მარინე? რატო ტირი? თუ რამე გაჭირს, მითხარი და შენი გულისთვის, თუ გინდა, ცეცხლში ჩავარდები, ყოველიფერს ვიზამ... მითხარი, მითხარი, გენაცვალე, რა გატირებს?

—არაფერი... მე ბედნიერი ვარ...

—აბა, რატო ღვრი ცრემლებს?

—ისე...—უპასუხა მარინემ, თავი მაღლა აიღო და თვისი შვენიერი თვალები, სიყვარულის ცეცხლით ანთებული თვალები ალექსის მიანათა. ერთხანს უცქირა, შემდეგ, უცებ აიწია, შუბლზე აკოცა, ხელებიდან დაუსხლტა და სახლისკენ გაიქცა... მარა მალე მობრუნდა, ერთ ალაგას გაშეშებულ ალექსისთან მივიდა და თავზე რაღაც გძელი გრეხილი გადაადვა. ალექსი გამოერკვა. მის სახესთან მიტანილ მარინეს ხელს ხელი წაავლო და მხურვალე კოცნა დაუწყო...

—მარინე, მე ხო გადავარდნილი, ცხოვრებას მოწყვეტილი კაცი ვარ?..

—ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი! და მიტომაც ასე ძლიერ მიყვარხარ!..

ოჰ, ჩემო, ჩემო მარინე!—წამოიძახა ალექსიმ და მარინეს თავ-დავიწყებით ჰოხვია ხელები... მარინე-კი მთელი სხეულით თრთოდა და ალექსის გულზე ეკვროდა... დიდხანს იყვენ ისინი ასე ჩაკონებული და ერთმანეთს სულში იძვრენდენ... ხოლო ღამის გუშაგი კვლავ სხივთა-ფრქვევით შიკაშკაშებდა მოციმციმე ვარსკვლავებს შორის და თვისი ნათელი სხივებით მოსავდა შეყვარებულთ...

—წადი, გენაცვალე, მშვიდობით გამყოფოს ღმერთმა!—უთხრა გამორკვეულმა მარინემ ალექსის და სახლისკენ წავიდა...

ალექსი-კი კარგა ხანს იცქირებოდა იქით, საითაც მარინე მიიმალა და, შემდეგ, ტყისკენ გაეშურა...

V.

მუქ ცაზე ვარსკვლავთ ფერი ეცვალათ, თვალები მიბჟუტეს და სადღაც შორს, თვალ უწვდენელ სივრცეში მიიმალენ... მხოლოთ ორი განთიადის მახარობელი ვარსკვლავი, დაციმცი-

*) იხ. „ცხოვრება“, № 1.

მებდა აღმოსავლეთით. მარა მალე ცისკიდური აელვარდა, ამომავალი მზის ოქროს სხივებით მოიქარგა და ამ სხივებიდან გამონაკრთობი სინათლის ლეჩაქი განთიადის მახარობელთ გადაეფარა და ნაზი სახე დაუჩრდილა.

მაღალ მთების მწვერვალებს თავზე მზის ბწყინვალე სხივებით დაწნული ოქროს გვირგვინი თავზე დაედგათ და წარმტაცათ აელვარდენ...

აგერ, რგვალ ცეცხლის ტალღებათ ამობმამაშდა მოგიზგიზე მზე და მის მონატრულ თიწასაც გაეღიმა, სიხარულის ცრემლები—დილის ცვარ-ნამი—თრთოლვა-ცახცახით აუციმციმდა გულ-მკერდზე და ორთქლათ ცად აკმევა იწყო...

შვენიერი დილით აფრთოვანებულმა ფრინველებმა დილის ხმა-ტკბილი გალობა შემოძახეს და ჟივილ-ჭიკჭიკით ჩაუქროლეს ველ მიდორს, ტყესა და მთებს...

ტყით გარე-შემორტყმულ პატარა მწვანე ველზე, ხის ძირში, გაშლილ ნაბადზე მძინარ ალექსის, რომელსაც სახე მზის თფილი სხივებით განათებოდა, ფრინველთა ჭაკჭიკი ძილში ვაესმა და გამოეღვიძა.

ის ხის ფოთლებზე ათამაშებულ ცვრებს ჩააშტერდა და მთელი მისი არსება სიყვარულის დკბილმა, ტკბილმა გძნობამ შეიპყრო და მალე ტვალ წინ გამოესახა შვენიერი, გულ-წარმტაცი თარინე...

—ოჰ, როგორ მიყვარს!—წამოიძახა მან და, შემდეგ, დილის ლოცვასავით კძალვით იმეორებდა: „ჩემო, ჩემო მარინე“... ის იგონებდა მის შეხვედრას, ყოველ მის სიტყვას, ყოველ მის მოძრაობას და ენატრებოდა, ეჩქარებოდა მალე მისი ნახვა; მთელი მისი არსება მარინესკენ ილტვოდა, ისწრაფოდა...

უცებ, მან გულზე ხელი მოისვა და ხელზე რაღაც ლითონი მოხვდა. ეს მარინეს მიერ ყელზე გადმობმული პატარა ვეცხლის ჯვარი იყო. მან სწრაფათ გადაიძრო ეს ძვირფასი ნიშანი და კოცნა დაუწყო.

...ჩემი, ჩემი მარინე... —იმეორებდა სიყვარულის ცეცხლით გულ-ანთებული ალექსი...

მარა მალე მისი გული მწარე, გულის მწველ მოგონებით შეიკუმშა: მოაგონდა მისი მდგომარეობა, მისი იმღამინდელი ფიქრები და გადაწყვეტილება ‌ეს ნეტარებაც გაქრა, ვით წუთიერი მოჩვენება.

—რა ვქნა?.. გულის კვნესით წარმოთქვა მან და ღრმათ ჩაფიქრდა...

იდგა მწუხარე ალექსი და გარშემო სიცოცხლის ფთა-გაშლილ ნავარდს თვალს ადევნებდა. ყველაფერი სიცოცხლეს—მზეს შეტრფოდა, შეხაროდა; თვით უსულო საგნებიც-კი გამსჭვალულიყვენ სიცოცხლის ძალით და იღიმებოდენ სხივ-ფრქვეულნი; ფრინველნი ხომ აფრთოვანებით შეეღადებდენ ცას, სამყაროს...

და ალექსის გულშიც ზღვასავით აბობოქრდა ეს მატყვევებელი ძალა, მანაც ხმა მაღლა წამოიძახა:

—მეც სიცოცხლე, სიცოცხლე მინდა!!

VI.

...და გადაიჩეხა ალექსი, დაკარგა მან თვისი „მზე.“ ახლა ყველას ენაზე ეკერა ალექსი კაჩაღის ცარცვა-გლეჯის ამბავი... მას აწერდენ აგრეთვე უბრალო ქურდ-ბაცაცების საზიზღარ მოქმედობასაც. თითქმის ყველა იმას გაიძახოდა, რომ ალექსი შეუბრალებელი, ყველასთვის დაუნდობელი კაცი-არისო. მარა არც ასე დაცემულა ალექსი, არც ასე ჩამქრალა მის გულში გძნობა ადამიანობისა, როგორც მასზე ამბობდენ. მართალია, იგი თვისი რწმენის წინააღმდეგ წავიდა; მართალია, მან ვერ გაუძლო ცხოვრების სისასტიკეს და მის ტალღებში გაეხვია, —მარა, ვინ იცის, თუ, რა მწველი ცეცხლი ტრიალებდა მის ტანჯულ გულში!..

ერთხელ, გულ-ჩათხრობილი, მწარე ფიქრებით გარემოცული ალექსი სოფელში მიდიოდა. უცებ მას იქვე ახლოს მდგარ ქოხიდან მწარე, გულ-ამოსკვნილი ქვითინი მემოესმა... შედგა შეძრწუნებული ალექსი... ქვითინი-კი თან და თან უფრო გულ-საკლავათ ისმოდა... მან შეუხვია სახლისკენ და, როცა კარი გამოაღო, თვალ-წინ შემდეგი სურათი წარმოუდგა: კედელთან მიდგმულ ტახტზე დაკონკილ საბანში ავათ მყოფი, თვალებ დახუჭული და სახე მჭკნარი გოგონა იწვა; ხოლო მის სასთუმალთან მჯდომარი, შავით მოსილი შვა ხნის ქალი მწარეთ ტიროდა. მას ალექსის მისვლა არც-კი გაუგია,-კელავ ქვითინებდა და მთელი სხეულით თრთოდა.

—რა ვქნა?.. გულის კვნესით წარმოთქვა მან და ღრმათ ჩაფიქრდა...

იდგა მწუხარე ალექსი და გარშემო სიცოცხლის ფთა-გაშლილ ნავარდს თვალს ადევნებდა. ყველაფერი სიცოცხლეს—მზეს შეტრფოდა, შეხაროდა; თვით უსულო საგნებიც-კი გამსჭვალულიყვენ სიცოცხლის ძალით და იღიმებოდენ სხივ-ფრქვეულნი; ფრინველნი ხომ აფრთოვანებით შეეღადებდენ ცას, სამყაროს...

და ალექსის გულშიც ზღვასავით აბობოქრდა ეს მატყვევებელი ძალა, მანაც ხმა მაღლა წამოიძახა:

—მეც სიცოცხლე, სიცოცხლე მინდა!!

VI.

...და გადაიჩეხა ალექსი, დაკარგა მან თვისი „მზე.“ ახლა ყველას ენაზე ეკერა ალექსი კაჩაღის ცარცვა-გლეჯის ამბავი... მას აწერდენ აგრეთვე უბრალო ქურდ-ბაცაცების საზიზღარ მოქმედობასაც. თითქმის ყველა იმას გაიძახოდა, რომ ალექსი შეუბრალებელი, ყველასთვის დაუნდობელი კაცი-არისო. მარა არც ასე დაცემულა ალექსი, არც ასე ჩამქრალა მის გულში გძნობა ადამიანობისა, როგორც მასზე ამბობდენ. მართალია, იგი თვისი რწმენის წინააღმდეგ წავიდა; მართალია, მან ვერ გაუძლო ცხოვრების სისასტიკეს და მის ტალღებში გაეხვია, —მარა, ვინ იცის, თუ, რა მწველი ცეცხლი ტრიალებდა მის ტანჯულ გულში!..

ერთხელ, გულ-ჩათხრობილი, მწარე ფიქრებით გარემოცული ალექსი სოფელში მიდიოდა. უცებ მას იქვე ახლოს მდგარ ქოხიდან მწარე, გულ-ამოსკვნილი ქვითინი მემოესმა... შედგა შეძრწუნებული ალექსი... ქვითინი-კი თან და თან უფრო გულ-საკლავათ ისმოდა... მან შეუხვია სახლისკენ და, როცა კარი გამოაღო, თვალ-წინ შემდეგი სურათი წარმოუდგა: კედელთან მიდგმულ ტახტზე დაკონკილ საბანში ავათ მყოფი, თვალებ დახუჭული და სახე მჭკნარი გოგონა იწვა; ხოლო მის სასთუმალთან მჯდომარი, შავით მოსილი შვა ხნის ქალი მწარეთ ტიროდა. მას ალექსის მისვლა არც-კი გაუგია,-კელავ ქვითინებდა და მთელი სხეულით თრთოდა.

—რა გატირებს, დაო?- შეეკითხა სახლში შესული ალექსი. ქალი პირველათ შეკრთა, მარა, შემდეგ, თითქო გაუხარდა, რო კაცი ნახა, რომლისთვისაც თვისი გულის ნადების გაზიარებაშეეძლო და აჩქარებით დაიწყო:

—როგორ, რა მატირებს, ბატონო? ერთი შვილის მეტი არაფერი გამაჩნია, იგი არი ჩემი იმედი და ნუგეში და ახლა იგიც მიკვდება, იგიც მეკარგება!.. ღმერთო, რა მეშველება, მე უბედურს? სადაა შენი სამართალი! თუ სიკვდილი გინდა, მე მომკალი და მე უმანკო ბაღანას ნუ წამართმევ, მე შემიწირე მის მაგიერათ!—წამოიძახა მან და კვლავ მწარეთ აქვითინდა იგი...

—დამშვიდდი დაო!.. ნუ თუ ვერავითარი წამლობა ვერ მოარჩენს შენს ქალიშვილს?

—ღმერთო, რა ვიცი! მარა, სად მაქვს, ბატონო, ფული, დოხტური რო მოვიყვანო! ერთი გროში არ გამაჩნია, რაც მქონდა და გაიყიდებოდა, ყველაფერი გავყიდე...

—ნუ გეშინია... ამის მეტი არ მაქვს და ეს ექვსი თუმანი წაიღე, ბაღანას უაქიმე...- რაღაც არეულათ უთხრა ალექსიმ, ჯიბიდან, რაც ფული ქონდა, ამოიღო, ქალს გადასცა და კარებისკენ წავიდა... ქალი გაშეშდა. ხმა ვერ ამოეღო...

ალექსი კარებთან რო მივიდა, შეჩერდა, ერთხანს რაღაცაზე ფიქრობდა, მერე მობრუნდა და ქალს მწარე ღიმილით უთხრა:

მარა არ იფიქრო, რო მე ჩემი ნაშრომი ფულით გეხმარებოდე... ეს ნაცარცვი ფულია, გესმის, ნაცარცი!.. მარა სულ ერთია, შენ მაინც გამოგადგება...

იგი უცებ შემობრუნდა და სწრაფათ გარეთ გავიდა, თითქმის გაიქცა... მანაც არ იცოდა, თუ რა ემართებოდა; მის გულში რაღაც მწარე, მწარე გძნობა დაგუბდა და გამოსავლს ვერ პოულობდა... საშინლათ იტანჯებოდა... ასე გაიარა მან რამდენიმე მანძილი და... უცებ მის ყურთან ტყვიამ გაიზუზუნა... გამოერკვა; გარშემო მიმოიხედა და კვლავ გაიელვა თოფის ცეცხლმა. არავინ ჩანს. ალექსის თოფი მზათ აქვს, მარა ვერავის ხედავს...აშკარა იყო, რო ჩასაფრებული იყვენ. იგი გადაუხტა გზიდან და უცებ თვალი მოკრა ჩაფართა უფროსს. სწრაფათ გაუსწორა თოფი. იქექა თოფმა და ჩაფართა უფროსი შეტორტმანდა, გულიდან საშინელი ხმა აღმოხდა და ძირს დაემხო... ამ დროს ერთათ იგრიალა რამდენიმე თოფმა და ალექსის თვალი დაუბნელდა, ხელიდან იარაღი გაუარდა, წაბარბაცდა და ძირს დაეცა...

VII.

...გაიღო ციხის შავი კარები, სწრაფათ ბრახუნით დაიხურა და დაკრილი, სისხლდაცლილი ალექსიც ჩანთქა ციხის ზღუდემ, ტანჯვისა და ვაების ჯოჯოხეთურ ბურუსში გახვია...

დიდხანს იწვა ალექსი ციხის საავათმყოფოში, დიდ ხანს ებძოდა საშინელ ავათმყოფობას და ხან და ხან მორჩენის იმედიც აღარ ქონდა. მარა მისმა ახალგაზდა ორგანიზმმა თვისი გაიტანა და ალექსი თან და თან გამოკეთდა, ჭრილობა მოუშუშდა და მალე საავათმყოფოდან გამოიწერა. მოუთმენლათ მოელოდა ის იმ შავბნელ საავათმყოფოდან გამოსვლას და ტანმთელ ტუსაღებში ასვლას...

მარა იქაც ის აუტანელი ტანჯვა და მწუხარება დახვდა, ისევ ის სამარისებური უსიცოცხლობა...

და, აი, პატარა, ვიწრო და კედლებ გამურულ საკანში, ხის ტახტზე წევს სახე გაყვითლებული ალექსი, თვალები მაღლა ჭერისთვის მიუპყრია და რაზე ფიქრობს, არც თვით იცის. მისი სევდა მწუხარებით დაღლილი გონება ერთ საგანზე ვერ შეჩერებულა: ხან ერთ რასმეს იგონებს, ცოტა ხნით მასზე დაფიქრება და, უცებ, სულ სხვა მოგონება, სულ სხვა სურათი გაიტაცებს. მის თავში საშინელი სისწრაფით ირევიან: დედა... ნინა... მარინე... ნიკო... ამხანაგები... კრებები... მტირალი ქალი... და უფრო ხშირათ სახე მჭკნარი, ავათმყოფი გოგონა. ამ გოგონას ის ხშირათ სიზმარშიაც ხედავს, მისი სახე არ შორდება... ხედავს აგრეთვე: ნაცნობ მიდამოს, ტყეს და ველს... და ისევ დედა, ან მარინე გამოუქროლებს გონების თვალის წინ... მისი გულის სიღრმეში კიდევ არი ჩამარხული საშინელი, სულის მკოდველი მოგონება-გძნობები და ამათ ის ყოველთვის გაურბის; ისე ეშინია მათი, ისე წვავს მის გულს ერთი წუთით მასზე ფიქრიც-კი, რო, როცა ის გძნობა გულში აიძვრის, აზვირთდება, ის მაშინვე ხელივით ზეზე წამოვარდება და საკანში იქითაქით მიმოსვლას იწყებს... საკანში-კი სულ ხუთი ბიჯის გადადგმა შეიძლება და ისე უნდა შემობრუნდეს, და ასე

ტრიალობს მანამდი, სანამ თავბრუ არ დაეს-ხმის და გონება მიხდილივით ტახტზე არ დაეშვება ..

აგერ,ახლაც წამოიჭრა ალექსი და საკან-ში სიარული დაიწყო. ორი მისი ამხანაგი, რომელიც მის საკანში არი მოთავსებული, (საკანში სულ სამი ტუსაღის ალაგია, სამი ტახტი დგას) ალექსის გზას უცლიან და თვალს ადევნებენ. იციან, რომ ახლა მასთან ლაპარაკი არ შეიძლება.

ხოლო ალექსი თან და თან სწრაფათ მიმოაბიჯებს, მისი ბორკილები-კი ჩხარუნ-წკარუნებს.

—ჩხარა-ჩხური! წკარა-წკური! ჩხარა-ჩხუ-რი!-წკარა-წკური!..

აგერ, ის დაიღალა და ტახტზე დაეშვა.. ამ დროს საკნის სარკმელს წერილების დამ რიგებელი ტუსაღი მიადგა, ალექსის გვარი დაიძახა და მის ამხანაგს კიდე ჩამოჭრილ. კონვერტიანი წერილი გადასცა. მან წერილი-ალექსის გადასცა. ალექსი წარბებ შეჭმუხვნით წამოიწია, ამხანაგს წერილი გამოართვა. გაჭრილ კონვერტიდან ქაღალდი ამოიღო, მარინეს ხელი იცნო და სულის ღელვით, გულის გაჩქარებული ფეთქით დაიწყო კითხვა...

„ჩემო ალექსი, შენ იყავი ჩემი სი-ცოცხლე, ჩემი ბედნიერება და, როცა შენი თავი გულიდან მომგლიჯეს, ჩემს გულს უ-მედობა, აუტანელი ტანჯვა დაეუფლა... მინ-დოდა ყველაფერი ამეტანა, ყველაფრისთვის გამეძლო და მთელი ჩემი სიცოცხლე შენს სამსახურში დამელია, მარა ვერ შევძელი, გე-ნაცვალე!.. ისეთ პირობებში ვიყავი, რო ყვე-ლაფერი ხელს მიშლიდა. ეს შენც კარგათ იცი, ჩემო ალექსი!.. შენ რო მაგ დასაქცევ ციხეში ჩაგკეტეს, მერე ჩემი გულიც დადნა, დაილია... და ახლა ამ წერილს რო მიიღებ, შენი მარინე ცოცხალი არ გეყოლება... მინ-და ბევრი, ბევრი მოგწერო, გულო, მარა, რა ვქნა, რომ არ შემიძლია... ცრემლები მაღრჩობს... ჩემო ალექსი, ჩემო მზეო! თუ როდისმე მაგ ჯოჯოხეთს თავი დააღწიო, ეს საშინელი სახელი მოიშორე, გენაცვალე! ის გახდი, რაც ნამდვილათ ხარ... მე შენ მაშინ შემიყვარდი, როცა შენ ისე გატაცებული იყავი ახალთაობის საქმით, და შენ ჩემს გულ-ში ახლაც ასეთი ხარ... ჩემსავით შენ ვერავინ ვერ გიცნობს, გულო!.. ჰო და, თუ რო ღმე-რთმა გაღირსოს სინათლის ხილვა, ყველას დაანახვე, რო შენ ის არა ხარ, რასაც გიწო-დებდენ შენ. ეს არი ჩემი უკანასკნელი თხოვნა და მე მწამს, რო შენ ამას შემისრულებ. შენ ხო ჩემი ნათელი ალექსი ხარ... ჩემზე-კი ნუ იდარდებ, გენაცვალე... ისიც კარგია, რომ ამ შავ-ბნელ ცხოვრებას გამოვტაცე ის ბედნიერების წუთები, რომელნიც შენმა სიყვარულმა მომანიჭა, ჩემო ნათელო მზეო!.. ვკვდები და შენი სიყვარული უკვდავათ თან მიმყვება, ჩემო ალექსი!.. მშვიდობით, მშვი-დობით, ჩემო ბედნიერებავ. შენი მარინე!..“

... პირქვე დამხობილი ალექსი მთელი სხეულით თრთოდა, ძიგძიგებდა და გულ-ამო-სკვნით ტიროდა, კვნესოდა და ოხრავდა ბედ-შავი... ხოლო ორი მისი ამხანაგი-კი სახემო-ღრუბლული იდგა, ალექსის მწუხარებით და-ჩერებოდა და ენის დაძვრა, ნუგეშის თქმა ვერ გაებედათ... ან-კი რა უნდა თქვას ადა-მიანის უძლურმა ენამ ასეთი გამოუთქმელი მწუხარების გასაქარვებლათ?!.

VIII.

არიან ისეთი ადამიანები, რომელთა გულსაც გაჰივრება და სევდა—მწუხარება აკაჟებს, ასალკლდევებს, შავ ბედთან საბძო-ლველ ძალას მატებს. ასეთ ადამიანებს ეკუთ-ნოდა ალექსიც. მის გულში ღრმათ გაიდგა ფესვები ერთმა მტკიცე გადაწყვეტილებამ და ის დღე და ღამე სულ ამაზე ფიქრობდა. მან თვის გულის სიღრმეში ჩამარხა ის გძნო-ბა—ფიქრები, რომელნიც ამდენ ხანს მოსვე-ნებას არ აძლევდენ და მთელი თვისი არსებით ამ ახალ გადაწყვეტილების სისრულეში მოყ-ვანას მიეცა...

ერთ დღეს, როდესაც ის სასამართლო-ში გაყავდათ, მან გაიხმო მის საკანში მჯდო-მი სიმონა, წერილი გადასცა და შემდეგი უთხრა:

—სიმონ, მე დღეს, ან მომკლავენ, ან გავიქცევი... თუ ცოცხალი ვერ გადავრჩე, ეს წერილი დედაჩემს გაუგზავნე... არ დაგავიწ-ყდეს...

მალე მას დაუძახეს და ციხის კანტორა-ში წაიყვანეს... ის მშვიდათ ბიდის, მღელვა-რება არ ემჩნევა... ჩაარონიეს მიხვეულ-ბო-

ხვეული კიბეები და კანტორის წინ გააჩერეს. იქვე დგანან თოფებიანი დარაჯები... დერეფანში ციხის ზედამხედველები და მომუშავე ტუსაღები ირევიან... აგერ, ალექსი ორ დარაჯს ჩააბარეს... ერთმა მათგანმა ჩხრეკა დაუწყო... ალექსის ბორკილები გაჭრილი აქვს და გულში საშინლათ ეშინია, რო დარაჯმა არ შეამჩნიოს, მარა სახეზე არ იმჩნევს, კვლავ მშვიდათ დგას... დარაჯმა გადმოუბრუნა ალექსის ჯიბეები, გვერდებზე ხელი შეავლ შამოავლო და „წავიდეთო“ დაიძახა. ალექსიმ თავისუფლათ ამოისუნთქა.. ამასაც არ მოელოდა, თუ ხელებზე რკინის ჯაჭვს არ დაადებდენ,—იმედი ქონდა გზაში ჯაჭვს ჩუმათ წავიძრობო, მარა ახლა არც ეს უშლიდა ხელს. ამან კიდევ მეტათ დაარწმუნა ალექსი, რო გაქცევა შესაძლებელი იყო... აი, გაიღო ციხის შავი კარები და ის ქუჩაჩაში გამოიყვანეს...

ზაფხულის შვენიერი დღეა. ქალაქი და მის გარშემო მდებარე მიდამო რაღაც არაჩვეულებრივ და წარმტაცათ მოეჩვენა მას... ქუჩაში მიმავალი ადამიანებიც ყველა ბედნიერათ, მხიარულათ ეჩვენებოდა. რამდენი ხანია ასეთი სიცოცხლით სავსე სახეები არ უნახავს ალექსის!... „იქ ციხეში ყველას მიწის ფერი ადევს,—ფიქრობდა ის—ყველა უსიცოცხლოთ გამოიყურება; იქაური ღიმილი ღიმილს არ გავს, უფრო ტირილს მოგაგონებს. აქ-კი, ეგერ, რა ბედნიერი ღიმილი უთამაშებს ტუჩებზე ქვა-ფენილზე მიმავალ ქალ-ვაჟს!.. აგერ, პატარა გოგონა მიცქრიალობს... ნეტა, ის ავათმყოფი გოგონა, თუ ცოცხალია ახლა?.. უჰ, რაზე ვფიქრობ!.. ჯერ კიდევ შორსაა... ეს რა არი?.. კუბო!.. ვილაც მომკვდარა... შეიძლება, ამ რამდენიმე წუთის შემდეგ, არც მე ვიქნე ცოცხალი... ვინ იცის... აგერ, ბიჭს კალათით გასაყიდი ვარდები დააქვს. რა შვენიერი ვარდებია!.. ჩემი მარინე... ჯვარი ხომ არ დამრჩა?.. არა, აგერ, მაქვს... რა ბოროტი სახე აქვს ამ სალდათს, უკან რო მომყობა! ნეტა, ამის ხელიდან ხომ არ უნდა მოვკვდე?.. მარა არა; ისე სწრაფათ შევვრევი შეჯგუფებულ ხალხში,- რო თოფის სროლას ვერ მომასწრებს... ხალხი როგორ დამიპირავს?.. ვნახოთ... აჰა, მივუახლოვდი კიდეც... ხალხიც ბლომათაა...“ —

ამ ფიქრებით მიუახლოვდა ის ბაზარს და მარჯვენა ხელით ბორკილის ღვედის სწორება დაიწყო. ყველას ეგონებოდა, რო ღვედს ისწორებსო, ნამდვილათ-კი იხსნიდა... როცა ხალხს გაუსწორდა, მის გულში მძლავრათ იფეთქა ენერგიის ალმა! მთელ სხეულს მოედვა და ელვის სისწრაფით გადახტა, ბორკილები-კი იქვე ჩხარუნით დაცვინდა... შეკრთენ, აირიენ დარაჯები... მარა მალე გონს მოვიდენ, სწრაფათ თოფები გადმოიღეს და სასროლათ მოემზადენ. ალექსი-კი ამ დროს ხალხში გაერია; ის საკვირველი სისწრაფით გარბოდა... ატყდა კიჟინა, ხმაურობა და სტვენა... დარაჯებმა ხმა მაღლა დაიყვირეს:

—დაწექით!!

და ხალხიც მიწაზე დაეფინა. მარა ამ დროს ალექსიმ ქუჩის შესახვევში შეუხვია და დარაჯთა თვალთაგან მიიმალა... იმ შესახვევთან, სადაც ალექსიმ შეუხვია, ერთი ჩაფარი იდგა. მან დაინახა, რომ ალექსის დარაჯები მოსდევდენ, მიხვდა ტუსაღი გარბის და მშვიდათ, აუჩქარებლათ ამოიღო ნიშანში რამდენიმე საჯენით დაშორებული ალექსი. გავარდა თოფი და ალექსიც მოსწყდა, პირქვე დაეცა..

მოცვინდენ გააფთრებული დარაჯები და თოფის კონდახებით უწყალოთ ცემა დაუწყეს... მარა ალექსი აღარაფერს გძნობდა: ზურგში მოხვედრილმა და გულში გატარებულმა ტყვიამ სწრაფათ მოუღო მას ბოლო...

მალე ხალხი მოაწყდა და ამ საშინელ სანახაობას ძრწოლვით დაჩერდა...

აგერ, ბოქოულმაც მოირბინა თვისი მხლებლებით... მას ალაქსის მკვლელი ჩაფარი გამოეჭიმა წინ და ამაყათ მოახსენა:

—მე მოვკალი...

—:—

როცა ციხეში სიმონამ ალექსის სიკვდილი გაიგო, გულმა აღარ მოუთმინა, წერილი გახსნა და, აი, რა წაიკითხა:

„ჩემო საყვარელო დედა!

როცა მე გამათავისუფლებელი მოძრაობით გატაცებული ვიყავი, შენ გეშინოდა, რო რამე გლახა არ შემთხვეოდა და მიშლიდი. მარა მე არ გიჯერებდი, და არც შემეძლო, რო დამეჯერებია. მართალია, შენი ცრემლები მაწუხებდა, მარა ისე აფრთოვანებული ვიყავი იმ ახალი მოძღვრებით, რო თავს ბედ-

ნიერათ ვგძნობდი და სხვა ყველაფერი მავიწყდებოდა. მარა მალე დადგა შავ-ბნელი დღეები და მე ცხოვრებამ იმ ბანაკში გადამაგდო, რომელსაც კაჩალობა ეწოდება... მას შემდეგ, მოიშხამა, დედი, ჩემი გული, დამეკარგა მოსვენება... ყოველი ჩემი ფეხის გადადგმა, ყოველი ჩემი მოქმედობა გულს მიკაწრავდა, მარა ვერ შევძელი, რომ ისე არ მოქცეულვიყავი.. მე სიმდიდრე არ მინდოდა; მე სუსტი და გლახა ყოველთვის მეცოდებოდა... მარა ამის მოწერა რა საჭიროა,—შენ ხო ჩემი კეთილი დედა ხარ, ჩემი მშობელი და ამზდელი, და კარგათ იცნობ შენს ბედ-კრულ ალექსის... ნათელ მზისკენ მივილტვოდი, დედი, მისი სხივები მინათებდა ცხოვრების გზას და შემდეგ-კი, გადავიჩეხე, ტალახით გავისვარე... არ ვიცი ამდენხანს, როგორ ავიტანე ეს საშინელი ყოფა, მარა დღეს—კი მეტი აღარ-შემიძლია, -ან უნდა მოვკვდე, ან ამ ტალახიდან ამოვიდე... და, თუ მომკლეს, სამწუხაროთ ის დამჩება, ის ჩამყობა საფლავში ჯავრათ, რომ ეს სახელი თან მიმყვება... შენკი ნუ იჯავრებ, ჩემო საყვარელო დედა. სულ ერთია, შენთვის ხომ მაინც მკვდარი ვიყავი... მაპატიე, დედი, რაც ტანჯვა-მწუხარება მოგაყენე... მოსაწერი ბევრი მაქვს, მარა წერა არ შემიძლია...

შენი ალექსი.

ობოლი მუშა

3 მაისი. 1914 წ.

სიცოცხლისკენ!..

კარები არც კი დაურახუნებია...

სრულიათ უთავაზოთ, მოურიდებლათ შემოვიდა ჩემს ოთახში.

ხმა ამოუღებლივ ჩამოჯდა საწოლზე.

მყის არაჩვეულებრივათ ვიგძენი გამყინავი მისი სიცივე... სულ-შემხუთავი მისი სუნთქვა...

უჩვეულოთ ამაჟრჟოლა.... ამათახთახა... თავბრუ დამხვია...

შეხედვასაც ვერა ვბედავდი...

გაკანკული ვიჯექი...

წიგნში ვიყურებოდი ფერ-ფურ დაკარგული..

—რასა კითხულოფ ასე გატაცებით, რო ვერც კი გაიგე ჩემი სტუმრობაო— შემეკითხა იგი, ისე უხალისოთ, თითქოს ეზარებოდა ლაპარაკი..

—დოსტოევსკის—როგორც იყო, მივუგე ხმის კანკალით.

—რომელ ნაწარმოებს?

—„განაჩენ“-ს.

იგი მომიახლოვდა და წაიკითხა ის ადგილი, სადაც წერს ჰაბუკი, რომელსაც განუზრახავს თავის მკვლელობა:

„მე არ შემიძლია მივიღო არავითარი ბედნიერება მარტო იმიტო, რომ არ ვიქნები ბ არც შემიძლია ვიყო ბედნიერი, რაკი მიქადის ხვალინდელი საშინელი გაქრობა... გაარარავება...“

—ჰმ—გესლიანათ ჩაიცინა მან... რა სულელები არიან ადამიანები... როგორა ცხოვრობენ.. რაში კარგავენ ისედაც მცირე დროს... მოსპობაო... ამოოებაო... არარაობაო...

რასა კითხულობთ, თქვე საცოდავნო, თუ როგორია ცხოვრება... გაჩნდი?—იცოცხლე... თორე, როცა აღსასრულის დღე დაგიდგებათ, მაშინ გვიან-და იქნება სინანული...

აბა, გაშინჯე შენი ცხოვრება... როგორ გაატარე იგი... იცხოვრე ლამაზი სიცოცხლით?., იგძენი ნეტარება?.. გაიცადე საამო ჟრჟოლა სიყვარულისა?..

არა!...

და რატომ არა?—იმიტო, რო ნიადაგ სიკვდილზე ფიქრობდი. მარათ მე მომიწოდებდი... მეც ღვთის წინაშე, პირ-შავათა ვარ შენთან—ვერ გაგეხმაურე მოწოდებაზე... ჯერ იყო და პირ-იქითელთა სიცოცხლის სათიბები მქონდა გასათავებელი. ახლაა და ეს ომიანობა ატყდა... ერთი წუთიც არა მაქვს თავისუფალი... აი, როგორც იქნა, მცირე ხნით გავთავისუფლდი, გეახელი და რასა ვხედავ? —შენა თრთი, ცახცახებ... წყევლი შენს თავს, რო მომიხმობდი...

მე გამაკვირვა სიკვდილის ამ სიტყვებმა... ის ხო ჭეშმარიტებას ღაღადებდა...

საშინელი სიკვდილი მამხელდა სულმოკლეობას...

უაზრო, უანაყოფო ცხოვრებას...

მართლაც, ისე ხან-მოკლე სიცოცხლე გვაქვს და მასაც ვერა ვსარგებლობთ... მასაც ძაღლ-უმადურათ ვატარებთ.

და მომაგონდა ჩემი სიცოცხლე.

რას წარმოადგენდა იგი?

გლოვისა და ვაების კუნძულს.

მე ჩემის მტირალი სულით მარტოთ-მარტო დავანებული ვიყავი ამ კუნძულზე, ჩემს გვერდით-კი მიღელავდა საამოთ მოდუდუნე ტკბილი ცხოვრების ცელქი მდინარე.

ლაღი ცხოვრების გიჟმაჟი მდინარე მიღელავდა ჩემს გვერდით და ერთი ზვირთიც არ ეტლაშუნებოდა ჩემი ცხოვრების კუნძულს...

მერე, როგორ საჭიროებდენ მას ჩემი ოცნების ყვავილები... რა გაცრეცილი, რა გაყვითლებული იწვევდენ მისკენ... სიცოცხლისკენ... რა სასოებით მევედრებოდენ გამერღვია, გამეხსნა პირი, სევდის ყორისგან შემოღობილ ჩემ კუნძულისთვის. შემომეშვა მომჩქეფარი ტალღა ლამაზ სიცოცხლის... მარა ამაოთ... სრულიათ ამაოთ რჩებოდა მათი მუდარა...,

სხვანი ყურყუმალობდენ ცხოვრების ზვირთებში... ლაღობდენ და ალაღებდენ... სტკბებოდენ და ატკბობდენ,.. იყვირებდენ და უყვარდებოდენ—მე-კი ვიყავი ჩემი დამჭკნარი ოცნებით ჩემს უფერულს, ხრიოკ კუნძულზე...

მარტოთ მარტოკა ვტანტალებდი ჩემს კუნძულზე და ვწყევლიდი მზეს... სიცოცხლეს... სიყვარულს...

ჩემი გაბოროტება იქამდისაც მივიდა, რო გადავწყვიტე გამეწყვიტა კავშირი ცხოვრებასთან... გამოსალმებულვიყავი სიცოცხლეს... ორჯელ ვცადე კიდეც, მარა ორჯელვე სასაცილო შემთხვევამ გამიცურა განზრახვა.

პირველათ ჩემი მეგობრის სახლში გადავდგი საბედისწერო ნაბიჯი...

მაგიდაზე ვიხილე, თუ არა რევოლვერი, მას-მყის დავტაცე ხელი. მივიბჯინე შუბლზე, მოვწიე ჩახმახს და... ცალიერი ჩხაკუნი-კი შემომესმა... პატრონა არა ყოფილიყო შიგა.

ისე გავბრაზდი, ისე გავმწარდი ჩემს გამაბიაბრუებელ რევოლვერზე, რო კედელს ეთხლიშე და დავამსხვრიე...

მეორეთ თვალი მოვკარი ჩემი ოთახის ფანჯრის ორმაგ ჩარჩოს შვა დატანებულს ჭიქას, რომელშიაც იდგა კარბოლის სიმჟავე, ოთახის სინესტის გასაქრობათ. უმალ გავამტვრიე შუშა, ამოვიღე საწამლავი და არაყივით გადავხუხე

დახეთ ბედის წერას!.. არც იმან გაჭრა. სიმჟავე ცოტა ყოფილიყო... არ გაჭრა სასიკვდილოთ, თორე ჩემს ისედაც სუსტ ტანმთელობასკა ბევრი დააკლო... ფილტვები და გული სამუდამოთ დამიავათმყოფა...

მომაგონდა ყველა ეს და მეც სიკვდილივით გესლიანა გავიცინე.

ახ, რა გვიან შევიტყე სიტკბოება სიცოცხლისა... რა გვიან დავაფასე ქვეყანა—შვენებით სავსე—გავიფიქრე მე და ხმის თრთოლით შევეკითხე სიკვდილს: მოვემზადო—მეთქი?..

სიკვდილმა პასუხი არ მომცა...

გამიკვირდა...

გაუბედავათ მივუახლოვდი და...

თავს უმსგავსათ აკანტურებდა.

სთვლემდა...

მოდი, შევთავაზებ ჩემ საწოლს—პატარა თვალს მოატყუებს—წაიძინებს—მანამ-კი ჩემს მახლობლებთან გამოსათხოვარ წერილს დავწერ—მეთქი..

ჯერ ვერა ვბედავდი... მეშინოდა... ბოლოს, როგორც იყო, ვძლიე შიშს... მოკაცლებით დავუწყე ხელის ფათური და ვეჩურჩულებოდი:

—თქვენო წყდიადობავ! გაცივდებით ზეზეურა ძილით... წამოწექით ჩემს ლოგინში... მოისვენეთ მცირე ხანს მაინც.

იგი სიამოვნებით დამთანხმდა და ძვლების ჩხარუნით გაიშხლართა საწოლზე,..

მე მხრებში ამოვუკეცე...

თფილათ შევფუთნე...

ზენაარს შევეედრე, რო საუკუნო ძილფუში დასცემოდა...

მოუჯექ მაგიდას და ვიწყე წერილის წერა დედასთან... ძმებთან... მეგობრებთან...

ვაი, იმ წერას!..ხელები ძალზე მიკანკალებდა... ცრემლები მახჩობდენ.. უნდა მოვშორდე... სამუდამოთ უნდა მოვშორდე ჩემს ღვიძლს მახლობლებს... უნდა აღმესპოს სიცოცხლე, სიხარულით, სიგიჟმაჟე... ღმერთო, რატო, რატო წინათ არ მესმოდა ფასი სიცოცხლისა?..

...ვაიმე .. ძვლების ჩხარუნი გაისმა... იღვიძებს პირ—შავი... იღვიძებს იგი და ითხრება კიდეც ჩემს წინ სამარე.... აი, გაიზმორა... დაამთქნარა.. მოიფშვნიტა—კვინიხში ჩაცვივნული თვალები დ, ჩამოჯდა ლოგინზე...

ხო კარგათ გეძინათ, ბატონო, შევეკითხე მოფერებით და მოკძალებით.

—მართალი გითხრათ, ტკბილათ მეძინა .. ბარემ, ექვსი თვე იქნება, რაც არა მძინებია.. აბა, სად მეცალა ბძოლის ველზე ძილისათვის... უჰ, როგორ მოვიღალე, როგორ მოვიღალე იმოდენა ჯარის ჯლეტითა.. საათში ათასობით მემსხვრეოდა ცელები...

თითო ისეთი ბრგე და ჰარმაგი კაცი შემხვდებოდა, რო ცელი ვადაში მიტყდებოდა ხოლმე.

ახლა სამიოდე დღით შემოვიარე კიევში... მინდა დავათვალიერო ჩემი ამალა: ჟამი, ხოლერა, შავი ჭირი, ხუნაგი... სახადი...

შეც პატარა სულს მოვითქვამ და კვლავ გავუდგები გზას...

—დიდხანს დარჩებით, ბატონო, ბძოლის ველზე?..

სანამ ყველას სინსილას არ გაუწყოფ არ დავბრუნდები.

მე ვცდილობდი ლაპარაკი გამეგძელებია დ ა მით დამეშორებია საშინელი აღსასრული; მარა ველარ ვახერხებდი. ერთ სიტყვასაც ვერა ვპოულობდი სათქმელათ...

ასე დამუნჯებული შევყურებდი მას მავედრებელი თვალებით. იგი, მგონია, მიმიხვდა ბ მითხრა:

ნუ გეშინია, გული დაიმშვიდე, ჯერ-ჯერობით არ წაგიყვან. მართალია, მე შეწყნარება არ ვიცი; მარა, რაკი ასეთი თავაზიანი აღმოჩდი, რო ლოგინი მათხოვე—ამიტომ ათიოდე დღე მიჩუქებია შენთვისაო...

მან ზანტათ წამოავლო ხელი სისხლით აჭრელებულ ცელს, აიღო ფარანი, გაინათა წინ და გაუდგა გზას ფეხ-აკრეფით... ნაბ-ნაბით...

წავიდა სიკვდილი...

ნუთუ მართლა, მართლა წავიდა პირ-ქუში?

მაშ, მე შემიძლია ვიხარო... ვინეტარო... ვილაღობო...

შორს... შორს კაეშანო...

სიცოცხლისკენ... მზისკენ... ხიოსან ოცნებისკენ...

ისარგებლე ყოველი წუთი... ყოველი წამი...

რა ვუყოთ, თუ ცხოვრება უფერულია?

შენ გაალამაზე... გააშარავანდედე...

შექმენ, რაც შეიძლება, მომხიბლავი, წარმტაცი ზღაპარი ცხოვრებისა...

დრო მიქრის... მიქრის დრო და თან მიაქვს სიცოცხლე, რომელიც აღარასოდეს გამეორდება...

თან მიაქვს გაზაფხული, რომელიც აღარასოდეს აყვავილდება...

დ. თურდოსპირელი.

ბრმა და მგოსანი

მგოსანი.

—ეჰ, ბრმაო, ბრმაო, რა ჯოჯოხეთურ
ტანჯვას განიცდის ეგ შენი გული!
როგორ იდაგვის შენი არსება,
მარათ წყვდიადით გარემოცული!
მიკვირს, ვით უძლებ, ძმაო, მაგ სევდას,
სევდას უსაზღვროს, ცეცხლებ მგზნებარეს?!
მარათ დაცურავ შავ-ბნელ ბურუსში,
ვერ ჰვრეტ ვერცა მზეს და ვერცა მთვარეს!
ოხ! მე-კი მყისვე გავგიჟდებოდი,
რო ვერ ვხედავდე მშობლიურ მხარეს!
ვერ ვჰვრეტდე ცასა, მზის ნათელ სხივებს,
ღამით ნაზ მთვარეს, სხივებ-მფინარეს!
აჰა, რა ტურფათ ყვავის მთა-ველი,
კეკლუცობს, ნაზობს, მოსავს სხივთ ქსელი;
და ცისკიდურზე მზის შუქში დნება
ნაზი, ნარნარი, თეთრი ღრუბელი;
ცა მიწას დატრფის, მიწა ცას შეტრფის,
სიყვარულისა გაუბამთ სიმი;
თვალუწვდენ სივრცეს ასხივ-ცისკროვნებს
მზის ელვარება, მზისა ციმციმი!
და შენ-კი, ბრმაო, ამით ვერ ტკბები,
თითქო ბუნების არა ხარ შვილი;
მოსწყდი ტკბილ დედას... ცურავ წყვდიადში...
ცოცხლათვე იგძვნე ბნელი სიკვდილი!

ბრმა.

შენ მართალი ხარ, ტკბილო მგოსანო!
საფლავათ იქცა ჩემთვის სამყარო!

სიკვდილის დღემდი უსიხარულოთ
შავ-ბნელ ბურუსში უნდა ვიარო!
მარა დღეს განა მარტო ბრმას ტანჯავს
ჩვენი ცხოვრება სასტიკი, მწარე?
განა მარტო მე, ვერ ვტკბები — ვერ ვქვრეტ,
როგორ ციმციმებს მზე სხივ-ელვარე?
ჯობს, რო ჩახედო ცხოვრების სიღრმეს,
ნუ გიყვარს მარათ ცაში ნავარდი;
გაეცან აწმყოს... და წაიშლება
შენს ოცნებაში ია და ვარდი!
სისხლით, ცრემლებით, ირწყვის დღეს მიწა...
სივრცეს აყრუებს კვესა-ქვითინი!
წამლავს ბუნების სიშვენიერეს
დღეს ბოროტ სულთა გველებ სისინი!..

* *
*

მე ბრმა არ ვიყავ... ოფლში ვცურავდი,
გულს ვერ მიტეხდა მშრომელთა ბედი;
შეუდრეკელათ ვებძოდი აწმყოს,
მასულდგმულებდა ტკბილი იმედი..
და გამიწვიეს საომრათ ომში...
ობლათ დავტოვე წვრილი ცოლ-შვილი!
მაშინც ყვავოდა მშობელი მხარე,
იღიმებოდა სხივებ-მოსილი..
მე-კი უსაზღვრო სევდით მოცული
სამშობლოს მთა-ველს ვეთხოვებოდი,
თითქო ვგძნობდი, რო კვლავ მის სიტურფეს
ვერ ვიხილავდი... დავბრმავდებოდი!..
მივქროდი შორს, შორს... ჩემი სამშობლო
სივრცის მუქ რიდეს ეფარებოდა...
და გული თრთოდა, თოთქო წყვდიადი
მე ჩასანთქმელათ მეპარებოდა...
კაცის ოცნებას შავ ფერადებით
გამოუხატავს იქ ჯოჯოხეთი,
სადაც ბოროტთა, სიკვდილის შემდეგ,
აწამებს მარათ ტანჯვა ისეთი.
რო თითქო ენით არ გამოითქმის
მისი სიმწვავე, მისი სიმწარე...
მე-კი, მგოსანო, მიწაზე ვნახე
იმ ჯოჯოხეთის შავ-ბნელი არე!..
ახ, ნეტა, მაშინც ბრმა ყოფილვიყავ
და არ მენახა ის სურათები!
დუღდა, ღელავდა და ბობოქრობდა
იქ ჯოჯოხეთურ ცეცხლის ზვირთები!..
და ამ ზვირთებში კვნესა-გოდებით
ბძოდენ ურთერთს მტერთა რაზმები...
და აყრუებდა სივრცეს იმათი
სულის მკოდველი, საზარი ხმები...
მომაგონდება — და გულს მიხურავს
ფიქრები შავი, კაეშნიანი:
მხეცზე ვარესი ყოფილა, თურმე,
გამხეცებული ადამიანი!!
აღარ დაგინდობს, გააფთრებული,
თვისსა სიმართლეს ძალაში ხედავს:
„—მე ძლიერი ვარ და მაშ — ბატონიც“!
ამბობს იგი და ბორკილებს ჭედავს!..

*
* *

ერთ დიდ ბძოლის დროს, როდესაც ირ-
გვლივ
სისხლის ღვარებით ირწყვოდა ველი,
როცა ასობით ახალგაზდობას
მუსრსა ავლებდა სიკვდილის ცელი;
როცა ზარბაზნის საზარი ხმები,
როგორც ცის მეხი, სჭექდა, გრგვინავდა,
და კვამლის ნისლში შრიალ-ზუზუნით
ცეცხლი-ყუმბარა მიმოფრინავდა, —
მე გაშმაგებით, თავ-განწირული
ვეკვეთე ურიცხვ რაზმსა მტრებისას...
თითქო ზღვის ტალღას მივქონდი სადღაც...
და ვაყენებდით გორებს მკვდრებისას....
აგერ, ჩავასვე „ხიშტი“ ვიღაცას...
ღმერთო, რა მწარეთ დაიღრიალა!
თუმც არას ვგძნობდი, მხეცებ ვომობდი,
იმ ხმამ-კი მაინც შემაკრიალა!,.
და დიდ ხანს, დიდ ხანს ვომობდით ასე...
ბოლოს, ოდნავათ შენელდა ბძოლა...
და, აი, ამ დროს მტერმა ზარბაზნით
ჩვენსკენ ყუმბარა გადმოისროლა...
აგერ, ჩემ გვერდით დაეცა... შევკრთი...
უცებ იფეთქა, დაიგრიალა;
აზვირთებულმა ჰაერის ტალღამ
ზეზე ამიღო... შემატრიალა...
ცეცხლმა მოიცვა ირგვლივ ყოველი,
გარს შედობოდა მფეთქავი ალი...
გული მომიკვდა... დავკარგე გონი...
და სამუდამოდ დავხუჭე თვალი...

. . . . . .

როცა გონს მოველ, მანუგეშებდა
მოწყალების და ნაჭ-ტკბილ ხმიანი...
მაშინ ვთქვი გულში, რო კაცთა შორის
კვლავ იპოვება ადამიანი!

*
* *

დიახ, დავბრმავდი... ველარას ვხედავ,
საფლავათ იქცა ჩემთვის სამყარო!
სიკვდილის დღემდი უსიხირულოთ

შავ-ბნელ ბურუსში უნდა ვიარო!
ისე მოვკვდები, რომ ერთხელ მაინც,
ველარ ვიხილავ ცის მნათობს დიადს,
ვერც ჩემ სამშობლოს ყვავილოვანსა,
ვერც ცისკრის ვარსკვლავს და ვერც განთიადს!
მარა, მგოსანო, ტანჯული სული
ნათლათ მისახავს მე სულ სხვა მხარეს;
ტურფას, ვით წალკოტს სამოთხისებურს,
ნათელს ბწყინვალეს, და სხივ-მფინარეს·
ის არ გავს აწმყოს, სულის მკოდველსა,
ძლიერთ სამეფოს, სუსტის მჩაგვრელსა,
აწმყოს შავ-ბნელსა, მართალთ მტანჯველსა,
მუდმივი მტრობით სისხლის ზღვის მღვრელსა.
იქ სიყვარულის დაძმობის დროშა
მზის ნათელ სხივში ციმციმებს, მწყინავს...
იქ ჩემი სულიც, ტკბილო მგოსანო,
ოცნების ფთებით მისკენ მიფრინავს!
და, ამიტომაც, იმედს ვერ წარმკვეთს
მე შავი ფიქრი, კაეშნიანი:
დადგება დრო—და ძმობა—სიმართლის
დროშას აღმართავს ადამიანი!

მგოსანი.

გაუმარჯოს მაგ შენს იმედს!
გაუმარჯოს იმ მომავალს!
გაუმარჯოს შრომის შვილსა,
შეუდრეკლათ მისკენ მავალს!
აღთქმის მხარეს! რომ ცისკარი
წითლად ღელავს, თრთის, ციმციმებს,
მზის ღიმილი შორეული
მთის თხემს ახვევს სხივთა სიმებს;
როს ცვარ-ნამი მიწის მკერდზე
ალმასივით ელავს ბწყინავს,
შვება-ლხენა, ყვავილთ ფშვენა,
ნიავის ფრთით მიმოფრინავს.
ოდეს პირქუშ ღამის ნაშთი—
თეთრი ნისლი სხივში დნება,
და ფთოსანთა გალობის ხმა
მთა-ველს ტკბილათ ეფინება, —
შენ გადარეგ სხივ-მფენ დილას,
შენ ხარ ჩემი სევდის ფარი;
შენსკენ ვფრინავ ნაზ ოცნებით,
და შენთვის ჟღერს ჩემი ქნარი!
ვუმღერ გმირებს... ვიწვევ მებძოლს,
ვუსურათებ შენს სამყაროს,
რო დალეწოს ბორკილები
და სიმართლე დაამყაროს!..

ობოლი მუშა.

ნისლის ქულა

ღამეა.

საკნის მყრალი და ნესტიანი ჰაერით გულ-შეწუხებული ვადგივარ რკინით დახლართულ ფანჯარას; ხარბათ ვეწაფები თავისუფლათ მოსისინე სიოს და ფიქრებით გარემოცული შევყურებ შავი ღრუბლებით შემოსილ მშობლიურ ცას.

მიყვარს ამომავალ მზის შუქზე წითლათ მოელვარე ცა, რათგანც მის ტურფა-ნარნარ ღიმილში ქრება შავი ფიქრები, მწუხარების შავი ბურუსი, ფთებსა შლის იმედი, სიხალისე, და უერთდება სიხარულით აღსავსე ციურ სიცილს...

მიყვარს ვარსკვლავებით მოჭედილი, ოქროს ფერათ მოციალე ცაც და ზედ მეფურათ მცურავი ბადრი მთვარე, როდესაც კაშკაშით ტ ყურებს შავ-ბურუსში მბრუნავ მსოფლიოს.

მარა უფრო ძლიერათ მიყვარს იგი, როდესაც, ვით მრისხანებით სავსე ჭაბუკი,-შავი ღრუბლებით შემოსილი დაცქერის თვის მოპირდაპირე ქვეყანას.

იგი მიღვიძებს მე ბძოლის წყურვილს, იგი ატოკებს ძარღვებში მიდუნებულ სისხლს, ქმნის შეუპოვარ ზვირთებათ, ამიტომ მიყვარს და შევყურებ მას. მარა, აჰა! დაიძრა ულმობელი სტიქიონი, ფთა გაშლილი ეკვეთა მათ, შოუბრალებლათ მოწყვიტა მშობლიურ ცის ღრუბლებს პატარა ნისლის ქულა და მიაქანებს შორს, შორს უცხო ცისკენ და, ვინიცის, სად!..
... სხეული მიჟრჟოლავს, გული მითრთის: ბძოლის სისხლის ტალღები მიფეთქს ძარღვებში, მარა ტყვე ვარ!..

—„რათ!.. რათ მოწყვიტე ეგ ნისლის ქულა ტკბილ მშობლიურ ცას!— ვეუბნები დაუნდობელ სტიქიონს.— ეგ ჩემი სამშობლოს ველებიდან ანაწური მაშვრალთა სისხლი და ცრემლია, მოთქმა-ქვითინით შეზავებული!.. ეგ სურათია ჩვენი მწარე ცხოვრების, ჩვენებ ჭმუნვარე, ჩვენებ გლოვიარე, გაუხარებელი... და რათ გვაშორებ? იყოს, ბურავდეს მაგ ცის კამარას; უცქიროს შობილმა მშობელ მიწას და მშობელმა--შობილს.

დაე, დაცქეროდეს რისხვით; დაე, გადაიქცეს იგი სისხლის წვიმათ, ან ცეცხლის ალით,

მ
ხოლოთ ბოროტებას ჩაახჩობს თვის ტალღებში, მხოლოთ მას აქცევს ფერფლათ.

ნუ! ნუ, გრიგალო, ნუ მიაქანებ მაგ ნისლის ქულას!—გავძახი კვნესით აღსავსე სიტყვებით. მარა ჩემი ხმა ამოთ ქრება ცის სივრცეში და სტიქიონი-კი კვლავ მიაფრენს შორს, შორს გადასაღუპავათ!..

მ. რაჭველი.

შურის ძიების სხვერპლი*)

ამ საქმეს სულ სხვა ელფერი ედვა, სრვა ნიადაგზე იყო აღმოცენებული და, ამიტომაც, საზოგადოება იჭვის თვალით უყურებდა მას.

აქ ისეთი პირი იყო დამნაშავეთ გამოყვანილი, რომლის სიპატიოსნეში და კაი კაცობაში ყველა დარწმუნებული იყო,

ელისაბედს მთელი სოფელი იცნობდა მხოლოთ და მხოლოთ კარგი მხრით, ყველანი პატივსა ცემდა მას.

ივლიტა—კი სრულ წინააღმდეგ ტიპს წარმოადგენდა.

ეს ორი არსება ზნეობრივათ ერთიმეორის დაპირდაპირება იყო და ასე მოხდა საქმე, რომათ შორის აშკარა ბძოლა გაჩაღდა, რომლის ჩასაქრობათ და უბედურების თავიდან ასაცდენათ თვით საზოგადოებაც უძლური დარჩა.

ეს „სენსაცია“ დღიურ საკითხათ გადაიქცა, დიდი და პატარა, ამაზე ლაპარაკობდა, თავის აზრის ერთი-მეორეს უზიარებდენ, დანაშაულობას იკვლევდენ.

ყოვლათ შეუძლებელი და დაუჯერებელია ელისაბედისგან ქურდობა—გაცხარებულათ მსჯელობდენ ელისაბედის სიმართლეში და პატიოსნებაში დარწმუნებული გლეხი-კაცები.—ამ ხნის ადამიანი ვარ, ელისაბედთან ერთად დავბერდი ამ სოფელში და მისგან ნემსი რაა, ნემსის ქურდობაც-კი არ გამიგონია. აგი უტიფარი ცილის-წამებაა, პატიოსანი ადამიანის ტყვილა-უბრალოთ შერცხვენა.

—ძნელია ამის თქმა,—ამტკიცებდენ მოწინააღმდეგე მხარეები, რომელნიც აქ-იქ მოიპოვებოდენ, თითქო მიუდგომლათ მსჯელობდენ და სოციალური თვალთა ხედვის ისრით აშუქებდენ საკითხს. „მდგომარეობა ყოლიფერს აქნიებს კაცს. გუუქერდა და ქე მეიპარა ეგება. ხუმბრობა-კი აოაა მთელი ოჯახის შენახვა. საშველი—სასმელი, ტანისამოსი, მტერი-მოყვარე, აქით ბიჭი კლასში, რომელიც დიდ ხარჯს თხოულობს, ყოლიფერი ელისაბედს აწევს კისერზე და გასაკვირალი—კი არაა, ამისანა პირობებში ქურდობა!..,

—რას ჩივით, კაცო,—ცხარობდენ პირველნი,—რას უშველიდა მერე ელისაბედის გაჭირვებას რვა ჭუჭულადან აღებული გროშები. ამისთანა სისულელე და მიკერძოება-კი არ უნდა იკადროთ! ვინ-ამც ივლიტაის ავყიობა არ იცოდეთ!.. ვინცხაის ღორი, ან ძაღლი შუუჭამდა ჭუჭულას და მისდგა პატიოსან ქალს და ლანძღავს. ამისთანა საქმეს იგი შარა—შარა დიეძებს და, თუ ავყევით იმას, გუულანძღავი არც ერთი არ დავრჩებით!..

— თვით ელისაბედის ყურამდი ამ ამბავმა ცოტა მოგვიანებით მოაღწია.

ამან ისე იმოქმედა მაზე, რო გონება კინაღამ დაკარგა. იგი ისტერიულ მდგომარეობაში ჩავარდა, ხან მოთქვამდა, ცხარე ცრემლებს ღვრიდა, ილანძღებოდა, გაწიწმატებული ყვიროდა.

გაბრიელა ეზოში იყო, სიმიდს ამოროდებდა, როდესაც ელისაბედის ყვირილი შამოესმა. მან მუშაობას თავი გაანება, თოხი იქვე მიაგდო და ჩქარის ნაბიჯით სახლისკენ წამოვიდა.

—რა... რა... რა ამბავია... რა ამბავია, ქალო... რო... რო ყვირი.—რო ყვირი!?..—შეეკითხა იგი ელისაბედს, რომელიც ჭიშკრიდან მოდიოდა და „ვაი-ვაის-“ს ძახილით ლოყებს იკაწრავდა.

—რა ამბავია და ჩვენი შერცხვენა, ჩვენი თავის მოჭრა!!..

—ჰო-და თქვი რა...რა.,, რა მოგვიდა!..

—კვატები მომპარეო!!. ჰო! ყოვლათ შემძლებელო ღმერთო და იოანე ნათლის-მცემელო, მოსპე და ამოაკვინკილე მათიეს ოჯახი, რამდონიც მე მისი კვატები (იხვები) არ მომეპაროს!!..

—რა... რა... რას ჩივი... რას ჩივი, ქალო?!.. რის კვატები... რა...რა... რა კვატები... რა კვატები?!!..

—რა კვატები და ჭრელი კვატები,—მკვახეთ შეუტია ქმარს გაანჩხლებულმა-ელისაბედმა,—კვატების ქურდობას გვაბრალებს,

*) იხ „ცხოვრება“, № 1.

ვერ გეიგე. მთელ სოფელში დუუყრია ხმაი!.. ყველა ლაპარიკობს!!..

ამ სიტყვებზე გაბრიელა წელში გაიმართა, თვალები ახალგაზდური ცეცხლით აენთო, პირისახე მეტის აღელვებისგან ჭარხალივით მოექცა, მთელი სხეული ნერვიულათ აუცახცახდა. იგი ამ დროს მრისხანების, შურისძიებისგან გაბოროტებული დემონის განსახიერება იყო.

—აგი გვა...გვა...გვაკლდა ამ სიბერის დროს... სიბერის დროს?!! ოხ!.. სი... სირ.,. სირცხვილო-და თავის მოჭრავ!.. თავის მოჭრავ!!.. —დაჭრილ ვეფხვივით დაიგმინა მან და ადგილიდან მოწყდა.

ელისაბედი პირველათ ხედავდა გაბრიელას ასეთ განრისხებულს; მას ახირებულათ გული არ მოუვიდოდა და, თუ მოუვიდოდა ვინმეზეიგი ერთს-კი ეტყოდა; „ფუი, შე...შე.., შეგარცხვინა ღმერთმა“ და იმ წამსვე გაშორდებოდა. ეს იყო და ეს.

ყოველივე ეს კარგათ იცოდა ელისაბედმა და ამიტომ ძლიერ გააკვირვა იგი გაბრიელას არა ჩვეულებრივმა სიფიცხემ. იგი ერთხანს გაშტერებით მიჩერებოდა მას და, როცა დორბლმორეული გაბრიელა ჭიშრისკენ გაეშურა, შეშინებული ელისაბედი უკან დაედევნა მას ბ გზა გადეღობა.

—სად მიხვალ?.. ხომ არ გაგიჟდი, კაცო.? სად შეგიძლია შენ ამდენი თრევა!,.

—გა... გა... გამიშვი... გამიშვი.. გამიშვი... —მრისხანეთ შეაწყვეტია მან ელისაბედს და გზიდან ჩამოიცილა.—მე...მე... მე ვასტავლი იმ უნამუსოს, რა...რა...რაფერ უნდა ოჯახის შერცხვენ... ოჯახის შერცხვენა!..

მარა ელისაბედი არ ეშვებოდი. იგი ხვეწნა-მუდარით მისდევდა მას და ყოველივე საშვალებით ცდილობდა, დაემშვიდებია ცრემლ მორეული, გნონბიდან გამოსული მოხუცებული ქმარი.

მამასახლისთან წავალ დღესვე, ვთხოვ... შევეხვეწები...

—რი...რი...რის მამასახლისი!... რის თხოვნა!..რა...რა...რა მაქ, ღმერთო-კი მომკალი სა... სა... სათხოვარი... სათხოვარი!.. უმამასახლისოთაც კა... კა... კარგათ გუუმასპინძლდები იმ უნამუსოს... იმ უნამუსოს!..

მიუხედავათ გაბრიელაის ჯიუტობისა, ელისაბედმა თვისი გაიტანა: გაბრიელა დაამშვიდა და მით თავიდან აიცდინა ის მოსალოდნელი უსიამოვნება, რომელიც უფრო გაამწვავებდა საქმეს.

უსაზღვრო აღელვებისგან სულიერათ და ხორცაელათაც დაქანცული გაბრიელა უკან დაბრუნდა, სახლის წინ ჯირკვზე ჩამოჯდა და მწარე ფიქრებს მიეცა.

ჩამავალი მზის სხივები ცელქათ ეთამაშებოდენ ანაზდათ აყლორტვილ მიღვრის ყვავილებს, თავჩაქინდრულ გაბრიელას სახეზე სცემდენ და წამწამებზე დაკიდებულ ცრემლის წვეთებს მარგალიტებ უცქრიალებდენ...

V.

ივლიტამ, რაც მოსალოდნელი იყო, სოფლის სასამართლოში საჩივარი აღძრა ელისაბედის წინააღმდეგ კვატების ქურდობის შესახებ. როგორც მოხსენებული მქონდა, საზოგადოება იქვის თვალით უყურებდა ივლიტას ბრალდებას და ცდილობდა ეს საქმე მორიგებით დაეთავებიათ, მით უმეტეს, რომ ელისაბედის სასარგებლოთ ერთი ფაკტი არ ლაპარაკობდა, რაც უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა საზოგადოებას, და განსაკუთრებით-კი მოსამართლეებს, რომელთაც ეს საქმე უნდა გაერჩია. აქ საჭირო იყო ზნეობაზე დაყრდნობა და არამც და არა ფაკტებით ხელმძღვანელობა, რომელსაც ადვილათ შეეძლო შეცდომაში შეყვანა თვით უბადრუკი მოსამართლენიც-კი და უდანაშაულო ადამიანი ტყვილა-უბრალოთ დაესაჯათ.

მოსამართლენიც სწორეთ ასე მოიქცენ: იმათ იმდენი იმეცადინეს, თუ თვით, თუ მოგზავნილი კაცებით, რომ ივლიტას ვარი ათი ქმევინეს თავის საჩივარზე და, ამ რიგათ, საქმე მორიგებით დაბოლოვეს.

მარა ამ შერიგების კმაყოფილი არც ელისაბედი დარჩა, არც ივლიტა. პირველი იმიტო, რო მისი შეურყეველი რწმენით ცილის მწამებელი სასტიკათ უნდა დასჯილიყო, მეორე-კი ნანობდა, რო მოხერხებული დრო გაუშვა ხელიდან და ელისაბედზე ჯავრი ველარ იყარა.

ამ ნაირათ, საქმე დაბოლოვდა. მარა ისეთ „გაყინულ წერტილზე“ დარჩა შემდგარი, რო საკმარისი იყო სულ მცირეოდენი

გარეგანი ძალა, რო წონასწორობა დაკარგოდა და მოქმედება კვლავ განახლებულიყო

შვა დღის ორმა საათმა დაკრა, „კანცელარია“ დაიხურა, ხალხი ერთის ყაყანით და აურ-ზაურით დაიშალა.

ღრმათ ჩაფიქრებული ელისაბედი-კი ჩქარი ნაბიჯით შინისკენ გაუდგა.

რა...რა...რა ქენი, ელისაბედ?—შეეკითხა მას გაბრიელა, როდესაც იგი სიცხისა და დაღლილობისგან გაწითლებული ქშენით სახლში შევიდა.

გაბრიელა საქმის გარჩევას არ დასწრებია. იგი სუსტათ გძნობდა თავს, მარა ესეც რომ არ ყოფილიყო, მის წასვლას დიდი მნიშვნელობა მაინც არ ექნებოდა. იგი, როგორც ყოველთვის, სახლში იყო და დამშვიდებით მოელოდა ელისაბედს. მართალია, პირველ ხანებში გაბრიელა ძალიან გაბრაზებული იყო, საჩხუბრადაც მირბოდა ივლიტასთან, მარა მის ბუნებით კეთილ გულში დიდხანს ვერ იბოგინა მტრულმა გძნობებმა. გაბრიელას სწამდა, რო მაღალი ღმერთი არ დაუკარგავდა მათ სიმართლეს და მათ ალალ გულს არ შეწირავდა ზვარაკათ ბოროტ, გულ-ღვარძლიან დედაკაცს. ამრიგათ, იგი სავსებით დაეყრდნო ღვთის განაჩენს და გულ დამშვიდებით ელოდა საქმის დაბოლოებას.

—ღმერთი ყვე... ყვე... ყველაფრის შემძლეა!.. სიმართლე მი... მი... მიდღემში არ დაკარგულა.—პირჯვრის წერით წარმოთქვა გაბრიელამ, როდესაც ელისაბედმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

—შენ გონია ასე იაფათ დავუჯენ იმ ქვეყნის სათრიელას ჩემს უმართებულო შერცხვენას!!.. მაშინ მე ქალს ნუ დამიძახებენ!?. ამ სიტყვებით ელისაბედი გარეთ გავიდა, სახლისწინ უზარმაზარ კაკლის ხის ჩრდილში დაჯდა.

მას თავი იდაყვზე დაეყრდნო და ჩაფიქრებული სივრცეში გაიყურებოდა.

შვენიერი საღამო იდგა. გრილი ნაზი ნიავი ოდნავ დაქროლავდა და იდუმალ ხმებს ჩასჩურჩულებდა ყოველივე არსს. შვა დღის პაპანებიდან სულ შეხუთული ბუნება გამოფხიზლებულიყო და იწვევდა თვის წიაღში ყოველივე სულდგმულს საზეიმოთ.

მზე უკვე გადახრილიყო და ნაზათ ეალერსებოდა ხავერდოვან მიდამოს.

იქ, სადღაც შორიდან ისმოდა ბულბულის გულის ჩამთხრობი სტვენა—რაკრაკი, რომელიც საუცხოვო მელოდიებით ჰიმნს უთხზავდა ბუნების სიდიადეს და სიტურფეს.

მას ეჯიბრებოდენ სხვა და სხვა ჯურის ფრინველები და თავიანთი უცნაური ჟივილ ხივილით ცდილობდენ ჯაბანი არ ეჭამათ ბულბულის წინაშე—ასეთია ბუნების წესი.

მეზობლის ეზოდან ისმოდა მომუშავეთა მხიარული „ნადური“ და დროგამოშვებით ხმამაღლა ლაპარაკი და სიცალ-ხარხარი.

ეკლესიის ფართე გალავანში, რომელიც იქვე რაღაც ორასი საჯენის მანძილზე იმყოფებოდა, მოთამაშე სოფლის ბიჭების ყვირილს და ორონ-ტრიალს ყურთა-სმენა მიქონდა.

ყველაფერს მხიარულების ბეჭედი აჯდა, ყველაფერი საზეიმოთ მორთულიყო და ხარბათ დაწაფებოდა სიცოცხლის ნექტარს.

მხოლოთ ელისაბედი არ ღებულობდა ბუნების ამ საერთო მხიარულებაში არავითარ მონაწილეობას. იგი დაღვრემილი იჯდა კაკლის ხის ძირში, თითქო გაქვავებულაო, და მწარე ფიქრებს მისცემოდა. მისი ერთ-დროს სიცოცხლით სავსე, ახლა-კი ცივი შურის ძიებით სავსე ჟუჟუნა თვალები ცრემლებით გავსებოდა. საკმარისი იყო სულ ცოტაოდენი გძნობის თამაში, რო წონასწორობა დაკარგულიყო, ცრემლებს გზა გახსნოდა და ნაკადულივით ჩქეფა დაეწყო.

პირი სახე, რომელიც დროთა ბრუნვისგან ნაოჭებით დასეროდა, ისე დამანჭოდა, რო გეგონებოდათ, ეს ადამიანი მძიმე ავათმყოფობას შეუპყრია და უსაზღვრო ტკივილებს აყენებსო.

გაფითრებული ტუჩები უთრდოდენ, თითქო ლაპარაკობსო.

დიახ! ელისაბედი ლაპარაკობდა, ეჩურჩულებოდა თავის თავს, იგონებდა წარსულ უბედურებას, გეგმებს აწყობდა, თუ როგორ გადაეხადა სამაგიერო შეურაცყოფის-

თვის. რა ნაირათ ემოქმედნა, რა გზას დადგომოდა, რომ იგი ყია-მყრალა ივლიტაი დაესაჯა, საქვეყნოთ შეერცხვინა.

„ოხ, ღმერთო! მოწყალეო ღვთის მშობელო! შენ დუუბნიე ივლიტას ტარაბუაი, მე იმან ტარაბუაი დამიბნია და სირცხვილი მაპამა. იგი უნდა შერჩეს იმას!. ასე უნდა ჩეიაროს ჩემი თავის მოკვლამ!!.. არა .. არა... აგი ყოვლათ შეუძლებელია, მე ვერ გადვიტან მაგას... სიკვდილი ათასწილათ ჯობია... მარა — რით გადვუხადო... რა საშვალებით... კაცის მოკვლა არ შემიძლია, ღმერთო შეგცოდე!.. ღვთის გაჩენილს რაფერ უნდა შეახო კაცის ბინძური ხელი!.. მაშ... დავწვავ!.. გავაპარტახებ... გავანადგურებ!...—“ ელაპარაკებოდა ელისაბედი თავის თავს და ცდილობდა გადაელახა ყოველივე დაბრკოლება, ჩაექრო თავის თავში სიბრალულის გძნობა, ყოყმანობა და მტკიცეთ შედგომოდა გადაწყვეტილების შესრულებას. მარა ამაოთ. „მფარველი ანგელოზი“ სულ წინააღმდეგს ჩასჩურჩულებდა მას, გზას უღობავდა ცუდი მოქმედებისკენ.

—არა... არ შემიძლია.. უნამუსო დედაკაცის გულიზა სულს ვერ წევიწყმედ!.— სხვა მიმართულებას ღებულობდა ელისანედის ფიქრთა ბძოლა—ვუჩივლებ სუდში, მიროის სუდში შეურაცყოფიზა... დასჯიან... უეჭველათ, დასჯიან... აგი უკეთესია... ასე აჯობებს... მარა ფული ხომ უნდა ამას!.. და ელისაბედს სახე უფითრდებოდა, ნაოჭები უფრო უღრმავდებოდენ. მას ხომ ერთი კაპიკიც არ გააჩნია, ორი აბაზი ძლივსღა-იშოვა ბავშის წიგნის საყიდლათ, რომელიც ამოდენი შფოთის და დავიდარაბის მიზეზი გახდა და სად უნდა იშოვოს იმდენი ფული, რო სუდში საქმე აწარმოოს!.. ამას ხომ აბაზობით არ ეყოფა!..

ელისაბედი დიდ ხანს იჯდა იმ საკითხზე ჩაფიქრებული, მარა გამოსასვლელი გზა-კი ვერ მოენახა. უცებ პირისახე გაუნათდა, ზედ საამურმა ღიმილმა გადაურბინა და ნაოჭები გაუსწორა. ეტყობოდა, რო რაღაც დიდებული აზრი დაებადა.

ის—ის იყო ასადგომათ წამოიწია, რომ ახლავე შედგომოდა დასახულ მიზნის გახორციელებას, მან თვალი მოკრა შალიკოს, რომელიც ამ დროს მისკენ იხვებს მოერეკებოდა.

—რას ერჩი, ნენა, ამ იხვებს? რეიზა მოდენი?. ალერსიანა შეეკითხა იგი შვილს ტ მისკენ ფეხი გადადგა.

—ნენა! ამ შავი იხვის ჭუჭულები არ იყო, შენ რო შუშანიკას მიყიდე?.—მოულოდნელათ შეეკითხა შალიკო დედას და ერთ მოზდილ იხვზე მიუთითა.

—ხო, შვილო, ამის ჭუჭულები იყო..,

აბა, ივლიტამ რეიზა დაგვაბრალა ჩვენ ქურდობა!..მისი კვატები ხომ არ გაგვიყიდია და, რა უნდოდა ჩვენთან!..—გულ უბყვრილოთ წარმოთქვა შალიკომ და დედას თვალებში შეაშტერდა, რო პასუხი გაეგო. ეს სიტყვები ისე მოულოდნელი იყო, შედარებით, პატარა შალიკოსგან, მასში იმდენი გძნობა და ამ ქვეყნიური ზრახვათა გაუგებრობა გამოსჭვივოდა, რომ ელისაბედის ისედაც დაკოდილი გული ერთი ორათ დაისერა და უნებლიეთ ცხარე ცრემლები წასკდა თვალთაგან.

მან ვერაფერი პასუხი მისცა შვილს, პირი იბრუნა, რო ცრემლები დაეფარა და ჩქარის ნაბიჯით სახლისკენ გასწია.

შალი-კოკი გაცვიფრებული იდგა ერთ ადგილას. ეტყობოდა, რო იგი ძლიერ შეაწუხა დედის სულიერმა ტანჯვამ, რომლის გამომხატველი ის უნებლიეთი ცრემლები იყვენ, რომელნიც მარგალიტებ დაეკიდენ მის დასერილ ლაწვებზე. ბავშის პაწაწკინტელა გული დედისადმი სიბრალულით და გაორკეცებული სიყვარულით აივსო. იგი ახლა მიხვდა, რო მის საყვარელ „ნენას“ ტყვილა-უბრალოთ ქურდობა დასწამეს; განა „ნენაი“ მეიპარავდა სხვის კვატებს, მან ხო თვისი კვატები გაყიდა. აი, იმ შავი იხვის ჭუჭულები და მას წიგნი უყიდა!.. დედის ცრემლებმა ნათლათ დაანახვა მას ყოველივე ეს; გიუგებარი, ბუნდოვანი ამბავი გააგებინა, გაურკვია და აშკარა უსამა-

რთლობა, ცილის წამება მისთვის თვალსაჩინო გახადა.

(შემდეგი იქნება)

გ. კბრაძიე.

ძველებური დღეობა—დღესასწაულები სოფლათ.

(მოგონება).

ქვეყანა დამდოვრდა. ყოველგვარი ძველი ჩვეულების ელფერი დაიკარგა, ახალზე შეიცვალა. ჩვენ ქართველები ამყოლი ხალხი ვართ. ვნახავთ ახალს რასმე, თუარა, გათავდა. იმას ისე მივიღებთ, რო თითქოს მამაპაპათაგან ნაანდერძევს, დიდ რამ სამამულიშვილოს ვასრულებდეთ. კარგია იგი, თუ უარგისი, ამას სრულიათაც არ დავდევთ. ამ აყოლ ჩაყოლით, იმ გადაგვარების წერტილს მივადექით, რომ უკან დახევა, ჩვენი ძველი ზნე—წესის გათვალისწინებაც ვერ მოგვიხერხებია, რო მართლაც უარგისი უკუვაგდოთ და სავარგისი დავაფასოთ, კვლავ შევინარჩუნოთ, ავწონ-დავწონოთ მაინც.

ასე, ამ გვარათ ყოველგვარი ჩვენი ძველი, მამაპაპთაგან ნაანდერძევი ქართველური ჩვეულება დავკარგეთ და ნაცვლათ რაღაცას მივსდევთ. მარა, ვერ ვხვდებით, რომ ეს რაღაცა ჩვენ სულსა და გულს ვერ წვდება, ვერ ატკბობს, ესთეტიურ სიამოვნებას ვერ გვაძლევს.

ამისთვის მოგახსენეთ, ქვეყანა დამდოვრდა—მეთქი. ყოველი კაცი თავჩაღუნულია, მუდამ ფიქრში გართული.

რაღაცას ფიქრობს, რაღაცას იგონებს, ვერ გამოურკვევია თვისი მდგომარეობა. ცხოვრება გართულდა, ახალმოდის ცხოვრებას ვერ ავუთავდით, ძველებურათ ცხოვრება გვერცხვინება, არც შეიძლება ძველებურათ ცხოვრება და კიდევ რაღაცას ველით, ვეძებთ. მარა ვერ გვიპოვნია. მუდამ ვწუხვართ და მხიარულებას ვეღარ ვახერხებთ. დროც-კი არა გვაქვს ამისი...

კაცს ბუნების მოთხოვნილება-კი ასეთია: ხან შრომა, ხან მოსვენება; ხან მწუხარება, ხან მხიარულება, ხანაც მოწყენა, დრო და დრო გაცინება, თამაში, შექცევა და, აი, ამ გაცინების და შექცევა—მხიარულების უნარი დაკარგა ახალმა ცხოვრებამ....

ჩვენ უმეტეს ნაწილათ ქალაქელები ახლა თეატრებში დავდივართ შესაქცევათ; თეატრში შესაქცევ—გასართობათ-კი თავაღებით არ უნდა დავდიოდეთ, არამედ ცხოვრების დასაკვირვებლათ. იქ ვნახავთ ჩვენ ცხოვრების სიმახინჯესაც და სისპეტაკესაც. იქ კაცს სიდინჯე მართებს, დაკვირვება, მსახიობთაგან განსახიერებულის აწონ—დაწონვა, კარგის სასარგებლოთ გამოყენება, დაუმსგავსო, მახინჯი ნახული მოქმედებისადმი ზიზღი და უკუგდება. თეატრი ცხოვრების სარკეა და შიგ დაკვირვებით ჩახედვა უნდა, რომ აქ დავინახოთ ცხოვრების, როგორც სიმახინჯე, ისე სისპეტაკე, რომელსაც სწორი ანგარიში უნდა გავუწიოთ....

აქ რა შვაშია გართობა, მხოლოთ და მარტო გართობა...

დღეინდელი ჩემი საუბარი, რაზედაც მე ეს ამბავი დავიწყე, უფრო სოფლის ცხოვრებას შეეხება და თეატრის ამბავი, თუ ჩამოვაგდე, ეს მოვლინება ახლა სოფლებშიაც ხშირია და ხშირათ გართობის სახით ეგებებიან მას. შეუგნებელთა განცდით: კომედია, დრამა და ტრაღედია-კი ერთი და იგივეა. მე ხშირათ მინახავს, უსაშინელესი დრამა სრულდებოდა მსახიობთაგან, მაყურებელთა შორის ნაცვლათ ტირილისა, სიცილ-ხარხარი იყო.

სოფლათ წარმოდგენებს მართვის დროს, აუცილებელი საჭიროა, პიესის დაწყებისას, მისი განმარტება და მნიშვნელობის ახსნა, რო ხალხმა, მხოლოთ და მარტო გასართობათ არ ჩათვალოს წარმოდგენები და, სარგებლობის მაგიერ, წყლის ნაყვა არ დაგვრჩეს ხელში....

დღეინდელი ცხოვრება, შედარებით, ძველ ცხოვრებასთან მეტის მეტათ ძნელია,—ერთი ასათ... დავასახელოთ ზოგი რამ და შევადაროთ ახალი და ძველი: ახლა სახლების კეთებაში ერთი მეორეს ეჯიბრება. უზარმაზარი აყუდებული ქვის კედლები, ორ სამ სართულიანი, იატაკი და თავანი (ჭერი, —როგორც ეძახიან) გასპეტაკებული სახის; გალაქვას რომ არ ჯერდებიან, მომუზაიკებული, ჭრელი საიატაკე მოაქვთ საზღვარ გარედან და იმას აგებენ. ერთის მაგიერ, ორმაგ მინის ფანჯრებს უკეთებენ და, შვაში რო ჩარჩომ არ შეუშალოს სინათლეს, ამიტომ თითო საჯენის სიმაღლე შუშას უდგმენ უჩარჩოთ. შიგ ორ წყობათ

უკეთებენ ფარდებს კარსა და ფანჯრებს. კედლებს ათასნაირ შლინტი ფრინტებით აჭრელებენ! გერმეტიული ფეჩებით და სხ. და სხ. ახლა სამზარეულოს მოწყობილება, შიგ ათასნაირი საჭმელის კეთება და ხვა.

ძვირფასი ტანსაცმელის შემოღებამ ხომ უკიდურესობაში ჩააგდო ხალხი. ახალმა ტეხნიკამ რა მანქანები არ მოგვცა? და მით იქსოვება მატერიები. ალაბი 15 და 20 მანათიანი: დიაგანალ—დრაფები, შალ—აბრეშუმები და სხ. საფეხსაცმლო ტყავები? შევრო, ბოკსი, ზამში, ლაკიროვანი, ლაიკა და, რავიცი კიდევ, რამდენი ბატინკები, ბატინკები-შეპრენტები იციან.... როგორც ქალაქები, ისე სოფლებიც ამ გვარებს ეტანება, ერთი მეორის მიხედვით. ამ ძვირფასი მატერიების ყიდვა და ხმარება, სიმდიდრე—სიღარიბის გაურჩეველათ ხდება და, რა საკვირველია, მდიდარი, თუ თვისი ფულით ყიდულობს, ღარიბი ნასესხებით. მარა მდიდრებიც არა გვყავს და, საერთოდ, ყველა იწელება და სწორეთ ამის მიზეზია, რო ყოველი კაცი გულ ჩათხრობილი ლ თავჩაქინდრული დადის. მუდამ ფიქრშია, მარა გართულებული ცხოვრება, ვერ მოუხერხებია...

ზემოთ მოგახსენეთ: კაცს, ხან თუ ბევრი რამ აწუხებს, ხან უნდა გაიცინოს, იმხიარულოს-მეთქი და ახლანდელ კაცს, რაღა გააცინებს, რაღა ამხიარულებს, რა მოაცლის საამისოთ!

ძველათ ასე გართულებული არ იყო ცხოვრება და მხიარულება-შექცევაც მეტი იცოდენ. ცხოვრება სადა იყო. საუკეთესო სახლათ სოლომონ მეფის სახლი ითვლებოდა მთელს იმერეთში, რომელსაც ოქროს ჩარდახს ეძახდენ და ხომ იცი მკითხველო, სად არის ახლა ეს სახლი? ეს სახლი ახლა ქუთაისის გიმნაზიას სამზარეულოთ აქვს. რიონის პირზეა გადადგმული და უკანა სვეტები რიონში უდგას. ამ უბრალო ყორით აშენებულ ერთ მოგძო ოთახზე ასეთი ლექსი აქვს ხალხს შეთხზული:

ნეტა, რა არი მიხთანა,
ამომავალი მზისთანა,
ქუთაის მეფის სასახლე,
იმ ოქროს სარდახისანა.

თუ მეფეს ასეთი სახლი ქონდა, სხვას რაღა ექნებოდა? ედგათ ბოყვის სახლები, დაანთებდენ შვაში ცეცხლს, გაქონდა გუზგუზი, დაალაგებდენ შიშველ სუფრაზე პურსა და ღვინოს, მოუსხდებოდენ და იყო ერთი ალავერდი და იახშიოლ.... მე გეტყვით თქვენ და ღვინო არ ქონდათ ცეცხლივით. ხან და ხან ცეცხლში იცოდენ ჭიქით ღვინის შესხმა: აბა, როგორი მაგარიაო და, როცა შეესხამდენ, ისე აკრავდა ალი, რომ ახლა ნავთი რომ დაასხათ ცეცხლზე, იმაზე მეტს ალს ვერ ააგდებს. ტანფეხიც სადათ იცოდენ. ახლანდელი ერთი ალაბი დიაგანალის ან პლუშის ფასით თავიან ფეხებიანა შეიმოსებოდენ. კარგი ჩალის ჩოხა ჩვენებურ დგიმ—სავარცხელზე შოქსოული, დარაიას ახალუხი, ფეხზე ხარაზის წუღა, ან ლაფჩინი, რომელიც საუკეთესოთ შეკერილი შვიდ აბაზათ იშოვებოდა (უკეთესი არც იშოვებოდა) და გათავდა საქმე. ჩითი, ნარმა და მიტკალიც ბევრი იყო: ალაბი სამშაურათ. ამგვარათ, მანდილოსნებიც სადათ ეწყობოდენ. მარა არ იფიქროთ უშნოთ ეცვათ. ძალიან შნოიანათაც. შვენიერი მოსახურავი იცოდენ: ქათიბი, სალოფი და სხვა მარა სულ სადა, შნოიანი და იაფ ფასიანი. ახლანდელ ქალს, რო კარგა გამოწყობა მოუნდომოთ, ერთს 500 მანათით ვერ გამოაწყობთ. ღმერთმა ეშმაკი დასწყეველოს! ახლანდელ ქალებს: არც სწავლა განათლებას ვაკლებთ, არც საუკეთესოთ ჩაცმა-დახურვას; რუსული, ფრანგული, ნემეცური სულ ბეჭერივით ვასწავლეთ. მარა, როგორც შეფასებაზე მიდგება საქმე, იმ ძველ დედებს, ერთს ათათ უფრო აფასებენ, ვიდრე ახლანდელ მოპარუსკე დედებს და, რავიცი!...

მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, მამაჩემმა ერთი ორ თვალიანი სახლი გააკეთა, რომელსაც ოდას ეძახდენ. გურიიდან მომავალი, როცა საჯავახოსკენ გადმოიხედავდით წიფნარიდან, თვალში ყველაზე უწინ ის მოგხვდებოდათ. ხუთ ექვს სოფელში იმის მეტი ოდა არ იდგა და, თუ ქუთაისიდან ოზურგეთში, ან ოზურგეთიდან ქუთაის მიმავალი მაზრის უფროსი, ან რომელიმე ჩინოვნიკი დაიძროდა, უთუოთ ჩვენს სახლში, უკაცრავათ, ოდაში გაითევდა ღამეს, რა საკვირველია ოდის მიზეზით. (მაშინ რკინის გზა არ იყო და ჩვენს ეზოზე მოდიოდა საქუთაისო გზა). ახლა მოსახლეს ძვირათ ნახავთ, რომ ოდა არ ედგას. სოფლელებმა ქალაქელებს წაუმზირეს და ქალაქებში, თუ ქვიტკირის სახლები დამართეს, სამაგიეროთ სოფლათ ხის ოდები წამოჭიმეს. თან ცხოვრება გაართულეს, მარა, სამწუხაროთ, ხეზე ყურძენმა იკლო, ნაცარმა გაანადგურა, შიწა გამოფი-

ტდა, ნოყიერება მოაკლდა და მოსავალმა იკლო. წინათ, თუ მოსახლე კაცს სამი ქცევა მიწის მოსავალი ყოფნდა, ახლა ათი ქცევა უნდა დაიმუშაოს, რომ უყიდლათ შეინახოს ოჯახი. წინათ, როცა მიწა მეტ მოსავალს იძლეოდა, ძნელი დასამუშავებელიც იყო. ძალიან იშვიათად იქნებოდა მოსახლე კაცი, რომ ერთხელ ნადი(მამითადი)მაინც არ მოეწვია. ამგვარათ, ისმოდა ყოველდღე ნადური, ყანის სიმღერა; გაქონდა გუგუნი სიმღერას ყოველი კუთხით, რომელიც სულსა და გულს უტკბობდა მსმენელს. ახლა, თუ მანათათ და მანათნახევარ ნაკლებ ვერ იშოვით დღეში მუშას, მაშინ ქირა სულ არ იცოდენ.

და სიამოვნებით ეხმარებოდენ ერთი მეორეს. ნადის მოწვევის დროს, თუ მეზობელ ახალგაზდას არ მიიწვევდით ნადში, დაგენდურებოდა. ქორწილის მსგავსათ, უხაროდათ ნადობა, რათგან, თან მუშაობდენ და თან მღეროდენ, საოხუნჯო სიტყვებით ერთობოდენ. ღვინოაუარებელი ქონდა ყველას და მასთან არც საჭმელი უჭირდათ. ამიტომ ნადის მოწვევა არავისთვის სიძნელეს არ შეადგენდა. მაშინ, თუ მძიმე სამუშევარი იყო, ახლა ისე მჩატე და გამოფიტულია სამუშევრათ მიწა, რომ ერთი ბიჭი ათ ქცევა მიწას მოუვლის.

ახლა, თუ ცხოვრების ათასგვარი საჭიროება არი, მაშინც ისე იყო. მარა ცხოვრება სადა იყო და საჭიროებასაც ადვილათ ისტუმრებდა კაცი. ახლა, რომ ერთ კვერცხზე საჩივარი აგიტყდეს ვისმესთან, შეიძლება ათასი მათის ხარჯი მოგედვას და სულ წინათ ათასი მანეთის საქმე ერთი წამის განჩინებით წყდებოდა და მომჩივან-მოპასუხეც დამშვიდებული რჩებოდა. ახლა, თუ მომრიგებელი სამსაჯულო, საოლქო სასამართლო, „პალატა“ და „კასაცია“ უნდა მოიაროს უბრალო საქმემ, მაშინ ხის ჩრდილში და სულ სადათ წყდებოდა. ახლა, თუ „უადვოკატოთ“ საქმე არ კეთდება, მაშინ მომჩივან-მოპასუხის და მოწმეების დაკითხვით სულ ერთ საათში თავდებოდა და სიადვილე იყო ყოველგვარათ და ყველაფერში.

ახლა სულ ვიძახით: განათლება და განათლებაო, და, მართლაც, სიტყვა განათლება, როგორც გასაგონათ, ისე თვისი მნიშვნელობით ისეთი რამ არი რომ ამაზე უდიდესი სასარგებლო აღარა არის რა. მარა, საუბედუროთ, განათლება ქვეყნის დასაღუპავათ და ხალხის გასანადგურებლათ უფრო გამოვიყენეთ, ვიდრე საბედნიეროთ. მეცნიერებამ ისეც-კი მოგვიტანა, სხვათა შორის, რო მიწაზე სიარულს აღარ დავჯერდით და ჰაერზე დავფრინავთ. დიდებული მიწდომაა მიუწდომელისა და გასაკვირი გამოგონებაა მარა. ეს დიდი მოგონებაც კაცთა გამანადგურებელ იარაღათ გამოვიყენეთ. აგერ, რო შვიდობიანი ხალხი ცხოვრობს თავისთვის, უცბათ გადაუვლის ცეპელინი თავზე და ათი ვერსის სიმაღლიდან დაცხებს ყუმბარებს და, ვინ იცის, რამდენ უმანკო სულს მოუსპობს სიცოცხლეს და გაანადგურებს. წინანდელი კაცი, რაც უნდა ცოლშვილის ამომწყვეტი მტერი ყოლოდა, ამგვარი არამზადობით სამაგიეროს არ გადაუხდიდა.

მართალია, დღეინდელი განათლების მეათასედიც არ იყო მაშინ. მარა ცხოვრებას დიდებულათ ახერხებდენ. ომის დროც უფრო სინიდისიერი იყო და შვიდობიანობის დროც. თავთავის დროზე ყველაფერს შეგნებულათ და ურცხვენელათ ასრულებდენ.

რაკი ცხოვრებას ყველაფრით საადვილოთ, სადათ ასრულებდენ, შექცევა მხიარულებისთვისაც მეტს დროს შოობდენ და შვენიერი გასართობებიც იცოდენ. ყოველ სოფელს თავი ანთი ტაძრის დღესასწაულები ქონდათ, ამ დღეობებზე ერთმანეთის მიწვევა და საზოგადო მხიარულება გაჩაღებული იყო. მაშინდელი სმა-ჭამა და ლხინი სანეტარო ამბავი იყო. სუფრაზე ყურთა სმენის დამტკბობი საღვთო გალობა და საერო სიმღერა, გულის სიღრმეში წვდებოდა კაცს, და ყოველგვარ გულის ჯავრს შორს ფანტავდა...

ნასადილევს შეიკრიბებოდენ ტაძრის გალავანთან და, აბა, აქ უნდა გენახათ ხალხის მხიარლუება და შექცევა. აგერ, ერთი გუნდი საერო სიმღერას დაგუგუნებს; აგერ, საღვთო ძლის პირებს, იქ გახურებული დაირი და ცეკვაა, აგერ, კიდევ წრე გაუკეთებიათ და ექით იქით სიმღერით ერთი მეორეს ეშაირება საოხუნჯო შაირებით, ერთი მეორეს ეჯიბრება. ხალხი სულგანაბული უყურებს ამას და საუცხოვო, ერთი მეორეზე უკეთესი მოსწრებული შაირების მოსმენით მთელი ხალხი სიცილით ეფინება იქით აქით. ყველგან ერთი მეორეზე უკეთესი სანახაობაა და ვერ მოგიხერხებია, შენი ყურათღება, რომელ მხარეზე შეაჩერო. აგერ, მოაწია დროც და ემზადებიან საჯირითოთ. მარა ჯერ კარი უნდა გამართონ; ამ დროს სიმღერა და სხვა გასართობები შეწყდება და მთელი ხალხის ყურათღება ცხენოსანთა მოკარე-

მოჯირითესკენაა, აი, გაკეთდა ფართე, განიერი წრე მთელი ხალხისა, ძალიან შორს მანძილზე; ჩადგენ წყვილ-წყვილათ ყმაწვილები ცხენებით ორი ერთათ მოაჭენებს; საქმე ის არი, აბა, რომელი გასწრებს; ორს კიდევ ორი მოსდევს, ორს კიდე ორი და ასე გძელდება, ზოგს ცხენი წაექცევა, ზოგიც ერთი მეორეს შორს ჩამორჩება და ამ დროს არი ხალხის სიცილ-ხარხარი. ასე, ამ რიგათ, თავდება კარის თამაში.

ამის შემდეგ, კვლავ კეთდება უზარმაზარი ფართე რგვალი წრე. ორის მხრით ჩამწკრივდა მოჯირითენი საუცხოვო გაწვრთნილ ცხენებით. ხელში ყველას მოგძო ჯირითი (ჯოხები) უჭირავთ.

გამოდის ერთი ყმაწვილი, მოაჭენებს ცხენს, წრის შვა ადგილამდი და კვლავ გაბრუნდება ჩამწკრივებულ ამხანახებისკენ. გაბრუნებისას, მეორე მხრის მოჯირითე გამოედევნება და ესვრის ჯირითს და დაბრუნდება იმწამსვე; ამ გამობრუნებულს მეორე მხრის მოჯირითე გამოედევნება და ესვრის. ახლა ეს რო გამობრუნდება, ამას ესვრის აქეთური მხრის მოჯირითე და, ამგვარათ, გძელდება ჯირითობა.

ნასროლი ჯირითი ხშირათ მიზანს აღწევს, ხვდება ვისაც ესვრიან და, აბა, მაშინ უნდა უყურო მთელი ხალხის ერთათ კოლეკტივურ გაცინებას. მხიარულობა უზომოა და ამაზე უკეთეს შექცევას კაცის თვალი ვერ ნახავს...

ჯირითობა მეტისმეტი სამხიარულო გასართობია და ყმაწვილთათვის განსაკუთრებით გულის დიდათ ამჩქროლებელი. ძალიან სასიამოვნო საყურებელია და, თუ ერთხელ მიეჩვიე ამ თამაშს, სხვა რომ თამაშობდეს და შენ უცქეროდე, ვერ მოითმენ, მეტათ შეწუხდები, შენც ჯინი შამოგაწვება თამაშისა.

რ. საჯავახოელი,

(შემდეგი იქნება).

ჩემი წერილი,

გამომიქროლებს ჟამთა გრიგალი,
არყოფნის ველზე დამასამარებს
და დროთა მტვერი დავიწყებისას,
შავ ბნელ სუდარას გადამაფარებს!..

მაშინ, შორეულ მომავლის შვილო,
წყნარათ აფურცლე, შენ, ეგ წერილი
და გადიკითხე, თეთრი სიტყვები,
შავი განცდებით გადასერილი. —

მკრთალი აჩრდილი ჩემი სულისა
მასში იდუმლათ დაგეხატება, —
ვით მოჩვენება, გარდასულისა,
ან შორს მომავლის ბუნდი ხატება...

... და ამ სიტყვებში, უხმო სიტყვებში,
გძნეული ჰანგი ამეტყველდება,
ამეტყველდება თვით ჩემი გული
და ღვთიურ ცეცხლით წინ აგენთება!

და იგძნობ მაშინ, რო წარსულშიაც
იყო ცხოვრება და ფეთქდა გული...
იქაც იღვწოდენ მომავალისთვის
და მათაც ქონდათ მსგავსი წარსული!..

მასშივ მოისმენ ბედის წყევის ხმებს,
ხმებს უიმედო სიყვარულისას,
აწმყოს გმობას და სხვას მრავალს, მრავალს
იდუმალ ზრახვას, შენივ გულისას!..

და თაგვს საწიწკნათ მტვერში გდებული
ყველაფერს გეტყვის შენ ეგ რვეული,
ყოფნა-არყოფნის საიდუმლო-კი
ბნელში დარჩება კვლავ გახვეული.

და ხვალაც, ვითა აწმყო-წარსულში,
მწარეთ დაფლეთენ გულს ეგ კითხვები,
ვით მე ჭიები და ამ ჩემს რვეულს
ჟამთა ჩრჩილი და შავი ვირთხები!..

კვალათ იქროლებს ჟამთა გრიგალი
და შენც ჩემსაებ დაგასამარებს
და დრო სუდარას დავიწყებისას
ყველას, სულყველას გადააფარებს!

ეგ სიტყვები-კი, ძველი სიტყვები
ახალ სევდებით გადასერილი,
არ დაცილდება მარადისობას,
ვით არაობას ჩემი წერილი!...

ილ. გოგია.

ბიბლიოგრაფია.

(გიორგი ⊥ გეურქა, ამბავი, მელანიასი.)

„ბნელოს“ ცნობილი ავტორი, მაღალ ნიჭიერი ქართველი ბელეტრისტი, წმინდა ხალასი რეალისტია.

მელანია დიდი მცოდნეა თვისი უშვენიერესი და უმდიდრესი კახეთისა, იგი უწვრილ მანდება ამ კახელების ახლანდელ ცხოვრებას და ამ ცხოვრების დუღილიდან მას ამოაქვს დიადი დრამატიზმით სავსე სახე-სურათები, რომელნიც მხატვრულათ შლიან ჩვენი თვალის წინ ამ ცხოვრების ყოველ დღიურ ვითარებას.

მელანიას ნაწერებს ყოველთვის აზის ბეჭედი ერთი განსაზღვრული ინდივიდუალური ტალანტისა, რომლის ანალიზს ჩვენ უკვე ვუძღვენით ერთი დიდი სტატია ჟურნალებში: „კვალსა“ და აკაკის კრებულში. მარა, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, იგი სტატია ვერ დავასრულეთ და ახლა ვეცდებით ერთიანა მოვათავსოთ ჟურნალ „ცხოვრებაში“. იქ, იმ სტატიით ჩვენი ახალი ჟურნალის ახალი მკითხველი დაახლოვებით გაიცნობს *), თუ ვინც არი ბელეტრისტი მელანია.

გიორგი და გეურქა ამ ბელეტრისტის ახალი ნაწარმოებია, რომელიც ახლახან დაუსტამბავთ თფილისში. ამ ნაწარმოებში დახატულია დამოკიდებულება ქართველ მემამულისა და სამშობლო დაკარგული ადამიანის, სახელათ, ერთ ვიღაც ბეგანისა.

როცა ეგ ვიგინდარა, თითქმის მათხოვარი ბეგანა გიორგის მამულზე მოიკალათებს და, მაშასადამე, ნივთიერათ მოღონიერდება, ბეგანის დაძახებას ძალიან იწყენს და ეტყვის თავის მოკეთეს:

— მე სახელათ გეურქა მქვიან, კნიაზ!

რაღა ბევრი გავაგძელო, გეურქა დიდი მამულების, დიდი ფულის პატრონიც შეიქნა და, მაშასადამე, შეიქნა ტიპიური წარმომადგენელი სომხის ბურჟაზიისა ჩვენში.

*) ჟურნალ „ცხოვრების“ ახალ წლის ნუმრიდან ვიწყებთ მელანიას ახალი მხატვრული ნაწარმოების სტამბვას. **რედ.**

იგი ახლა მარტო გეურქობასაც აღარ კადრულობს. როცა გიორგი კნიაზი მას მოკძალებით ეუბნება: გეორქ სიმონიჩო, იგი გაწყრომით და გაჯავრებითაც ეტყვის:

— პარუნ გეურქ სიმონიჩ—თქო!..

— პარუნ გეურქ სიმონიჩ, რა არი, რომაგისთანა სასტიკობა არ გამოგეჩინა!..

— რა გინდა? ცოტა მაღლა თქვი; მე არ მესმის კარგათ, როცა ჩემ სასარგებლოთ არა ლაპარაკობენ....

—ჰო, კარგი, გაჯავრებული ხარ ჩემ უფროსს შვილებზე, უნცროსმა ხომ არაფერი დაგიშავა, რომ იმასაც თან ატან. იმისი ხო ყოველთვის მადლიერი იყავ და აქებდი. ერთ დროს სიძეთაც-კი გინდოდა გაგეხადნა.

— ხა, ხა, ხა!.. სიძეთ გამეხადნა!.. მე პარუნ გეურქ სიმონიჩ აზატიანცს სიძეთ გამეხადნა ვილაც ჭკვა გახვრეტილი ქართველი!..

. . . . . .

ბოლოს, საქმე იქამდი მიდის, რო პარუნ გეურქ სიმონიჩ აზატიანცი გიორგის დაემუქრება კიდეც...

— ნუ თუ ძალაცა და სამართალიც შენ ხელშია, რომ ასე იმუქრები!

— საცა ფულია, ძალაც იქ არი, გავლენაცა და სამართალიც! როცა ჯიბე ფულით გატენილი მაქვს, ციდამ მთვარესა და ვარსკვლავებს ჩამოვალაგებ! არ იფიქრო, რომ ამისი თქმისა, ან მეშინოდეს, ან მცხვენოდეს‘‘.

აქ ცხოვრების მთელი ფილოსოფიაა მხატვრულათ აღწერილი.

გიორგი და გეურქა იძლევა მდიდარ, ცოცხალ და დიად მასალას ჩვენი აწინდელი ცხოვრების ფილოსოფიისა და კრიტიკისთვის. ჩვენი თანამედროე ცხოვრების კონტრასტები და დიალეკტიკა ბევრ ქართველ და სომეხს თავსაც ულაყებს, მწარე გულის თქმით გატაცებულნი ერთი მეორეს ლანძღავენ და იმუქრებიან... მწარეთაც იმუქრებიან.

ჩვენი ახლანდელი გართულებული ცხოვრების ანომალიას-კი ეს ინტელიგენტები ძალიან ზერელეთ უყურებენ და იმ ტიპიურ ეპიზოდებს, რომელთაც ათასში ერთხელ, ხილათ ხატავს ქართული და სომხური მხატვრული ლიტერატურა, აფუჩეჩებენ, ხმასაც არ იღებენ,

თითქო ეს დიადი, ჩვენი ცხოვრების მხარეები ჩვენ არც-კი გვეხებოდეს და ქართველ-სომეხთა პოლიტიკური ფიქრის, გძნობა-გონების საჭირ. ბოროტო საგანს არ წარმოადგენდეს...

დიადი ვალდებულობა აწევს კისერზე სომხის და ქართველების დემოკრატულ ახალ-თაობას. ისინი, რა თქმა უნდა, დაგმობენ გეუ-რქასანა უგულოებს, რომელთაც მხოლოთ და მარტო—ფული გაუღმერთებიათ და თავიანთი უდრეკი, მოუხეშავი ხასიათით და ყოფაქცევით პირდაპირ ანტისოციალურ ტიპს წარმოადგენენ... ახლანდელმა დრომ უნდა გვიკარნახოს ჩვენ, რო სომეხ-ქართველთა შორის ატეხილს ანტაგონიზმს უნდა მოეღოს სასიკვდილო ბოლო და არივე ერის ახალ-თაობა დადგეს—სოციალურს ნიადაგზე მთელი ჩვენი ქვეყნის საკეთილ-დღეოთ და საბედნიეროთ...

იმ თაობას, რომელსაც ესმის საზოგადო შრომის დიადი სოციალური დიალეკტიკა, ჩვენი საერთო ქვეყნისა და მშრომელი დემოკრატიისთვის თავდადებული მოღვაწეობა არ დაზარდება. ვიცოდეთ, რომ ოჯახში ერთი მეორის დახმარებით კეთილ და დიდ საქმეს გავაკეთებთ, განზე გადგომით, მტრობით და გაუტანლობით-კი კერაზე ცეცხლს სამუდამოთ გავაქრობთ...

ავტორს თითქო თვით განეცადოს ის მწარე წუთები, ის ტრაღედია, რაც გიორგის დაატყდა თავზე. მარა ისეთი ობიეკტივობით, ისეთი სულ დათქმულობით და სიმბოლიური მხატვრობით (ჭეშმარიტი რეალიზმი იგივე სიმბოლიზმია) წერს, რო გაცვიფრებაში მოყავხართ მის წერის მანერას და სარკაზმს...

მელანია, გარდა იმისა, რო რეალისტი-მხატვარია; იგი ჭეშმარიტი და ნამდვილი დემოკრატიც არი, რომელიც მთელი საქართველოს მშრომელი ხალხის გაბედნიერების დიდი სურვილით არი გატაცებული, მაღალი, მოუსყიდველი ზნეობრივი წმიდა გძნობით არი შეპყრობილი და, ამიტომაც, იმისი კალმის ნაწარმოები წარმოადგენს ერთიანს, შვენიერს თაიგულს ქართული სალიტერატურო მხატვრობისას.

ამბავი სუფთათ არი დასტამბული და სულ იაფია: შვიდი კაპ. ღირს.

ხომლელი.

კრიტიკა.

ილია ჭავჭავაძე,*)

როგორც ლირიკოსი—პოეტი.

(27 ღვინობ. 1837—30 აგვ. 1807წ.)

VIII

„ნეტა, ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

„დედა და შვილი“ პატარა დრამატიული სცენაა. საგანი ამ სცენისა ისე დიადი და მაღალია, რომ იგი თავის-თავად მოახდენს დიდ ჩაბეჭდილებას მკითხველზე.

სცენა შეეხება დავით აღმაშენებელის ფრიად შესანიშნავი მეფობის იმ ხანას, როდესაც მთელი საქართველო „ერთი ზღვიდამ მეორემდი ერთ ფიქრს“ მიეცა და აღიძრა მტრის გასადევნელათ. ამგვარი ხანა, ფრიად უნიჭოთაც რომ იყოს აღწერილი, მაინც ყოველთვის მოახდენს ჩაბეჭდილებას ადამიანზე. „დედა და შვილს“, როდესაც წაიკითხავთ, მართალია, ჩაბეჭდილება რჩება თქვენ გონებაში, მარა რჩება კიდევ უკმაყოფილება, რომ იდეალი არ არი შესაფერათ ასრულებული: მაღალ საგანს ეჭვრება მაღალი ხელოვნური ასრულება. ყოველი ხელოვნური თხზულება გაიზომება მით, კარგათ ხატავს, კარგათ ასრულებს, თუ არა იგი რომელსამე იდეალს. არიან უხელოვნო თხზულებანი, რომელნიც მკითხველზე მოახდენენ ჩაბეჭდილებას. რას უნდა მივაწეროთ ეს მოვლინება? მხოლოთ მათ შინაარს, საგანს, მეტს არაფერს.

და, თუ გულწრფელათ გაშინჯავს მკითველი „დედა და შვილს“, დარწმუნდება, რომ ავტორი ცდილობს, იმოქმედოს მკითხველზე

*) იხ. „ცხოვრება“, № 1.

მხოლოთ მაღალი, რიტორული ფრაზებით. ჩემის აზრით, „დედა და შვილი“ თავიდან ბოლომდი თითქმის ცალიერი რიტორიკაა. ამოვიღოთ პატარა მინუში ამ სცენიდან:

„...თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-საყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმიდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზდელი ღვთაებამდი კაცთ-ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული.
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მარა სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე სრული
პირველ კაცთათვის უშენოთა არა რა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი ღმერთავ, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასათ მისცეს თვის უკვდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა,
ეგრეთ ნაშოვნი, რათ წაგვართვი მოსავთა შენთა?
რაღათ ღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რათ შეიღებე კაცის სისხლით საშიშრათ ჩვენთა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნათ პირ სისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვათ მადლთა ქვეყნათ მომფენი,
მარა სისხლით-კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რათ არ შენდება უსისხლოთა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?...

აქ, ამ სცენაში უბრალო ქართული დედა თავისუფლების შესახებ ფილოსოფოსობს ისე, თითქო ჩერნიშევსკი, ან ილია ჭავჭავაძე ყოს და, რასაკვირველია, მთელი სცენა ყალბი გამოდის, სრულიათ მოკლებულია იგი ბუნებრივობას და ცოცხალ პოეზიას...

ზოგიერთი კრიტიკოსი პოეტურ ნაწარმოებში უპირატესობას აძლებს ცნობიერებას, ჭკუის შემწეობით ხელოვნურ ნამოქმედარის დამუშავებას და ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძეს ამ მხრით ქართულს ლიტერატურაში ბადალი არა ყავსო... ეს ნამდვილია, რომ ილია ჭავჭავაძეს, რაკი წარმოდგენისა და ფანტაზიის ძლიერება აკლია, ცდილობს ჭკუის შემწეობით დახატოს ცხოვრება. მარა ესეთი ბეჯითი საქმიანობა წმინდა ხელოვნურ ნაწარმოებს ვერასოდეს ვერ შექნის. ამისი უტყუარი მაგალითი სოფლიო ლიტერატურაში გიოთეს შესანიშნავი „ფაუსტია.“ ევროპის განთქმული კრიტიკოსები ერთხმათ ამტკიცებენ გიოთეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილის შეუდარებლობას და მეორე ნაწილის—სისუსტეს. ეს გარემოება იმისგან წარმოდგა, რო პირველი ნაწილი „ფაუსტისა“ პირდაპირი შემოქმედებითის ნიჭით (непосредственное художественное творчество) არი დამუშავებული და მეორე ნაწილი-კი ცნობიერებისა და ჭკუის შემწეობით არი დაწერილი. ამიტომაც, პირველი ნაწილი ამ საუცხოო ნაწარმოებისა შეუდარებელი გამოვიდა, ხოლო მეორე -კი სუსტი. მაშასადამე, ჩვენი პატიოსანი კრიტიკოსები ცდებიან, როცა ხელოვნურ ნამოქმედართა დამუშავებაში ცნობიერებას აძლევენ უპირატესობას და გულრწფელათ ამტკიცებენ, რომ ილია ჭავჭავაძეს ქართულ ლიტერატურაში ბადალი არა ყავსო. ჩვენი პოეტის სისუსტეს უფრო იმისი პატარა ლექსები ამტკიცებენ.

მართალია, ილია ჭავჭავაძის პატარა ლენსებშიაც არი რითმა, არი სილაზათეც და ზოგან საკმაოთ ძლიერი გძნობაც. მარა არ არი ჭეშმარიტი, მაღალი ტალანტის მიერ შექნილი პოეტური გძნობა სიშვენიერისა, სინარნარისა და სინაზისა. ამიტომაც, იმისი ლექსნი მხოლოთ ლექსათ რჩებიან და თავის დღეში ვერ შექნიან ცხოველ მყოფელს, ჭეშმარიტი ენტუზიაზმით აღსავსე ძლიერს და ღრმა ლირიკას. ილია ჭავჭავაძის ლექსნი,

იმდენათ გარეგნულ შნოსა და სილაზათეს მოკლებული არ არიან, რამდენათაც შინაგანს, სულიერს სიშვენიერესა და სიტურფეს. აი, აქ არის ამ პოეტის ლექსთა უმთავრესი და დიდი ნაკლულოვანება.

რითმების სიღარიბე მაინც ძალიან ეტყობა ილიას პატარა ლექსებს. გარდა ამისა, ამ ლექსებში პოეტი ურიგო საშვალებასაც ხშირათ ხმარობს. სიტყვებს წყვეტს, როგორც მაგ.,... ან შენმა გიჟმა რა იცოდა. .". ზოგან კიდევ ლექსისთვის უმატებს სიტყვებს ბოლოში ხმოვან ასოს ა—ს: გულშია, დუმილშია და სხვა, რაც ლექსს არ უხდება, გძნობას სიცოცხლესა და მოძრაობას აკლებს და ლექსებს ერთმევა ის ძალა, რითაც ყოველი პოეზია სულდგმულობს.

ბევრი ლექსი ჩვენი პოეტის ზოგიერთ თემაზე დაწერილია ძალიან ჭკუიანათ და, თუ გნებავთ, გულწრფელათაც. მარა შვენიერ და მდიდარ პოეზიაზე აღზდილს ადამიანს, არა თუ ღრმათ და ძლიერათ, ისე ოდნავაც ვერ შეუტოკებს გულს და ვერ მიიპყრობს მის ყურათღებას დიდხანს. ამიტომ არ შევაწუხებ მკითხველს და არ ჩამოვთვლი ამ სუსტს ლექსებს. აქ დავასახელებ მხოლოთ ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ლექსებს: „ქართლის (თუ ქართვლის?) დედას", სადაც პოეტი ამბობს:

„მას ნულარ ვტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს..
აქ არი, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
ჩთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რო სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბძოდეს...
მენდე მიიღებ ნერგს შენგან დარგულს
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს
დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რო წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათლებული."

ლექსი „გავსწორდეთ ბედო", სადაც პოეტი ბედს შესჩივის:

„... სისხლისა ცრემლით დამწვი თვალები,
გულზე მატყვია შენი ბჭყალები..."
ელეგია „მკრთალი ნათელი"
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება,
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როს ღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!.."

„ალაზანს", „ნანა", სადაც პოეტი ქართველ დედას ათქმევინეს შესანიშნავ სიტყვებს:

„...დედათა გული ჩჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რათ მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას,
შვილი არ ყვარებია!...
. . . . . .
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამათაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!,.

შვენიერი ლექსია „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე", რომელსაც, თუ მკითხვნლიც ნებას მომცემს, სრულათ მოვიტან აქ:

„მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში შეფრინდება,
გულს ჩაეკვრის, ლაღობს, ხაროობს,
გამღერებს და ამღერდება;
ხან ღონდება ნაზ ქალსავით,
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით;
ხან ბუჩქებში მიმალული
ზის მარტო, ვით ადონი,
შეყეფს ვარდსა გულსაკლავათ
ტრფობის ისრით განაწონი:
ხან რბის ველათ, მარტო ბალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეკვნეს შავ ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;

ხან დაყურებს ნაღვლიანათ,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუნდობელ დროთ ბრუნვასა ..“

„იანიჩარი“, „დაბნელდა სული...“ და „ოჰ, სად არიან ,სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი..“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ზე-გავლენით არი დაწერილი. „უსულდგმულო ცხოვრება„ „ნიკოლოზ ბარათაშვილზე“, „მტკვრის პირას“, „სტუდენტების სიმღერა“, „მას აქით, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „ბედნიერი ერი,“ რომელიც ნათარგმნია და აღნიშნული ქონდა კიდეც პოეტს ეს გარემოება ჟურნალ „ივერიაში“, სადაც პირველათ იგი დაისტამბა. „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „უცხო თემის ყარიბ მთქმელსა“, „აღარც ნატვრა და აღარც იმედია!..“ „ჩემო კარგო, ქვეყანავ, რაზე მოგიწყენია!„, და პატარა ლექსი აქვს პოეტს „გაზაფხული“ — „ტყემ მოისხა ფოთოლი“, რომელიც ჩინებული რამ არის. ეს ლექსი წაგავს პლეჩეევის „Начало весны“, რომელიც ასე იწყება „И лѣсъ одѣнется листвою...“ „აგერ მერცხალიც ჭყივის“--ლექსის გულისთვის აქვს ნათქვამი პოეტს, თორე, განა ილიამ არ იცოდა, რო მერცხალზე ქართველები ვიტყვით ჭიკჭიკობსო!?

1890 წ. ქ-ნ ანასტასია მიხეილ თუმანიშვილის ასულის წერეთლის მიერ ახლათ დაარსებულ ჟურნალ „ჯეჯილში“ ილიამ დასტამბა თვისი პოეტური ნაწარმოები „ბაზალეთის ტბა“, რომელიც ერთი იმისი საუკეთესო ლექსთაგანია დედა-აზრითაც და პოეტური სახე-სურათებითაც. ეს ლექსი უფრო სიმბოლიური პოეტური ნაწარმოებია, რომელიც, მართლაც, შვენიერს ლირიკულს-ელფერშია სულ ერთიანა გახვეული. ის სასიცხლო „მუდმივი გაზაფხული“, რომელიც თავს დაქათქათებს ბაზალეთის ტბის არე-მარეს ჯ ამ ტბის ძირში ჩადგმულ აკვანს, მომავალ ვაშკაცის აღსაზრდელათ, ინსტინკტურათ ძლიერათ იზიდავს ქართველი კაცის მახვილ-გონიერებას და იმისი სასიცოცხლო იდეალები და მისწრაფებანი გადააქვს მეტათ მარტივს, წარმტაც პოეტურს სურათებში. აქ ილია იძლევა, მიუცილებლათ, უტურფესი და ნაზი პოეზიის მინუშსაც.

მარა „ბაზალეთის ტბა“, წყობილ სიტყვაობის მხრით, როგორც ბ-ნი ს. რ. გორგაძეც წერს, *) მრავალ ნაკლულოვანებას წარმოგვიდგენს იქ ტაეპთა სქემა:

ვერერჩის, თურმე, მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი;
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

—

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან;
მარტო იგინი გძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან.

—

ამას-კი აღარ ამბობენ,
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბათ რისთვის დაადინა.

როგორც მკმთხველი შეამჩნევდა და რიცხვითი სქემაც უჩვენებს, ზემოთ მოტანილ პირველ ხანაში მეოთხე ტაეპი ჩახრუხაული შაირისაა, დანარჩენ ტაეპები-კი იმავე ხანაში ყველა რუსთველურია. პირიქით, მეორე ხანაში, მესამე ტაეპი რუსთველურია, დანარჩენები-კი ყველა ჩახრუხაულია; ასევეა მესამე ხანაშიაც, სადაც პირველი ტაეპი რუსთველურია, დანარჩენები-კი ყველა ჩახრუხაულია. და, აი, რით აიხსნება, რომ ეს სხვა მხრივ, ჩინებული ნაწარმოები, წასაკითხათ და მოსასმენათ ჰარმონიული არაა. მართალია, თავის შენადგენობით იგი ძლიერ გვაგონებს ხალხურ ლექსებს. მარა ამით მის „ჰარმონიას“ არა ემატება-რა: მუსიკალობით იგი ძლიერ სუსტი ნაწარმოებია...

მე ჩამოვთვალე პატარა ჩინებული ლექსები ჩვენი პოეტისა, რომელნიც მკითხველსაც უმტკიცებენ, რომ ილია ჭავჭავაძე იყო უფრო პოეტი ინტელიგენციის, წმინდა რაციონალისტი მგოსანი. ილია წინ უძღოდა თვისი ორგანოთი ქართველ ინტელიგენციას

*) იხ. ,,გრდემლი'', სალიტერატურო კრებული, წიგნი I.

და ხატავდა მხოლოთ ამ წრის ხალხის ფიქრებს და იდეალებს, რომელნიც მზა-მზარეულათ გადმოქონდათ რუსეთის მოწინავე წრიდან. რუსეთის ამ მოწინავე ინტელიგენციის ფიქრებს და იდეალებს უთანხმებდა ილია თავის სოციალურ სოფლიო მხედველობას და ამ მხედველობის თვალ საზრისით ქმნიდა იგი თვის ბელეტრისტულ ღა ლირიკულ ნაწარმოებსაც...

ამ მხრით, რო შევადაროთ ილია აკაკის, დიდ გასხვავებას შევამჩნევთ. მაშინ, როდესაც ილია თვის პოეზიას ვიწროთ შემოფარგლავს, აკაკიმ გააფართოვა ქართული ლირიკის საზღვრები და ნამდვილი საერო, წმინდა სახალხო კილო მისცა მას. ჩვენი ინტელიგენცია, როგორც საკუთრათ თვის პოეტს — მესვეურს, ილიას უფრო აფასებდა და მაღლაც აყენებდა, ვიდრე აკაკის, რომელიც სულ ერთიანა საერო, ყოველი წრისა და წოდების ფიქრთა და გულის ნადებთა გამომხატველი იყო და, ამიტომაც, დაიმსახურა მან სახელი სახალხო დიდი ეროვნული პოეტისა.

ილია ჭავჭავაძე ისე, როგორც აკაკი წერეთელი, დიდის იმედით უყურებს ქართლოსიანთა ერის მომავალს. ,,ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს'', ამბობს ერთი. ,,საქართველო არ მომკვდარა და არც მოკდება'', ამბობს მეორე. ეს ღრმა და ჭეშმარიტი იმედი დაბადა და განაცხოველა ბატონყმობის გადავარდნის დიადმა საქმემ. ამ შესანიშნავმა გარემოებამ გააორკეცა ენერგია და ტალანტი ამ ორი გასაცვიფრებელი მოღვაწისა და იმათმა შრომამ, მართლაც, მეტათ მდიდარი ნაყოფიც გამოიღო. ამიერიდან ჩვენი ლიტერატურის ისე, როგორც საზოგადო ცხოვრების, შეჩერება, ყოვლათ შეუძლებელია...

ხომლელი.

(შემდეგი იქნება).

დაეიწყებული მსარე.

(წერილი ზემო სვანეთიდან.)

დღეს, მიუხედავათ მიმართულებისა, მდგომარეობისა, და შეძლება — შეგნებისა; ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, ბრუნდი და მართალია, ყველა გაძახის: ვუშველოთ მშიერ-მწყურვალთ, უგზო-უკვლოთ, დაზარალებულთ, გაქცეულ-გამოქცეულთ და გაჭირვებულთ ჩვენსას, თუ სხვისას. არსდება ცენტრებში და პროვინციებშიაც საქველმოქმედო საზოგადოებანი, კომიტეტები, კომისიები და წრეები; ჯგუფი-ჯგუფს ეჯიბრება, წრე-წრესა და მიმართულება-მიმართულებას, რო შეძლებისაგვარი და თანამედროე წყობილებაში მოსახერხებელი დახმარება აღმოუჩინოს სხვა და სხვა კუთხის გაჭირვებას. მზრუნველთა პროგრამაში შედის ქართლ-კახეთი, გურია-სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, ძველი მესხეთი, ებრაელნი, სომეხნი და მამადიანნი... ხოლო არსაიდან ხმა, არსით ძახილი შესახებ ზემო სვანეთისა; თითქოს „არსად იყოს მსგავსი ერი, სვანებისებ ბედნიერი!"... და თითქო სვანეთი არ იყოს გეოგრაფიულათ, ისტორიულათ და ეროვნულათ ქართველთა სული-სულთანა და ხორცი-ხორცთანა. მაშ, რა დააშავა ბედკრულმა სვანეთმა, რო მისი შიმშილი--შიმშილათ არ ითვლება, მისი უგზო — უკვლობას ყურადღებას არავინ აქცევს, მისი კარჩაკეტილობა არავის აწუხებს, მისი სწავლა-კულტურისთვის არავინ ზრუნავს და უსამართლობის მორევში მცურავის მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს, არც თავისიანი, არცა გარეშე? უკეთუ ამა ქვეყნის მზრუნველნი და ქველ-მომქმედნი ჭეშმარიტაო და გულწრფელათ იზიარებენ ჩვენი ქვეყნის ყველა გაჭირვებულთა მდგომარეობას და სიტყვა — „სვანეთი" დახმარების რაღაც გამაქარწყლებელი ჯადო არ არის, იმ შემთხვევაში, სწორე მოგახსენოთ, თუ ვისმეს ეჭირება ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება, ეს — ზემო სვანეთს, უმთავრესათ, იმ შიმშილ სიცოცხლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელ საგანთა სიძვირენაკლებობას, რომელსაც მოუსავლიან წლებისა

დასაერთაშორისო ომის გამო, დღეს განიცდის, სხვათა შორის, ჩვენი ქვეყანაც, ამას—ზემო სვანეთი ისედაც ყოველთვის სისტემატიურათ განიცდიდა... და ზედ, რო დავუმატოთ უფსკრულის კარამდი მისული თანამედროე მდგომარეობა, შორიდანც ადვილი წარმოსადგენია საშინელი სურათი—ზემო სვანეთისა. ადგილის სივიწროვისა და სიმწირის გამო, შიმშილი სვანეთის სპეციფიკური სენია. მარა სვანეთისთვის სხვა დროს ეს ისე საგძნობელი როდი იყო, ვინაიდან მეზობელი კუთხეები:—სამეგრელო, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი მაძღარი იყო და სარჩოს შონა ამ კუთხეებში შეეძლო: ხოლო დღეს, ხსენებულ კუთხეთა დამშევისგამო, ზემო სვანეთი ცუდისგან—ცუდ მდგომარეობაშია. ამას ზე დავუმატოთ ისიც, რო სვანს, როგორც ადამიანს, ჭირდება ტან-ფეხი, რკინა, მარილი, ნავთი და სხვა მრავალი პირველ მოთხოვნათა აუცილებელი საგნები, რომელთა სიძვირემაც საზღაპრო ზომას მიაღწია... და, აბა, საიდან და როგორ შეუძლია ბედკრულ სვანს, ყველაფრის შოვნა—შეძენა? განა, ვინ არი დღეს დალხინებული? მარა არი გაჭირვება მძიმე და სუბუქიცა! ზემო სვანეთი რვა თვის განმავლობაში, ღრმა თოვლით შეფუთნილი კავკასიონის ბუმბერაზ მთებს შუა არი ჩამწყვდეული და 5—6 დღის სავალზე (ქვეითად), არც გზატკეცილი, არც რკინის გზა, არც ბაზარი, არც ფაბრიკა—ზავოდი არ ახლავს, რო სამუშევარზე გავიდეს და ოჯახის აუცილებელი მოთხოვნანი შეავსოს. აქნამდი სვანები ზამთრობით მოედებოდენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს, აბრუნებდენ სავენახე მიწებს, აკეთებდენ თხრილებს, შენობებს, ყორეებს და სხვა, საიდანაც შოულობდენ ფულს და ამითი უძ. ღვებოდენ მძიმე გადასახადებს, ოჯახს და სხვა და სხვა. დღეს ცხოვრების ეს საღსარიც მოესპოთ სვანებს, ერთი მხრით იმიტო, რო დღეს მეურნობისთვის არავისა ცხელა და სამუშევარს ვერ შოულობენ; ხოლო, მეორეც, რაც მუშა ხელი და ყმაწვილი ახალგაზდობა იყო სვანეთში, ჯარშია გაწვეული.

ასეთია მოკლეთ ზემო სვანეთის აწინდელი ეკონომიური მდგომარეობა... და უკეთუ გულიგულობს, ამ მცირე აღწერიდანაც შეიძლება სვანეთის უმწეო მდგომარეობის შეგნება...

ვაუწყებთ რა სვანეთის ასეთ მდგომარეობას საზოგადოებას, თანვე მოვუწოდებთ ჩვენი ხალხის მოწინავე ჯგუფების-ელემენტებს, გულშემატკივართ, და მზრუნველთ, რომ ერთი თვალსაჩინო და უდანაშაულო სხეული საქართველოსა—ზემო სვანეთი, ნუ იქნება მათ საზრუნავ სიიდან ამოშლილი და მოვითხოვთ, რო სვანეთს დაუყონებლივ მიაქციონ ჯეროვანი და გასაკუთრებული ყურადღება, თორე, სირცხვილს გარდა, გვიანლა იქნება ჩვეულებრივი სინანული და ოხვრანი.

ამ ჟამად სრულიათაც არ მაინტერესებს ის ვარემოება, თუ ეს ჩემი წერილი, რომელი მიმართულების გამოცემაში მოხვდება, ოღონდ მიაღწიოს—კი თავის დანიშნულებას... მარა დაბეჯითებით ვთხოვთ ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რომ ეს წერილი გადაბეჭდონ თავიანთი პატივცემულ გამოცემებში, თან თავიანთი აზრი გამოთქვან სვანეთის დახმარების შესახებ და ამით საშვალება მისცენ ზემო სვანეთს, რო ფართო მასსამ და საზოგადოებამ გაიგოს მისი უმწეო მდგომარეობა.

დასასრულ, პატივცემულ მკითხველთ ვაუწყებთ იმასაც, რო მარტო ზემოხსენებული მდგომარეობით, როდი თავდება სვანეთის ცხოვრების ტრაღედია: მისმა ტრაღედიის მეორე აკტმა, ასე წოდებულმა: „პოლიტიკურათ ადმინისტრატიულმა“, ადვილი შესაძლებელია, რო, ვითაარცა აჭარა, სრულიათ უდანაშაულოთ და მისდაუნებურათ ზემო სვანეთიც დამნაშავეს სკამზე დასვას... მარა ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

ამასთანვე ვავალებთ თ-დ. ლევან დადეშკელიანს, დროებით დ. ლაილაშში მცხოვრებს, რო, ვინაიდან მან სვანეთის ცხოვრების ყველა მხარეები ზედმიწევნითა და დაწვრილებით იცის, შემკითხველებს, რედაქციებს, ჯგუფებს, ფართო საზოგადოებასა და თვით სათანადო ადმინისტრაცია მთავრობასაც, მათი მოთხოვნა-საჭიროების ჟამს, მიაწოდოს ყოველგვარი ცნობანი და მიიღოს მონაწილეობა სვანეთის შესახებ ყველა

დაწესებულებაში, კომისიაში, კამათში, შემოწირულების მიღებაში, განაწილებაში და სხვა და სხვა.

სვანთა მონდობილობით **ძველი სტუმარი.**

ახალი ყორნები.

თუ გიმოგზაურიათ ამ ხანათ პროვინციებში, უეჭველია, აქა—იქ შეხვდებოდით სრულიათ ჩვენთვის უცნობ პირებს. ევროპულათ მორთულნი, დარბაისლურათ ყველაფერს აკვერდებიან, ათვალიერებენ, შეატყობთ, რომ ისინი რაღაცას ეძებენ, სურთ ვისიმე, ან რისიმე პოვნა, საქმის ხელში ჩაგდება.

მე კარგათ ვიცნობ მათ. ბევრი მათგანი პოლონეთიდან მობძანდა; ბევრიც—შვაგულ რუსეთიდან.

ესენი კომერსანტები, კაპიტალისტები არიან, რომელთა ხელშია ფული და ძალა.

ომმა მათ საკუთარი საქმე შეუფერხა. მათ აღებმიცემობას ალაგობრი სარგებელი, ან შეუმცირა, ან სრულიათ მოუსპო.

ახალ-ახალ საქმეებს დაეძებენ და, რახან თავიანთ სამშობლოში პიროობები ხელს არ უწყობენ, ჩვენში მობძანდენ.

კარგათ იციან, თუ, რა არი კავკასია, რას წარმოადგენს საქართველო. დარწმუნებულიც არიან, რო მათ ძლევა-მოსილ კაპიტალს წინ ვერავინ ვერ აღუდგება.

ან კი, მართლაც, რა შეუშლით ხელს. ჩვენ არ გვყავს ბურჟუაზია. და, თუ ოროდე წარმომადგენელიმოგვეპოვება, ისინიც უძლური და გაუნათლებელი არიან.

არიან სომხები, მარა, რა გამოვიდა. კაპიტალი მათ ხელში მკვდარია, ჩარჩული. რო გორც კომერსანტები არ გარგანან. გაბედულობა და რისკი უცხოა მათთვის. დახლი და რკინის ყულაბა,—აი, მთელი მათი საკომერციო ამუნიცია!

უცხოელთათვის კავკასია ხელუხლებელი განძია. მათ ვერ გაუგიათ ოქროს ქვეყანაში მცხოვრებლებს, რო კაპეიკები გვენატრება.

ჩვენი უბედურებაც სწორეთ ეს არი, ვსოციალისტობთ,*) ვყაყანებთ და კიჟინასა ვცემთ, თუ დემოკრატიაზე, თუ ეროვნულ კულტურაზე და ამავე დროს სრულიათ არ ვცდილობთ, შევქნათ, გავაძლიეროთ და ხელი შევუწყოთ სწორეთ იმ კლასს, ბურჟუაზიას,—რომელსაც, სიმდიდრის შექნასთან ერთად, მოაქვს ეროვნულ კულტურის სიძლიერე და ეროვნული იდეის გამტკიცება.

ახალი უცხოელნიც გვეწვიენ. ისინი სწრაფათ გამრავლდებიან და ჩაიგდებენ ხელში აუარებელ სიმდიდრით მოცულ ადგილებს.

ჩვენ—კი უმოქმედოთ ვუცქიროთ მათ თარეშს.

საჭიროა ნავსი გავტეხოთ, შევერთდეთ, ამხანაგობები დავაარსოთ და, რაც გვეპოვება, იმ კაპიტალს თავი მოვუყაროთ.

საჭიროა ჩვენში სააქციონერო საზოგადოება; არა ერთი,—რამდენიმე. მარტო ხელა ქართველი, მთელი თვისი ქონებით მაინც ღარიბია, ღძლურია. მას ერთს არ ძალუძს სხვილი წარმოების შექნა, რაიმე სერიოზული საქმის გაკეთება.

რით ვერ შეიგნეს ქართველმა ვაჭრებმა ის, რასაც სოფელი კარგა ხანია მიხვდა და ალღო აუღო. იმ დროს, როდესაც ჩვენი გლეხკაცი ირაზმება, კოოპერატივებს და ბანკებს იარსებს, ქალაქის ქართველი ვაჭრები საღათას ძილს მისცემიან და ღიპებს სომხურათ ისივებენ მეტის-მეტი დახლში ჯდომით და მთქნარებით.

ნუ თუ არც ახლა გაიქნევენ ხელებს?.

(ს.) **ჯუანშერ.**

---

*) კარგათ გაგებული სოციალიზმი არ უარყოფს ჩვენში ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის გავითარებას. ეს იმიტომაც, რო მარტო და მხოლოთ მას შეუძლია მოახდინოს საქართველოში კონცეტრაცია და შრომის გასაზოგადობრივობა, ნამდვილი კოლეკტიზმი წარმოობის ნიადაგზე. მარა ამ ფრიად საყურათღებო საგანზე ჩვენ მალე ცალკე სტატია გვექნება დასტამბული. **რედ.**

თფილისის ქალაქის არჩევნები.*)

ამ თვის პირველ რიცხვს სტამბიდან გამოსულმა თფილისის გაზეთებმა გვაუწყეს, რო მეფის მოადგილემ, მისმა იმპერატორეებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ დაამტკიცა თფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც თფილისი ხმოსანთა არჩევნების დროს შვიდ უბნათ უნდა დაიყოს.

პრესამ დაასწრო ამ ამბავს და უფრო წინათ ახმაურდა იგი. როგორც ყოველთვის, აქაც, ამ არჩევნების დროსაც, პრესა ორ მოპირდაპირე ბანაკათ გაიყო. ერთ მხარეზე დგას პარტია ნაციონალისტებისა და მეორე მხარეზეა პარტია არა ნაციონალისტებისა, წმენდა ინტერნაციონალური ოპოზიცია, როშელიც, კი ხანია, ღრმა უკმაყოფილებას და სიმწრის დღეებს განიცდის ამ საშინელი საერთაშორისო ომიანობის დროს, როცა ასი და ათასი მძიმე, პირდაპირ აუტანელი გასაჭირი აწევს კისერზე თფილისის შეკითანა შეძლების პატრონს და ღარიბს მოქალაქესაც ხონ, რასაკვირველია.

ამ ომიანობის დროს, ისე საშინლათ გაძვირდა ყველაფერი, რო ქალაქში მცხოვრებს, ფულიც რო ქონდეს, კერ უშოვია თავის დროზე საკმელი პური, ხაი-შაქარი, ნავთი შეშა, სასმელსა და შეჭამადს ვიცა ნიკა, რო ცა ხაკი, ერბო, კარტოფილი, კვერცხი თვალის დახამბამების უმალვე ქრება ბაზრიდან ერთი სიტყვით, პირველ და საჭირო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საზოგადო ძალიან ძნელი, პეტათ ძნელი საშოვარი შეექნა და შეშა კაცმა არ იცის, რა მოელის ხას და ხის გაჭვრეტილ ოჯახს ხვალ, ან ზეგ... მოდი და სულ დათქმული ინფუენცა და ინფექრა რამე ასეთ არეულ-დარეულ გარემოებაში და ცხოვრების პირობებში.

ამიტომაც, სრულებით გასაკვირალი არ არი დღეს, როცა მიყრუებული, უგზო-უკვლოთ მიგდებული სოფელიც-კი გამოაფხიზლა და ყურები აცქვეტია ამ საშინლათ გაჭივრების წელიწადმა, საქართველოს,—უკაცრავათ—კავკასიის ცენტრი, თფილისიც, თუ ძალზე ამუშავდა და მისი მცხოვრებნი ქალაქის არჩევნების გარშემო საბძოლველათ დარაზმა.

ქართველ კაცს კარგათ მოეხსენება, რო თფილისის საქალაქო ასპარეზზე დიდი თავოსანის როლში გამოსულია და გამეფებული სოლოლაკელთა პარტია, ე. ი., ძლიერი სომხის ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზია.*) სოლოლაკელნი სხვილი ცენზის პატრონი არიან და კანონიც იმათ ანიჭებს ბატონ-პატრონობას მთელი ქალაქის მცხოვრებლებისას. ისინი ამ უფლების შენარჩუნებისთვის დიახაც ძლიერათ და მამაცურათ იბძვიან და იბძოლებენ სამეურნეოთაც, რათგან კარგათ ესმით იე რინგის ბძნული ნათქვამი, რო კაპეიკის საფირალი უფლებისთვისაც უნდა იბძოლონ დიდის ენერგიით...

ჩვენ გვახსოვს, ამ ძლიერი ნაციონალისტური კედლების შენგრევას ზოგჯერ ქართველი ამომჩევლნი და სომხის ნიჭიერი და ენერგიული ახალთაობა შეუერთებია. მარა ამ გამწარებულ საქალაქო ბძოლის დროს საშინლათ დამაოცებულან და გამარჯვების მიმზიდველი ბაირალი ისევ გამოკლილ და ძლეგამოსილ სოლოლაკელთ შერჩენიათ ხელში...

ჩვენ ყოველთვის მოწმე ვართ ასეთი გარემოების, ყოველთვის, არჩევნების დროს, სოლოლაკელები პრესაშიაც და ისე საჯაროლამპარაკშიც საკვეკნოთ, მოურიდებლათ, ვიწრო ნაციონალურ ბაირალს ააფრიალებენ ქალაქის უბნებსა და მოედნებზე და ატეხენ ლამპარაკს, რო სოსხებს გეეზიანო...

რა თქმა უნდა, გაუნათლებელი, უბირი და ურე მეკუნჭეც ყოველთვის საარწმუნოებას

*) სტატია „ბალკანეთი და ნაპოლეონი", ამ ნუმერში, უადგილობის გამო, ვერ მოთავსდა და შემდეგ დაბეჭდილია.

*) ქართველებს ასეთი ბურჟუაზია არ გააჩნია.

და გვარს უყურებდა: თუ **იანცი** იყო, იმ წამსვე ყუთში თეთრს ჩააგდებდა, თუ **შველი**, ან **ძე** იყო—შავს გაუგორებდა. ასე იყო ყოველთვის და ასეც იქნება მუდამ, თუ არჩევნები ძველებურ წესზე იქნა ისევ. სოლოლაკელებს ყოველთვის უფრო მეტი მეკენჭე ყავდათ და ეყოლებათ, და ისინი ყოველთვის იმარჯვებდენ და გაიმარჯვებენ მუდამ, თუ კვლავ ნაციონალური ბაირაღები აფრიალდა...

1889 წ. მოხდა სასწაული და, ასე წოდებულ, მაჩაბლის პარტიის ენერგიული მეცადინობით გავიდა თფილისის ქალაქის საბჭოში 28 ქართველი ნიჭიერი და მომზადებული ხმოსანი, რომელსაც ბელადობდა ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამომწვარი, ჩვენი დიდი მოღვაწე ბატ. ნიკო ნიკოლაძე...

მარა ეს გამარჯვება ქართველებს ძვირათ დაუჯდა. 1894 წ., როცა მთელი ქალაქი. მართლაც, ძლიერათ და საისტორიოთ დაირაზმა, როცა ჩვენი პუბლიცისტიკის არწივის აპრიალებული ფელეტონები მთელი თფილისის არე-მარეზე საშინელ ყუმბარებივით სკდებოდა და სომხის ნიჭიერი ახალთაობა ჩამოაშორა სოლოლაკელებს, მაშინ ამ უკანასკნელთა ორგანოში—„არძაგანკში“ ნიჭიერი აბგარ იოვანესიანი წერდა: სომხის ახალთაობამ გვიღალატა ძველ სომხებს და ქართველებს მიემხროო...

იმ წამსვე, არჩევნების დღეს, თფილისის საზაფხულო თეატრის შენობაში, პ. იზმაილოვის მეთაურობით ძველი თაობის სომხებმა, ან უკეთა ვთქვათ, **ს**ოლოლაკელთა პარტიამ სულ ერთიანა გააშავა ქართველები და ახალი მიმართულების სომხის კანდიდატებიც. წარმოიდგინეთ, ხმოსნათაც-კი არ აირჩიეს ისეთი კაცი, რომელსაც უშველებელი, წმინდა საარაკო ღვაწლი მიუძღოდა მთელი თფილისის წინაშე, ნიკო ნიკოლაძე...

მარტო და მხოლოთ ეს დიდი ფაკტი ბევრს, ძალიან ბევრს ლაპარაკობს და მას ჩვენ ფხიზლათ უნდა შევხედოთ.

ხო ხედავთ, სოლოლაკელებმა უკეთესი ნაწილი სომხის ახალგაზდებისა გააშავეს მხოლოთ და მარტო იმიტო, რო ისინი მხარს უჭერდენ ქართველობას, როგორც უფრო დემოკრატებს და ოპოზიციონერებს.

ამის შემდეგ, ეროვნული შუღლი და განხეთქილება უფრო გაღრმავდა და ყოვლათ შეუძლებელიც შეიქნა ამ ნიადაგზე ბძოლა და აგიტაცია სოლოლაკელთა პარტიის ბატონობის წინააღმდეგ.

ახლაც, მიუკილებლათ, თფილისში გაბატონებული პლუტოკრატია ამ დიდი ხნის ნაცად ლოზუნგის გარშემო ასტეხს ბძოლას.

მარა აქეს-კი ნამდვილათ რამე საერთო სოლოლაკელების მოქმედებას სომხის ხალხის ეროვნულ ინტერესებთან? კითხულობს გაზ. „თანამედროე აზრი“ (№206) და უპასუხებს:

„რასაკვირველია, არა!...

. . . . . .

მართლაც, ქალაქის ტრამვაი ვიღაც გადამთიელთა ხელშია და იქ გამეფებული უწესრიგობით მცხოვრებლები გამწარებული არიან. ქალაქის საქმეზე სხვები მილიონებს იძენენ, ხოლო თითონ ქალაქის კასა ცალიერია. შერე, ვინ აგებს ამით?

ყველანი, როგორც ქართველები, რუსები და ნუსულმანები, ისე სომხის მოქალაქეთა დიდი უმეტესობა, გარდა პირადათ, დაინტერესებულ ვიწრო ჯგუფისა.

თვითმართველობა გაურბის მუნიციპალურ წარმოებას, რო კონცესიონერებსა და მოიჯარადრეებს საქმე არ მოაკლდეთ. ეს მთელი ქალაქის მცხოვრებთა საზარალო პოლიტიკაა.

არ არი მოწყობილი ქალაქის განათება, განაპირა უბნები მიტოვებულია უყურათღებოთ, სისუფთავე ნაკლებათაა დაცული, ყოველივე ამაში-კი დაინტერესებულია არა ერთი რომელიმე ეროვნების მოქალაქენი, არამედ ყველა, განურჩევლათ ეროვნებისა.

ცხოვრება საშინლათ გაძვირდა; ძალაქი ხშირათ უპუროთ, უნავთოთ და უშემოთ რჩება. სპეკულიანტებმა თავი აიღეს, სანოვაგეს მალავენ, ფასები რომ ასწიონ, დაწესებულ ნიხრს არავინ უყურებს. თვითმართველო-

ბის ორგანოები ლაპარაკს და პროეკტების თხზვას უნდებიან და ყველაფერი თავის ნებაზეა მიშვებული. მას შეეძლო საწყობები გაეხსნა. პირველ საჭიროების საგნები, როგორიც არი ფქვილი, შაქარი, ნავთი, შეშა და სხვ. თითონვე შეეძინა და პირდაპირ, თუ კოოპერატული დუქნების საშვალებით, მცხოვრებთათვის მიეწოდებია. ეს იქნებოდა ნამდვილი ბძოლა სპეკულიანტებთან ცხოვრების გასაიაფებლათ. მარა ჩვენი ქალაქის „მამები“ ამას გაურბიან.

ამით ზარალობს ყველა მომხმარებელი, როგორც ქართველი, ისე სომეხი, რუსი და სხვ.

ცხადია, თვითმართველობის განახლებაში ყველანი დაინტერესებული უნდა იყვენ. იქიდან სოლოლაკელთა კაცების გამოდენას და, მათ მაგიერ, ახალი პირების არჩევას, რომელნიც ქალაქს ნამდვილ პატრონობას გაუწევს, ყველა უნდა ცდილობდეს“.

— ეს ყოველივე, თუ გნებავთ, მართალი ბძანებაა, იტყვის საქმეში ჩახედული მკითხველი. მარა, როგორა გნებავთ, რო ქალაქის არჩევნებში აკტივური მონაწილეობა მიიღოს მთელი ქალაქის დემოკრატიამ, ეროვნებათა განურჩევლათ, როცა ეს უცენზო დემოკრატია კანონით და დებულებით ფაკტიკურათ ჩამოშორებულია ამ საქმეს?

ამ შემთხვევაში ერთად ერთი გზა და საშვალებაა, დანაწილებულ საარჩევნო უბნებში მოეწყობოდეს შეგნებულ პირთა, მოწინავე დემოკრატთა კომისიები, სადაც შეჯგუფდებოდენ ქალაქის ხმოსანთა განახლების მოტრფი ალენი. ისინი გამართვენ სხდომებს, მოაწყობენ კრებებს, გამონახვენ და აირჩევენ ხალხისთვის და საზოგადოებისთვის უფრო თავდადებულ, გულწრფელ და შრომის მოყვარე პირებს და ამათ დაახლოვებით გააცნობენ ამომრჩევლებს, რომელნიც, ღრმათ დარწმუნებული ვართ, ამ საერთო დიადი გაჭირვების და განსაცდელის დროს, დაემქვემდებარებიან საერთო დისციპლინას, საზოგადო სარგებლიანობის პრინციპს, სამართლიანი, ძლიერი სიტყვის ძალას და ყველანი ერთ საარჩევნო დიად საქმეზე იზრუნებენ და იფიქრებენ...

ამ შვიდ უბნათ დაყოფილ ქალაქის ნაწილებში გამართულ სხდომებზე უნდა საჯაროთ დაგმობილ იქნეს ძველი ხმოსნების საქალაქო მავნებელი მოღვაწეობა, მათი ურიგო მოქმედება და საზოგადო უვარგისობა. აქ, ამ არჩევნებში, უნდა აპრიალებული, ცეცხლივით მგზნებარე ენით და ძლიერი მჭექარე სიტყვებით საქვეყნოთ დაიგმოს მეზობელ ერების მტრობა და სიძულვილი და უნდა წმინდათ, სარკესავით გამოჩდეს ერთმანეთის გულწრფელობა, სიყვარული, სიმპატიები და სოლიდარობა...

მხოლოთ და მარტო ამაშია, ამ დიად, მიმზიდველ, წმინდა სიტყვების გახორციელებაშია მთელი დემოკრატიის ხსნა და ასეთი ინტერნაციონალური ნიადაგის შესაქნელათ, გასაფართოებლათ, გასაღრმავებლათ უნდა გამოხატოს ახლა მან თვისი გულახდილი და თავგანწირული საერთო მოქმედება...

სომხების და ქართველების ორი მოწინავე ახალ თაობა უნდა ძლიერის, ჭაბუკურის ენერგიით დაიძრას საბძოლველათ ასეთს გამწარებულს დროს, ასეთ საქმეებში და ისეთს დიდს ქალაქში, როგორიც თფილისია, რომელიც აძლევს ტონს და მიმართულებას მთელი კავკასიის სხვა ქალაქებს და პროვინციებს, რომ ორი ისტორიული მეზობელი ძლიერი ერის შვილები შეაერთოს, შეარიგოს და შეაკავშიროს, რათგან, პოეტის თქმისა არიყოს:

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის-სახჩობელაო...

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

II*)

წარწერებიანი და არქეოლოგიისთვის მნიშვნელოვანი ხატები მონასტერში არ დარჩენილან, რათგანც ერთ „უდროობის“ დროს ამნაირი ხატები, გაუტანიათ ხონჭიორის ეკლესიაში, სადაც რამდენამე მათგანი ახლაც დაცულია. მათი აღწერა ქვემოთ გვექნება. ხოლო ჭელიშის ეკლესიაში დარჩენილ ძველი ხატებიდან დავასახელებ რამდენიმეს.

1) ღვთის მშობლის ხატი, ვეცხლით მოჭედილი და მოოქრული, ზომით 37×32 სანტიმენტრი.

2) იოანე ნათლის მცემლის ხატი, 32×28 სანტ., ფიცარზე დახატული, ვეცხლით მოჭედილი, შემკულია რვა სხვა და სხვა ღირსების ქვით. უწინ ეს ხატი ეკუთნოდა სხვაკი მონასტერს, რომლის გაუქმების შემდეგ, გადმოტანილ იქნა ჭელიშის უდაბნოში. ხატი ძალიან პატივცემულია, განსაკუთრებით სოფელ სხავის მცხოვრებთაგან.

3) ხატი იოანე ნათლის მცემლისა, ფიცარზე,—არშიაშია ვეცხლისა, 19×16 სანტ., შემკულია ჭიებით.

4) ვეცხლის პატარა სანაწილე კარებიანი ხატი მაცხოვრისა და ღვთის მშობლისა, $5^1/_2$×5 სანტ., სისქე-კი სანაწილესი $1^1/^2$ სანტიმენტრია. მაში დაცულია ნაწილები, მარა არ არი ცნობილი, რომელი წმიდანებისა, და

5) ძველი კარებიანი ხატი, 55×27 სანტ., მაზე დახატულია: თორმეტი საუფლო დღესასწაულნი, საიდუმლო სერობა, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება და იესო ქრისტეს ჯოჯოხეთად ჩასვლა. ხატის ზემო ნაწილზე: ღმერთი საბაოთი და წმიდანდათაგან: კვირიკე, იულიტა, წინასწარმეტყველნი დანიელ და ამბაკუმი, დავით მეფე, მეფე სოლომონი[1]) აარონი ტ. მოსე. წმიდანების სახელები წარწერილია ხუცურათ.

*) იხილე „განთიადი“, № 10.

[1]) ზარზმის ტაძრის კედელზედაც არიან დახატულნი ძველი აღთქმის წმიდანები: დავით მეფე, ამბაკომ, აარონი, მოსე და სხვანი და, მათ შორის, სოლომონ მეფეც (ექვ. თაყაიშვილი. Археологич. Экскурсіи, расысканія и замѣтки, вып. 1, გვ. 50—52).

[2]) სულთამბას.

[3]) გულქანი, რომელიც ზეეითაც გვქონდა მოხსენებული („განთიადი“ 1915 წ. № 10 გვ. 32, სხოლიო 3), იყო მესამე ცოლი სოლომონ პირველესა. პირველი ცოლი იყო ინალიფას (ინალიშვილის) ასული (მ. ჯანაშვილი. საქარ. ისტორია. 1894 წ. გვ. 564—467), მეორე ცოლი—მარიამი იყო, კაცია დადიანის ასული და მიიცვალა 1778 წ. („ძველი საქართველო“ ტ.

ცა ცოდვილთათვის მოქცევად მოვიდა და მას ვ-ა (ვითარცა) ჩჩვილსა აწოებდ და ზრდიდ გამომზრდელსა მას ყლთასა ღთისა, ვ-ა (ვითარცა) კაცსა. მის წინაშე ვედრება მითვალული და შეწყნარებული. რათა (რ-ა) წყალობით მოხედვა ყოს დღესა მის საშინელსა განკითხვისასა ბ მარჯვენითსა ნაწილსა ურჩეულთასა ღირს იჩინოს მონანული მონა თვისი ბატონის შვილი არჩილი, რომლისთვის შეიწირენ ბცირედნი ესე შესაწირავნი ტაძარსა შინა (ვ-ა) წმიდასა ჭელი შის უდაბნოსა. ვითარცა (ვ-ა) შეიწირა ძმანშენმან და ღთმან ჩვენმან ქვრივისა წვლილი. ჩღოე".

აქ მოხსენეული ბატონის შვილი არჩილი უნდა იყოს სოლომონ დიდის უნცროსი ძმა და მამა უკანასკნელი იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა. არჩილი პირველ ხანებში ძალიან ერთგული იყო სოლომონ მეფისა და დიდი შემწეობაც აღმოუჩინა მას ოსმალთა შემოსევის დროს[4]). ამის გარდა, სოლომონ მეფის განკარგულებით, არჩილმა დახმარება გაუწია ირაკლის ლეკების წინააღმდეგ. როდესაც სოლომონ ბ ირაკლის შვა შემდეგში უკმაყოფილება ჩამოვარდა[6]), არჩილმა უკანასკნელის მხარე დაიჭირა[7]), რათგანაც მას ყავდა ცოლათ მეფე ირაკლის ასული ელენე[8]). ამის გამო, ცოლშვილით ცხოვრობდა თფილისში.

II. განყოფილება მესამეც გვ. 72 და „Дух. Вѣст. Груз. Экзархата 1903 წ. № 15—16, გვ. 32). იაზიკოვის ოქმით, დედოფალი მარიამი იყო ძალიან ჭკვიანი დედოფალი და მეფე სოლომონი მის რჩევადარიგებას ხშირათ მიმართავდა (პროფ. Ааგარელი. Грамоты и др. истор. документы XVIII ст. ტ. 1, გვ. 192).

4) პროფ. ცაგარელი. Грамоты и др. докум. XAIII ст. ტ. 1, გვ.361.

5) ibid. გვ. 27

6) ბუტკოვი. Матеріалы для нов. истріи Кавказа. ნაწ. 1, გვ. 138.

7) პროფ. Ааგარელი. მოხსენ. თხზ. გვ. 353.

8) პლატ. იოსელიანი. Обозрѣніе Мѣфѣ Георгіи Мецамѣтиса. გვ. 13, სხოლიო და ბატონიშვილი ვახტანგი. Историческое описаніе Грузіи. გამოცემა გავაბაძირა. გვ. 10.

ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ არჩილს, როგორც ამას მოწმობს გულდენშტეტი, მამულები ქონდა ზემო იმერეთში, ქართლის საზღვართან[9]). არჩილის ამნაირ საქციელს, მის კავშირს ქართლ-კახეთის მეფესთან, არ შეეძლო ცუდი შედეგი არ ქონოდა იმერეთისთვის სოლომონ და ირაკლის უთანხმოების დროს, რათგან ირაკლს მეგობრობა და კავშირი ქონდა სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანთან, რომელიც შეურიგებელი მტერი იყო იმერეთის მეფისა. არჩილი ხელს უწყობდა თავის სიმამრს კაცია დადიანთან მიწერ მოწერის დროს. აბისთვის სოლომონი ეძებდა საშვალებას მიემხრო არჩილი, შერიგებოდა მას და ამით შეესუსტებია მტრების ძალა. ეს ნათლად ჩანს საბუთებიდან. იმერეთის კათალიკოზი იოსები (ძმა სოლომონისა) 1770 წელს წერს არჩილს: „მე ქათალიკოზი, ბატონიშვილი იოსებ ჩვენს სასურველ ძმას, ბატონიშვილს არჩილს, ვღგზავნი მოლოცვას და ლოცვა კურთხევას. დღეს მე თქვენთან კაცი გამოვგზავნე, მარა პასუხი არ მიმიღია. უკეთუ შენ არ გინდა იწოდებოდე შენი ძმის, სოლომონ მეფის მკვლელათ და არ გინდა, რო' მეც აღმეხადოს ხარისხი ჩემი და გადვიქცე ერის კაცად, ხვალ ირაკლის კაცი დადიანის სამფლობელოში არ შეუშვა და თვით ჩვენთან ჩამოდი"[10]). არ ვიცი, როგორი იყო პირდაპირი შედეგი ამ წერილისა, მარა სხვა საბუთებიდან ვიცით, რომ 1772 წ. არჩილი უკვე შეურიგდა სოლომონს[11]) და თვისი მეუღლე, ირაკლის სურვილის წინააღმდეგ გადაიყვანა თფილისიდან იმერეთში[12]). სოლომონს არ ყავდა პირდაპირი მემკვიდრე[13]) და, მის შემდეგ, არჩილს უნდა რგებოდა იმერეთის ტახტი, მარა ის გარდაიცვალა სოლო-

9) ბუტკოვი. ხსენ. თხზ. გვ. 136, სხოლიო 3.

10) პროფ. Ааგარელი. მოხს. თხზ. გვ. 262.

11) მათ შორის, მშვიდობის ჩამოგდებაში რუსეთის წარმომადგენელ ლევაშოვაც მიიღო მონაწილეობა (Ibip გვ. 362).

2I) Ibip. გვ. 353—354.

13) ბატონიშვილი ალექსანდრე, როგორც ჩანს ერთ კაცის მონასტრის ხუცურ ხელნაწერზე მინაწერიდან, გარდაიცვალა 1780 წ. „მწიფობისთვეს".

მონზე ადრე14), ბუტკოვის თქმით, ქალ. თფილისში15).

არჩილის გვამი ჩამოასვენეს ქუთაისში, მარა ურწმუნოებისთვის არ იქნა ცნობილი ღირსათ ქრისტიანული წესით დასაფლავებისა და წეს აუგებლათ დაფლულ იქნა ეკლესიის გარეთ16). უკანასკნელ ხანებში ირაკლი და სოლომონი შერიგდენ და პირველის თხოვნით, სოლომონმა თვის მემკვიდრეთ აღიარა არჩილის შვილი დავითი, რომელიც 1784 წ. იყო 12 წლის.

3) ვეცხლის ბარძიმი ქართულის ხელოვნებისა. ბარძიმს აქვს მხედრული წარწერა ქვემო ნაწილზე:

№ 7 „ქ. ჩვენ.·. ცვა.·.*) ფარვათა მონდობილმან თქვენმან ხელმწიფემა დადიანმა პატრონმა ლევან, თქვენ ქუთათისა და პალიასტომის ღვთისა მშობლისა შამოგწირეთ ბარძიმი ესე მას ჟამსა, ოდეს [შევებენით მეფეს ბაღდადსა, გაგვემარჯვა, მაშინ ომშიდ...*) სულისა ჩვენისა საოხად...

მეორე წარწერა ბარძიმის შვა ნაწილზეა. წარწერის ხელი უფრო კარგი და გარკვეულია.

№ 8. „მე ცოდვილმა მხევალმა ღვთისამა გამდელმა ბატონისშვილის ნარინ დავითისშა ზილდასტან შემოგწირეთ ბარძიმი ესე რაჟის უდაბნოს სულის ჩემის საოხად.

პირველ წარწერაში ნათქვამია ლევან 2 დადიანის გალაშქრებაზე იმერეთის მეფის გიორგის წინააღმდეგ. ბაღდადის ბრძოლა მოხდა 1638 წ.18) პირველ ივნისამდი, რაც ნათლად ჩანს ილორის ეკლესიის ერთ სასანთლეზე შენახულ წარწერიდან. ეს სასანთლე შეუწირავს ლევან დადიანს ილორის წმ. გიორგისთვის ამ ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავათ; ხოლო სასანთლის წარწერაში-კი ლევანის მეუღლე ნესტან დარეჯანი, რომელიც მიიცვალა 1638 წლის პირველ ივნისს 19) ცოცხლებშია მოხსენებული.

ქუთათის და პალეოსტომის ღვთის მშობელი არის ის ძველი ღვთის მშობლის ხატი, რომელიც ახლა ასვენია ქუთაისის საკრებულო ტაძარში.

ბარძიმის მეორე წარწერა ეკუთვნის XIX საუკ. პირველ ნახევარს. აქ მოხსენებული ბატონიშვილი დავითი ნარინი 20) არი დავით დადიანი, უკანასკნელი მთავარი სამეგრელოსი, როგორც ეს ჩანს ნამარნევის სამონასტრო ეკლესიის კანკელზე შენახულ წარწერიდან. აქ ზილდასტანი 21) დასახელებულია, როგორც ადმზდელი დავით დადიანისა, რომელიც მიიცვალა 1853 წელს.

რაჟის უდაბნოს სახელით ცნობილი იყო სხვავის მონასტერი, რომელსაც გაუქმებამდი ეკუთნოდა ეს ბარძიმი22). იმის შესახებ, თუ, როგორ ჩაუარდა ლევან დადიანისგან მე *XVII* საუკუნეში ქუთათის და პალეოსტომის ღვთის მშობლისთვის შეწირული ბარძიმი დავით დადიანის გამდელ ზილდასტანს, არა გვაქვს არავითარი ცნობა. საფიქრებელია, რომ ეს უნდა მომხდარიყოს მიტროპოლიტი დავითის (წერეთელი) საშვალებით, რათგან ის იყო ბიძა დავით დადიანისა.

4. ვეცხლის პინაკი ქართული ხელოვნებისა, მხედრული წარწერით:

№ 9. „მოიხსენე უფალო ნარინ დავით ბატონიშვილის გამდელი სილდასტან. ამინ“.

5. დიდი ვეცხლის სასმისი, შემოწირუ-

---

14) ამავე ხელნაწერის ერთ მინაწერიდან ჩანს, რო ბატონიშვილი არჩილი გარდაცვალებულა 1775 წ.

15) ბუტკოვი. ნაწ. 2, გვ. 136.

16) Археогр. акты. ტ. 4, გვ. 400.

17) ბუტკოვი. 2, 136—137.

18) ქარ. ცხ. II. 246.

*) ყოველი სიტყვის შემდეგ წარწერაში დასმულია სამ-სამი წერტილი.

*) აქ ქვედა ნაწილი ბარძიმისა დაზიანებულია და რამდენიმე სიტყვა არ იკითხება.

19) ბროსე. ისტორია საქართველოსი (ქართ. გმოცემა) ნაწ. II, 192.

20) ნარინი, ბროსეს სიტყვით, მონღოლური სიტყვაა და ნიშნავს მახვილს, გონიერს (იქვე. ნაწ. I. 189 სხოლიო).

21 ნამარნევის წარწერაზე იკითხება **ძილდასტან** ბელისისაშიკი—**ზილდასტან** და **სილდასტან**.

22) ბელიშის მონასტრის ქონებათა აღწერილობა (მონასტრის საქმე 1879 წ.)

ლი მელიკი დადიანის ასულისგან, 23), მხედრული წარწერით: № 10 „დავით დადიანი“.

6) სპილენძის პინაკი წარწერით: № 11. „ქ. გედევანისშვილი გედევანისა“.

7) ამნაირივე პინაკი წარწერით: № 12, „ყანდუაშვილი: გვას (?) ჰხოჯნთ (?) მანჩრსია (მანუჩარისია?).

8) ვეცხლის კოვზი წარწერით: № 13. მოიხსენე უფალო კობახიძე ბეჩუნა და მეუღლე მისი თინთი“.

9) სპილენძის სასანთლე, წარწერით: № 14. „ქაიხოსრო ჯაფარიძე“.

10) ენქერი წითელი აბრეშუმისა, რომელზედაც ვეცხლით და ფერადი ძაფებით შვენიერათ ამოქარგულია ექვს ფთიანი სერაფიმი. ენქერის ირგვლივ ნაპირებზე ვეცხლის ძაფით ამოქარგულია ხუცური ასო მთავრული წარწერა შემდეგი შინაარსისა:

№ 15. „წ-არს: წ-არს: წმიდა არს) წ-არს*) უფალი სავსე არიან ცანი და ქვეყანა დ-ბითა მისითა გამოხატვით სკ-ნთა (საცნაურთა?) შინთა მ-სახურთასა (მსახურთასა?) ს-მებაო (სამებაო) დაუსაბ-მო ღ-თო შეიწირე სამსახური ესე და მსახურება დიდისა და ს-ხელოვანისა და სახელ განთქმულისა მ-ფთ მ-ფისა ბ-გრტს დღეგრძელ-ბით ც-ნი მ-სნი შ-ნ (შეუნდვენ) ღ-ნ. ა-ნ...

ძნელია დანამდვილებით ითქვას, რომელი ბაგრატია გულისხმებული ამ წარწერაში და რომელ საუკუნეს ეკუთვნის ეს ხელოვნურათ ნაკერი ენქერი. ყოველ შემთხვევაში, ენქერი შეკერილ-მოქარგულია 1681 წლამდი, რათგან ამ წელიწადს მიიცვალა უკანასკნელი იმერეთის მეფე, ცნობილი ამ სახელით 24). ჩემის აზრით, წარწერაში მოხსენებული ბაგრატი უნდა იყოს ბაგრატ მესამე, რომელიც მუხლმოდრეკით დახატულია გელათის ღვთის მშობლის ხატზე. ეს ბაგრატი იყო შვილი მეფე ალექსანდრესი, მეფობდა მე XVI საუკუნის პირველ ნახევარში და ცნობილია, სხვათა შორის, იმითაც, რომ მან 1512 წ. ოსმალთაგან აოხრებული გელათის მონასტერი განაახლა 1519 წ. 25). გახადა იგი საეპისკოპოსოთ და დანიშნა ღვდელ მთავრათ მელქისედეკ საყვარელიძე 26) ცნობილია, რომ მე XVII-XVIII საუკუნეებში ჭელიშის მონასტერი ითვლებოდა გელათის ქონებათა დასაცავ ადგილათ მტერთა შემოსევის დროს 27). ამისთვის, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს ენქერი პირველში შეადგენდა გელათის მონასტრის კუთვნილებას და რამდენიმე სხვა გახიზნულ ხატების და ნივთებთან ერთად დარჩენილ იქნა ჭელიშის უდაბნოში.

11). ხავერდზე ოქრო-ვეცხლით ნაკერი ენქერი. შვაზე ამოქარგულია მაცხოვრის სახე, მის მარჯვნივ ღვთის მშობელი, მარცხნივ—იოანე ნათლის მცემელი. ენქერის ამ შვა ადგილს შემოვლებული აქვს ოთხკუთხი ვეცხლით ამონაკერი ხაზი, რომლის ოთხივ მხარეს ხელოვნურათ ამოკერილია სიმბოლიური სახე ოთხთა მახარებელთა: მათე-ანგელოზის სახით, მარკოზი-ლომისა, ლუკა-ხარისა და იოანე-არწივისა. თითოეულ მათგანს აქვს წარწერა მათის სახელებისა ხუცურის ასოებითა. პირის სახე და ხელები მაცხოვრისა და წმიდათა ნაკერია სხვა და სხვა ფერის აბრეშუმით, დანარჩენი-კი ვეცხლითა. ირგვლივ კიდეებზე ენქერს აქვს ხუცური წარწერა შემდეგი შინაასისა:

№16. „შევაკერინე 28) ენქერი ესე

23) მელიკი დადიანის ასული, როგორც შემომწირველი სასმისისა, მოხსენებულია მონასტრის ქონებათა აღწერილობაში.

*) წარწერაში თითოეულ სიტყვის შემდეგ, ნახმარია სამ-სამი წერტილი.

24) ქარ. ცხ. II, 250. ბაგრატ I მეფობდა მე XIV საუკუნეში (1330—1372), ბაგრატი II—1455 წლ. 1478 წლამდი, ბაგრატ III—1510 წლ. 1548 წლამდი, ხოლო ბაგრატ IV მიიცვალა 1681 წელს.

25) ქრონიკები II 331.

26) ქარ. ცხ. II, 188 და 242; ქრონ. II, 335—336. მეფე ბაგრატ III მოხსენებულია, სხვათა შორის, ხვამლის წმ. გიორგის ხატზე, რომელიც დაცულია ოყურეშის ეკლესიაში და რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ავაზაკთაგან დაზიანდა. ცნობილია აგრეთვე გუჯარი ამ მეფისა, მიცემული ნიკორწმიდის ტაძრისადმი 1534 წელს. ბ. დავ. კილოსანიძის აზრით „ფედრების“ ღვთის მშობლის ბაგრატი არი ბაგრატი II რომელმაც იმეფა 1455—1478 წ. (გახ. „სახალ. ფურცელი“ 1915 წ. № 407).

27) იმერეთის საეპარ. კანცელიარიის საქმე 1838 წ. № 4, ფურცელი 5.

28) წარწერას ყოველ სიტყვის შემდეგ უზის ორ-ორი წერტილი.

რევზ (რევაზ) ერისთავის ასულთა და თანამემცხედრემან ბატონიშვილის ლუარსაბის მარჯვენით მჯდომარემან პატრონმა მარიამ სულისა ჩვენისა საოხათ და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და მივართვი და მივართვი 29) ბატონის დედის ჩემის ანს (ანას) წინამძღვარს დავითს. ვინცა მიემთხვიოდეთ შენდობას ბრძანებდეთ ჩემთვისაცა და დედამისთვისაცა:"

ამ წარწერაში მოხსენებული პირები ეკუთნიან მე XVII საუკუნეს. რევაზი იყო არაგვის ერისთავი, ხოლო ბატონისშვილი ლუარსაბი-შვილი ქართლის მეფის ვახტანგ V (შახნავაზ I) თისა, რომელიც მეფობდა 1658 და 1676 წლებ შვა 30), და ძმა არჩილ მეფისა, რომელიც 1661 და 1698 წლებ შვა ხუთჯერ ავიდა და ჩამოვიდა იმერეთის ტახტიდან 31).

რევაზმა არაგვის ერისთაობა მიიღო 1666 წ. მისი ძმისწული ოთარის (1660-1666) სიკვდილის შემდეგ 32) და ერისთავობდა სიკვდილამდი, რომელიც მოხდა 1687 წელს 33).

რევაზს ყავდა ცოლათ რაჭის ერისთავ შოშიტას და 34), რომელსაც, როგორც ჩვენი წარწერიდან ჩანს, სახელათ რქმევია ანა, ხოლო რევაზის ასული მარიამი იყო მეუღლე ბატონიშვილის ლუარსაბისა 35). რაჭის ერისთავი მოწადინებული იყო, ბაგრატის სიკვდილის შემდეგ, იმერეთში გაემეფებია ლუარსაბი. ამის თაობაზე მას ქონდა მოლაპარაკება რევაზ ერისთავთან. მარა ვერ აისრულა თვისი სურვილი 36). რევაზის მეუღლეს ანას მოძღვრის წინამძღვარი დავითის შესახებ არა გვაქვს ცნობები. შეიძლება, ეს დავითი იყო წინამძღვარი ჭელიშის უდაბნოსი, ან გელათის მონასტრისა, რომელსაც პირველათ უნდა კუთნოდა ენქერი. საფიქრებელია ისიც, რო მოძღვარი დავითი გაყვა ანას რაჭიდან აღმოსავლეთ საქართველოში, იქ წინამძღოლობდა რომელიმე მონასტერში 37) და, შემდეგ, დაბრუნდა ერთ-ერთ ზემოხსენებულ მონასტერთაგანში.

12). აბრეშუმის ფერადი ძაფით მოქარგული ენქერი. მასზე აბრეშუმით და ვეცხლით ამოკერილია ღვთის მშობელი და მის ორივე გვერდით თითო ანგელოზი. ენქერი უხვათ ყოფილა შემკული მარგალიტებით, რომელთაგან ახლა დარჩენილა მხოლოთ 126 მარგალიტი. ენქერზე ამოკერილია მხედრულის ასოებით შემდეგი წარწერა:

№ 17. „ქ: ჯი: 38) უზესთაესო სამებითაო, უმაღლესო კაცთაო და უწმიდესო ქერაბიმთაო, მეოხო და მხსნელო ცოდვილთაო, სასო სიქადულო ჩვენო, ყოვლად წმიდაო დედოფალო, უხწდ (უხრწნელად) მშობელო მაცხოვრისაო, უმეტესად კურთხეულო დიდებაო, ღმრთის მშობელო მარიამ მე 39).

29) იდა მივართვი" ორჯელ არი გამეორებული.

30) ქარ. ცხ. II. 50—56; ქრონიკები II, 528.

31) ქარ. Ცხ. II, 51, 203, 207, 213—214 და 216—217.

32) ბ. თ. ჟორდანიას თქმით, რევაზი გაერის თავდა ოთარზე ადრე 1626 წ. (ქრონ. II, 582). მარა ეს უნდა იყოს Lapsus salami, რათგან ქართ. Ცხოვრება გარკვევით მოგვითხრობს, რომ ის გაერისთავდა ოთარის შემდეგ (ქარ. Ცხ. II, 54).

33) ქ. ცხ. II, 54 და 56. არაგვის ერისთავების წინარებზე და მათ საგვარეულო შტოებზე იხილე: ბროსე. საქ. ისტორია (ქარ. თარგმანი) II, 91-92; პლ. იოსელიანი. Описаніе Душета გვ.34-40 და თ. ჟორდანია. ქრ. II, I-30 და 531-532.

34) ქ. ცხ. II, 55 და 546. შოშიტა გვარათ იყო ჩხეიძე. მეფე ბაგრატ III-მ მას დაუმტკიცა რაჭის ერისთაობა მემკვიდრობით (ქ. Ცხ. II, 188). თუმცა თამარ-მეფის, გიორგი ლაშას და რუსუდანის მეფობის დროსაც იყვენ რაჭაში ერისთავები, მარა მათ, ბროსეს აზრით, ერისთავობა მემკვიდრობით არ ქონდათ მიცემული (საქ. ისტორია. ნაწ. II, 176).

35) ქ. Ცხ. II, 54. ეს მარიამი მოხსენებულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაფარნაზე, რომელიც მას შეუკერია და შეუწირავს 1681 წ. (პროფ. Сагарели. Памятники Груз. старины въ св. землѣ и на Синаѣ.- Палест. Сборник ტ. IV, ნაწ. 1, გვ. 249)

36) ბროსე. საქ. ისტორია II, 41 და პლ. იოსელიანი. Опна Душета გვ. 40.

37) არაგვის ერისთავებს ქონდათ თვისი მონასტერი, წოდებული ლანგვისის მონასტრათ (1 ქრ. II, 22)-

38) ორ-ორი წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ.-.

39) წარწერა ამით თავდება. სიტყვა „მე" ორჯელ ამოკერილია.

(შემდეგი იქნება.)

ამბერი»

შენიშვნები*)

ღვდელ მთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

(ოხზუდებანი ეპ. ლეონიდის. პირველი ტომი, გამოც. 1914 წ.)

გაბრიელის აღზდაც ამასვე გვეუბნება. მისი ღარიბი და წვრილი ცოლ—შვილით დატვირთული მამა (ღდელი) სოფლის გლეხკაცივით მუშაობდა და შვილებსაც ასეთს მუშაობას აჩ ვევდა. სხვათა შორის, ბავშობის დროს, სუსტი აგებულობის გერასიმესაც (გაბრიელი) მუშაობაში წაფავდა ხოლმე. ასე გაშინჯეთ, სემინარიიდან საზაფხულოთ დასასვენებლათ დაბრუნებულს ყანაში ათოხნიებდა, თურმე. აი, რამ შექნა ბუნებრაზი სახელი გაბრიელისა!..

ახლანდელ სემინარიელებს ეს გაუკვირდება. მარა აქ საკვირველი არა არის—რა. პირიქით, ამას დაკვირება, შეგნება და მიბაძვა ჭირდება. ჩვენ შესწავლილი უნდა გვყავდეს დიდებული პირები, მათი აღზდა, ბავშობი დანვე თავგადასავალი მათი და ეს ცოდნა ხელსამძღვანელოთ უნდა გვეპყრას ხელში, თუ არ გვსურს გავამრავლოთ „მოსე მწერლები“ და, პატივცემული ვ. ბარნოვის მოთხრობის: „ვეცხლით სნეულის“ გმირები: „ტიმოთე ხუცები.“

ბევრი თითქმის წინააღმდეგია, რო მისმა შვილმა ოჯახში იმუშაოს, რამე გააკეთოს, რამეს დაეჩვიოს და ასე იტყვის: „ღმერთო მომკალი, როგორ, თუ ჩემმა შვილმა თოხნოს, ურემზე შეჯდეს, რამე გააკეთოს, რამე იმუშაოს! მუშათ ხო არ ვზდი! მე მინდა მან წიგნი ისწავლოს, მეცნიერი გახდეს... ან ქალს ცეცხლს მივუყენებ სამზარეულოში!.. ეს ხო პირდაპირ წინააღმდეგია ჩემი იმედის, იდეალის, რწმენის!.. არა და ათასჯერ არა; მე მინდა შვილს ვასწავლოო.“—საბრალო თავო!.. მარტო ჰიგიენურათ რომ ავიღოთ, ათასი მკურნალი ვერ მისცემს ბავშს იმას, რასაც მისცემს გარჯა, შრომა ოჯახში, თუ ველათ... გონების გამოსაფხიზლებლათაც ხომ ეს წამალია და უებარიც... მარა ამას რო თავი გავანებოთ, ვის, რათ უნდა ის სწავლული, რომელიც შრომის შვილი არ არი! წავიდა, გაქრა, აწი აღარ დადგება ის დრო, რო ბუნება, თუ გარემოება „ბედნიერებს“ დამზადებულ ლუკმას უდებდა პირში.. თუ თავის დროზე დ. გურამიშვილმა თქვა: „უკლანჭო ლომსა გავს ჭკვიანი კაცი უწვრთნელიო,“—ახლა ამას სრული აზრი არ ექნება, თუ ეს გამოთქმაც ზედ არ დავამატეთ:—უკლანჭო ლომსა გავს გაწვრთნილი კაცი, შრომას არ დაჩვეული.—უბედურია ის კაცი, გინდ სწავლულიც, რომელსაც მუშა კაცის შრომა—მუყაითობა თავიდანვე არ აქვს შესისხლ—ხორცებული და, თუ უკაცრაოთ არვიქნებით, უფრო უბედურია ის ხალხი, რომელშიაც არა მუშა სწავლულები ტრიალობენ.

ნათქვამის უფრო დასახასიათებლათ, არამუშა სწავლულების უფრო ნაკვთად წარმოსადგენათ, ვიღებთ ბ. ი. გედევანიშვილის წერილიდან („სახალხო ფურც.“ 1915 წ. № 306.) რამდენიმე სტრიქონს.

„სახელოვან ლუარსაბ თათქარიძის ჩამოვლობა ჩვენში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ამ ბწყინვალე „გვარეულობის პირ და პირი ნემკვიდრენი დღესაც მოიპოვებიან ჩვენს აჭრელებულს და მრავალფეროვან ცხოვრებაში. ყოველი პარაზიტი მეტათ გამძლები და დღეგძელია. იგი მხოლოთ რადიკალური წამლობით და სასტიკ ჰიგიენურ და სანიტარულ ზომებით, თუ ამოიფხვრება. მართალია, დღეს პატივცემულ ლუარსაბის შვილნი და შვილის შვილნი გარეგნულათ თითქო შეიცვალენ.—მარა არსებითათ თვის სახელოვან წინაპრისგან არაფრით გასხვავდებიან. დღეინდელი თათქარიძე, შეიძლება ჰიჯაკშიც და სმოკინგში გამოეწყოს, „შლიაპა“ დიხუროს, კალამიც ხელში აიღოს, წეროს კიდეც, ორატორობაც გასწიოს, საზოგადობრივი მოღვაწეობასაც-კი ხელი მიყოს. მარა ნუ მოტყუვდებით, თათქარიძე მაინც თათქარიძეა და მის სხეულში ნეტარხსენებული ლუარსაბის წმინდა, არა შერეული სისხლი ჩქეფს. იგი თათქარიძეა, რათ-

*) იხ. „განთიადი“, № 17.

განც მასში წარუსშლელი და დამახასიათებელი თვისებაა, თვისება მხოლოთ თათქარიძეებისა, მათი გვარეულობის უტყუარი ნიშანი. თათქარიძის სხეულის უპირველესი ორგანო, სადაც მოთავსებულია ცენტრი მთელი მისი არსებისა, როგორც ფიზიკურისა, აგრთვე ფსიხიკურისა, ცენტრი აზროვნობისა, მორალისა, ერთი სიტყვით, მთელი მისი სიცოცხლისა, გახლავთ კუჭი. წინანდელს და ახლანდელს თათქარიძეს მხოლოთ კუჭი ამოძრავებს, ამოქმედებს: კუჭია მისი იდეალი და მრწამსი, კუჭია მისი ღმერთი და სინიდისი. ნახევრათ პირუტყვი, ნახევრათ ადამიანი ლუარსაბი პირში მოქმელი მაინც იყო. ჩვენი დროის თათქირიძე ფლიდი, პირფერი, მატყუარა და ინტრიგანია. ლუარსაბს ღმერთი და კანონი მაინც სწამდა, მართალია, თავისებურათ. ჩვენი დროის გმირს არა სწამს რა, არც ღმერთი, არც სინიდისი, არც აწმყო, არც მომავალი, არც ერი, არც ბერი, არც შინაური, არც უცხოელი. კუჭით იწყება და კუჭით თავდება მისი სულის კვეთება.''

მეტი რომ არ ამოვწეროთ, ესეც საკმაოა მკითხველი მიხვდეს, რისიც თქმა სურს პატივცემულ ავტორს, რომელსაც, მართლაც, ჩინებულათ დაუხატავს თანამედროე ლუარსაბები.

ბ. ივ. გომართელი ამავე აზრს გამოთქვამს თავის კრიტიკულ წერილებში, სადაც ის არჩევს ნეტარხსენებული ნინოშვილის მოხროობას: ,,ჩვენი ქვეყნის რაინდს''. იქაც თათქარიძე, თათქარიძე ძველი და ახალი... და საზოგადოთ, ვინ არ ხედავს თათქარიძეებს?!*) მარა ხედვა თათქარიძეებისა და მხელა თათქარიძეობისთვის არა კმარა. თათქარიძე თათქარიძეც არ იქნებოდა, რო მას ისეთი სათუთი გძნობები ქონებოდა, რო მხელით დარცხვენილიყო და თათქარიძობა ხელიდან გაეგდო. ვისაც თათქარიძობის არ რცხვენია, იმას არც მხელა დაარცხვენს... რას შეუძლია მოსპოს თათქარიძეები? ამ საკითხზე ბატ. ი. გედევანიშვილი გვიპასუხებს: ,,ყოველი პარაზიტი მეტათ გამძლები და დღეგძელია. იგი მხოლოთ რადიკალური წამლობით და სასტიკ ჰიგიენური და სანიტარულ ზომებით თუ ამოიფხვრებაო.'' მარა ეს რეცეპტი სრული არ არი: მასში არ არი დასახელებული წამლები, აღარც ზომებია აღნიშნული. ,,მეტათ გამძლები და დღეგრძელი პარაზიტების ამოსაფხვრელათ.''—ბ. გომართელი-კი პასუხს პირველ საკითხზე იძლევა და თათქარიძეებს ხედავს ნაყოფათ მემკვიდრობისა, ცხოვრების პირობებისა და აღზდისა (კრიტ. წერ.). მემკვიდრობა, აღზდა და ცხოვრება, მართლაც, ისეთი პირობებია, რო პირ და პირ (ხანში შესულ ლუარსაბე'თან) გვერდაუქცევლათ მათთან ბძოლა არავითარი ,,რადიკალური წამლობით და სასტიკი ჰიგიენური სანიტარული ზომებით'' არ შეიძლება... მარა, თუ რადიკალური წამლობა, რაც ყოველთვის ძირიდან იწყება, გონივრულათ მოვახერხეთ, მაშინ საჭირო არ იქნება სასტიკი ჰიგიენური და სანიტარული ზომები, რაც მართლა პარაზიტების ამოსაფხვრელათ კარგია. მარა პარაზიტ—ლუარსაბებზე ზნეობრივ გავლენას ვერ იქონიებს და, თუ ლუარსაბებზე, ვით ნამდვილ პარაზიტებზე, ვინადირეთ სასტიკი ჰიგიენური და სანიტარული ზომებით, რომლის მნიშვნელობა, მართლაც, პირ და პირ ამოფხვრა არი, მაშინ გავიხედავთ (ღმერთო შეგცოდე, არ ვიცი, ვინ გაიხედავს) და იმდენათ დავინახავთ კაცს, რამდენათ ჩვენს მთებში ლომებს და ირმებს... ბ. გ—შვილს თავის რეცეპტში ,,ოჯახში'' და ,,დედა'' (უფრო-კი დედა) აღენიშნა, რადიკალური წამალიც დასახელებული იქნებოდა და ერთად-ერთი წამალიც, რომელსაც შეუძლია პარაზიტ—ლუარსაბების ამოფხვრა... ამ საგანზე ტფრო გარკვევით ქვემოთ გვექნება საუბარი. მარა გაკვრით აქაც ვიკითხოთ: რას შეუქნია ლუარსაბი?--მემკვიდრობას, ცხოვთების პირობებს და აღზდას, ვით ამბობს გომართელი. მარა ლუარსაბის გვერდით

*) დაწვრილებით, როგორც სოციალოგური ტიპი ახალი დროის ლუარსაბებისა „კნიაზი შაქრო" მელანიას „ბნელობაში", ისტორიულათ განხილული აქვს ყველაზე უფრო ადრე ჩვენს ლიტერატურაში ბ-ნ ხომლელს (იხ. იმისი კრიტიკული წერილები: ,,ქართველი გლეხის შვილი'', ჟურ. ,,კვალი'', 1894 წ.)

ავტ.

ჩვენ ვხედავთ ცოტნესაც და რას შეუქმნია ეს უკანასკნელი?—იმავე მემკვიდრობის, ცხოვრების პირობებს და აღზდას... გადაეცით ცოტნე ლუარსაბის ოჯახს და ლუარსაბი-ცოტნესას. დავინახავთ, რო რამდენიმე მოდგმის შემდეგ, ცოტნე ლუარსაბათ გადაკეთდეს და ლუარსაბი ცოტნეთ... მაშ, მემკვიდრობა და ცხოვრების პირობები არც ისე უძლეველი დევები ყოფილა!.. მართლაც რომ არ არი. მემკვიდრობა, ცხოვრების პირობები და აღზდა, სამივე ერთად, თავს იყრის ერთ წერტილთან—დედასთან. აღზარდეთ კაი დედები, შემქნელი გაუმჯობესებული მემკვიდრობის და ახალი ცხოვრების პირობებისთანხმათ და ლუარსაბებიც მოისპობიან. გონიერს და კარგი აღმზდელ დედას ოჯახში მნიშვნელობა აქვს მზისა. გადახედავს, თუ არა მზე თოვლით დაბურულ ხეს, რომელსაც უსარგებლო სიმძიმისგან შტოები დალეწია, ათავისუფლებს სიმძიმის მონობისგან. მზგსვსათვე გონიერი დედაც ათავისუფლებს ოჯახს მემკვიდრობის და ცხოვრების პირობების გავლენის მძიმე უღლისგან მაშინ, როდესაც უგნური და ქარაფშუტა დედა ყინულს გავს. ვით ყინული უფრო მტკიცეთ აკრავს ხის შტოებზე ოოვლს, ისე უგნური დედაც ამტკიცებს მავნებელი მემკვიდრობის და ცხოვრების პირობების გავლენას ოჯახში... დიახ. მარა მზე—დედების აღზდაზე, ე. ი. რადიკალური წამლობაზე არავინ ფიქრობს, თუმც ბევრს წუწუნობენ, რომ ისინი არ გვყავს. აღზარდეთ მზე—დედები და დღეს, თუ არა ხვალ, ზეგ მაინც ცხოვრების დღეინდელი პირობებს და დღეინდელსავე მემკვიდრობას ყოველგვარი მძლე მნიშვნელობა დაეკარგება და მათ ნანგრევებზე აღდგება ახალი პირობები ცხოვრებისა და ახალი მემკვიდრობა... მოიგონეთ ტარიელ მკლავაძე, რომელსაც ბ. გომართელი ახალი ტიპის ლუარსაბს უწოდებს, მოიგონეთ, თუ როგორ ზდიდა მას ოჯახი (დედა), როგორ ცას ეწეოდა სიხარულით ეს ახირებული ოჯახი, როცა პატარა ტარიელი სოფლის ბიჭებს მიბეგვ—მობეგვავდა და ზოგს თეძოსაც ამოუგდებდა ხოლმე. მოიგონეთ, ასეთს შემთხვევაში, ნაცვლათ შეტუქსვისა და აღაგმვისა, მშობლები აქებზებდენ ბავშს: „კოჩაღ, მართლაც, რო ტარიელი ხარ—ტარიელიო“ და ტარიელის ლუარსაბობას დედას დააბრალებთ... ვინ მოკლა ტარიელი? მცირე შვილმა განა?—არა, ის დედამ მოკლა და მასთან ერთად მოკლა ტარიელის დედამ სხვაც ბევრი, რომელნიც ტარიელმა გაჯიჯგნა, მათ რიცხვში, მანვე მოკლა თვით მცირე შვილიც!..

მარა ვუბრუნდებით ისევ იმას, რო კაცი შრომისთვის არი გაჩენილი. ვინც შრომა—მუშაობა იცის, გენიოსია, ვინც არა და თათქარიძეა... მარა ამაზე სიტყვას არ გავაგძელებთ. საუმჯობესოთ მიგვაჩნია, ნათქვამის დასასაბუთებლათ, რავდენიმე მეცნიერის აზრი მოვიტანოთ ბავშების აღზდაზე:

„არაა საჭირო დავაარსოთ ისეთი შკოლა, სადაც ბავში ოც წელს მარტო დონატსა სწავლობს და მაინც ვერა გაუგია რაო,—ამბობს რეფორმატორი მარტინ ლიუტერი,—ჩემი აზრით ბავში წიგნს 1—2 საათის მეტს არ უნდა უჯდეს დღეში, დანარჩენ დროს ის უნდა მუშაობდეს, ან რამე ხელობას უნდა სწავლობდეს. შკოლამ უნდა აღზარდოს ბავში არა შკოლისთვის, არამედ ცხოვრებისთვისო.“

„კაცი უნდა აზროვნობდეს, ვით ფილოსოფოსი და მასთან უნდა შეეძლოს უბრალო მუშასავით შრომა. მხოლოთ მაშინ იქნება ის, რითაც უნდა იყოს—ნამდვილი ვაჟკაცი, რომელსაც ყოველი თვისი გძნობები ემორჩილებიან“.—(ჟ. ჟ. როსო.)

„ბავში ატარეთ ერთი სახელოსნოდან მეორეშიო,—ამბობს იგივე რუსო,—მხოლოთ ყველა საქმე, რისიც გაკეთებისთვის მას სახელოსნოში უყურებია, თვით უნდა გააკეთოს. მარა წარმოდგენილი უნდა ქონდეს, რას აკეთებდენ სახელოსნოში, ან რა გააკეთა თვით... ბავში, ერთი საათის მუშაობით უფრო მეტს შეისწავლის, ვიდრე მთელი დღის ახსნა—განმარტებითო“.

„რაც უნდა მაღალი სწავლისთვის ამზადებდე ბავშს, მან მაინც უნდა იმუშაოს ყოველ დღე, რავდენიმე საათს რაიმე ხელო-

ბის შესასწავლებლათ. მეედლის, დურგლის, კალატოზის და სხვა მოხელეთა იარაღის ხმარება მაინც უნდა იცოდეს“ — (ბაზედოვი)

„კარგ აღზდასთან ბავშს სერიოზნული ფიზიკური შრომის ატანაც უნდა მოეთხოვებოდეს“. — (ზალცმანი)

არის ქვეყნები, სადაც ასეთი აღზდა ბავშებისა სწარმოებს და იქ ხალხიც არი, კულტურაც ყვავის, მიწის სიმცირის მიუხედავათ, საზდოთაც უზრუნველყოფილნი არიან და ტანმთელობითაც გაცილებით მაღლა დგანან არამუშა ხალხზე... ჩვენ გაფაციცებული თვალებით შევცქერით ევროპას... ესეც არ იყოს, თლად დავილუპებოდით... მარა ჩვენ თითონ!.. რა ვართ, რა შევქენით, რა გავაკეთეთ?! არაფერი. და არაფერი იმიტო, რო ბავშის პირველ დაწყებითი აღზდა არაფერზე ვვაქვს დაფუძნებული. ბუნებრივი ნიჭი მარტო არა კმარა. ბავშს ნიჭს დედა მისცემს, თუ შრომისადმი სიყვარული მისცა. მარა რანაირათ უნდა მისცეს დედამ შვილს ის, რაც თითონ არა აქვს!.. ნერგს ფოთლები და ყლორტები რო ვუწამლოთ შაბ-კირით, ვერას არგებს, თუ ძირი დაჭიანებული აქვს და ბავშს რო ძირი არ დაუჭიანდეს, ეს ოჯახის საქმეა—დედის... ჩვენის აზრით, სრულიად არ ვიზარალებდით დაინგრეს დღეინდელი ქალთა გიმნაზიები, რომელნიც იძლევიან მასწავლებლობის მხოლოთ „ოფიციალურ“ მოწმობას დ მათს ნანგრევებზე აშენდეს ისეთი შკოლები, რომელნიც გაიღებენ გათხოვების მრწმობას, მარა ნამდვილს-კი აღზდიდენ მომავალ დედებს არა გადაგვარების მოსურნეთ, არამედ მსგავსთ ძველი ქართველი მუშა დედებისა. ასეთს შკოლებს თვით დედათა სქესის წარმომადგენლებიც ვერ დაიწუნებენ, ვინაიდან არა— რაობას კიდევ რამე სჯობია და კარგი დედობა-კი ისეთი რამეა, რომელსაც კაცობრიობის აღდგენა შეუძლია, ვით ავს—დაცემა. ასეთს შკოლებში აღზდილი ქალიშვილები, დარწმუნებული ვართ, არ ეტყოდენ მამაკაცებს, ვით უბრალო გიმნაზიელები; „იჰი, იმიტო ხომ არ გინდებკართ, რო შვილები გიზარდოთ?! ვითომ ჩვენც არ გვქონია მოთხოვნილება: კლუბი, ვეჩერი, მოდა, ლამაზი თვალები, ქალალდის თამაში, უქმროთ დროს ტარება, ხტუნვა-როკვა- ხუნტრუკი და სხ. !“- ვინაიდან, შკოლის პროგრამით და საზოგადოთაც, დაგმობილი იქნება ყველა ის, რაც ამდაბლებს საზოგადოთ ქალს... ამით სრულიათაც არ გვსურს, რო ქალის, ვით ადამიანის, მოთხოვნილება უარყოფილ იქმნეს. არა, მათი ადამიანური მოთხოვნილება არ უნდა დაიჩდილოს. მარა ქალს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რო თვით ბუნების მიერ მის ბედზე ჩამოგდებულია შვილის აღზდა, მოდგმის გაუმჯობესობა, რასაც უნდა ანაცვალოს მან ის ზედმეტი „მოთხოვნილება“, რაც უმისოდაც არ აყენებს მას მოწოდების სიმაღლეზე სახელსა და დიდებას არ აძლევს... აქ თავის-თავათ იბადება საკითხი: ნუ თუ საჭიროა, რო მხოლოთ ქალებისთვის არსებობდეს განსაკუთრებული შკოლა დ კანონი?— შესაფერი იდეალური შკოლა მამაკაცებისთვისაც აუცილებელი საჭიროა. მარა ესეც არ იყოს, განსაკუთრებულ პირობებში ადზდილი დედა ოჯახისა, გონიერი და სულით სახიერი ქალი, მამაკაცს შკოლადაც ეყოფა და კანონათაც. ასე არავის შეუძლია გონზე მოიყვანოს მფლანგავი, წამგები და უხასიათო მამაკაცი, როგორც გონიერს მეუღლეს, თუ მამაკაცის არსებაში გონების და კეთილი მისწრაფებათა ლამპარი დაბოლოვებით არ ჩამქრალა და ასეთთან ხო გონიერი დედაკაციც არ ინებებს დადგომას... მაშ, ვინ არის ქალი? ის არის ბურჯი კაცობრიობისა, ის არის ჩარხი, რომლის წაღმა, თუ უკუღმა შეტრიალებაზეა დამოკიდებული ოჯახისაც წაღმა, თუ უკუღმა შეტრიალებაც... მოწოდება ქალისა! —ერთი სიტყვაა: **მამაკაცისაზე გაცილებით მაღლა დგას.** მარა, ადვილი წარმოსადგენია, დღეინდელმა ქალებმა უკუაგდონ ეს პასუხისგება, ეს დიადი მოწოდება მათი, ზედ დაფურთხონ მას დ ფეხით მოსრისონ იგი.*)

*) მიუხედავათ ასეთი შეხედულობისა, დღეინდელ ქალებზე ქვემოთაც გვექნება საუბარი. ავტ.

ერთი შეხედვით, ჩვენ თითქო გზას ავცთით. მარა არა. ეს მოიტანა ნეტარხსენებული გაბრიელის აღზდამ და, რომ ის თავ-დაპირველათ ოჯახს არ აღეზარდა, ვით საჭირო იყო, შრომისადმი სურვილი არ ჩაენერგა მასში, მისი ბუნებითი ნიჭს ცხოვრების ქარიშხალი გაიტაცებდა სუბუქი ბუმბულივით და ჰაერში შეათამაშებდა.

III

მე 18 და 19 საუკუნეების ევერიის ეკლესიის გაშუქებული ვარსკვლავებს, ქადაგებათა მოჩუხჩუხე და დაუშრეტელი წყაროებს და სამშობლოს ერთგულ დარაჯთ—ანტონს და გაბრიელს გვერდში ამოუდგა მე 20 საუკუნეში ამ გვარიავე ღირსებებით დაჯილდოებული და, ვით ისანი, სულით და გულით ნამდვილი ქართველი -ეპისკოპოზი ლეონიდი. ეს ადამიანთაგან შემდგარი წმ. სამება ღვიძლი ნათესავები არიან ერთი-მეორისა, ვით სისხლით და ხორცით, ისე სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული გულით და მქადაგებლობის ნიჭითაც.

ჩვენ წინ ძევს ქადაგებანი ღვდელმთავართა: ანტონის, გაბრიელის დი ლეონიდის (უკანასკნელის წიგნი I, რაც შეიცავს 285 გვერდს, გამოც. 1914 წ.) სამივე ერთათ ძვირფასი განძი მრავალ-ტანჯული ევერიის ეკლესიისა. პირველ ორზე არა ერთჯელ თქმულა ცნობილი პირთა აზრი, რომ ისინი დიდი შემატება იქნებოდა თვით ისეთი ეკლესიებისთვისაც კი რომელნიც მდიდარნი არიან ქადაგებებით და აპოლოგეტური ნაწარმოებებით. ითქვა და ბევრიც ითქმის უკანასკნელ ნაწარმოებზედაც. მარა გვსურს ჩვენი შეხედულობაც გამოვთქვათ ამ გამოცემის შესახებ იმდენათ რამდენათაც ის (ქადაგებათა კრებული) შეეხება ჩვენს ეროვნებას, მის ბედ-იღბალს მის საკაკო, ქვეყნიურს ცხოვრებას.

ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რო ქართველ მქადაგებელს ასე პირდაპირ მიზანში ამოეღოს ჩვენი წმიდანები, მოწამეები და მოღვაწენი, დაეფუძნებიოს მათზე მთელი ღრმა სწავლა-მოძღვრება და ასე მოზდილი ტომი („სიტყვანი და მოძღვრებანი") დაესტამბოს. ამის პირველ მაგალითს ეპისკოპოზი ლეონიდი იძლევა... მარა აქ საკვირველიც არაფერია. მას, ვით სამშობლოს მოყვარულ შვილს, სურს აყვავდეს მისი სამშობლო, გაძლიერდეს, გაკეთდეს, მოიპოოს ის, რაც მისთვის აუცილებელი საჭიროებაა.·. მხოლოთ რა ნაირათ უნდა მოხთეს ეს?—აი, რას გვეუბნება ამაზე მწყემსი კეთილი; „ურწმუნოება გვიკარგავს დღეინდელი ჩვენი რაოდენობის ნახევარს და ამითი სუსტდება, ქრება და ისპობა ჩვენი ენა; დნება, ილევა და საბოლოოთ ნადგურდება ჩვენი თავისებურება, სასურველი გავლენა სხვებზე და საკუთარ ღირსების შეგნებაო."—(„სიტყვ. და მოძღვრ." ე,. ლეონიდისა გვ. 10). მას სურს, ჩვენ მორწმუნე ვიყოთ, ვინაიდან წამს, რო სარწმუნოება ჯაჭვია შემაერთებელი. გაწყდება ჯაჭვი (სარწმუნოება), გაწყდება კავშირიც, როგორც სულიერი, აგრეთვე ხორციელიც, არა თუ ხალხთა შორის, არამეთ თვით ოჯახის წევრთა შორისაც, თვით მამა-შვილს და ღვიძლ ძმათა შორისაც. დაუკავშირებელნი წევრნი-კი, როგორც ოჯახისა, ისე ხალხისაც, ზოგი ალთას დაძახებს, ზოგი ბალთას; ერთი რომ ალმა იწყებს ხვნას, მეორე დალმა ჩამოფარცხავს, დაკარგავს თავს, გონიერებას და მით დაიღუპება, როგორც ერთი (ოჯახი), ისე მეორეც (ხალხი). ამგვარათ, არეულ-დარეულ ხალხს, რაც გინდ არ უყვარდეს თვისი სამშობლო (თუმც არ შეიძლება არეულ-დარეულ ხალხს სამშობლოს სიყვარული მოეთხოვოს), რაც გინდ სისხლიც არ ღვაროს სამშობლოს შესანარჩუნებლათ, ის მაინც წაგებს დიდის სირცხვილითაც... ესეც არ იყოს, ურწმუნო კაცი ლაჩარია, მხდალია და მისგან ხეირი არას დროს არ გამოვა მაშინ, როდესაც მორწმუნე ადამიანი მტკიცეა, ვით ფოლადი, შეუდრეკელია და მამაცი.—„უტყუარი ჭეშმარიტებაა,—მოგვითხრობს მქადაგებელი,—რო მარტოთ-მარტო სარწმუნოება და სარწმუნოებაზე დამყარებულ აშენებული ზნეობა აძლევს ადამიანს ღირსებას, ფასს და მიმზიდველობას; მარტოთ-მარტო მორწმუნე და ზნე მაღალ ადამიანს აქვს საშვალება იმოქმედოს შეუცთომლათ და შესძინოს ნამვილი ბედნიერება თავის—თავს, საზოგადოებას და სამშობლოსო" (გე. ნ) ასეთი შეხედულობით სარწმუნოებაზე, ეპ. ლეონიდი გვერდში უდგას ლეიბციგის უნივერსიტეტის პროფესორს ლიუტარდს, რომელიც

მსგავსსავე აზრს ფაკტებით ხატავს და ამბობს: — „ნუ ვიტყვით ჩვენ იმაზე, თუ როგორ ისჯებოდა ძველს აღთქმაში ისრაილთა ხალხი, როცა ის ივიწყებდა იეგოვას... და, ბოლოს, მისი უღმრთოების გამო, დაბოლოებით დაეცა მისი სამეფო, რაც სხვა ხალხშიაც გამეორებულა.,. იგივე მოხდა საბერძნეთში და ოდესღაც დიდებულ რომშიაც... თვით გერმანიის ისტორიაც წარმოადგენს უტყუარს მაგალითს, თითქმის უფრო გასაცვიფრებელს, ვიდრე ისტორია სხვა ახალი ხალხთა. იყო დრო, როცა ნემეცთა ხმალი ქვეყნიერობის კანონს აძლევდა და გერმანიის სახელმწიფო იყო ერთი უუდიდესი სახელმწიფო მთელს ევროპაში. ეს მაშინ იყო, როცა იქ სარწმუნოება ყვავოდა და ის (სარწმუნოება) იყო სული მთელი ცხოვრებისა. ეს ხალხი არ ნახავდა პოლიტიკურ სირცხვილს, რომელიც სისხლით აღიბეჭდა ლეიპციგის მიდვრებზე, რო, პირველათ მას არ დაეკარგა სარწმუნოება და არ გადადებოდა საფრაიგეთის ურწმუნობის სენი. მარა აქ მოხდა ის, რაც ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო თანახმათ ნაჩვენები კანონისა (въ виду указаннаго древняго закона): ვინც, რითაც ცოდავს, მითვე ისჯება. შემდეგ — კი ნაციონალური განათლება ამ ხალხისა მოხდა მისი სარწმუნოებრივ — ზნეობრივი განახლებით. იმ დროის ყველა დიდებულნი თანამედროვენი გამსჭვალული იყვენ იმ შემეცნებით. რო თავისუფლების საფუძველი და გერმანიის დიდება დამყარებულია რელიგიურ რწმენაზე და რელიგიურ განახლებაზეო.“*)

ეპ. ლეონიდი. როცა სარწმუნოებაზე ამყარებს სამშობლოს ბედ — იღბალს და გვეუბნება, რომ უმისოთ ხელიდან წაგვივა ენა, მიწა — წყალი, ნიადაგი, ტერიტორია, თავისუფლება, საკუთარი ღირსების შეგნებაო, საფუძვლათ ამისა სახეში აქვს ურწმუნოთა სოფლმხედველობა: — „ვჭამოთ ვსვათ, სულერთია, ხვალ მაინც მოვკვდებითო — “და ხედავს, რომ ასე მოაზრენი, არა თუ ვერ შეინარჩუნებენ საშშობლოს, საკუთარ კერასაც გააცივებენ... ყოველ კაცს უნდა მოიპოოს ბედნიერება, აღმატება, სიკეთე. მარა ყველამ როდი იცის, რანაირათ მოიპოება ის! — ზოგი ქურდულათ მიიპარება მასთან, ზოგი წვერში ებღაუჭება, ზოგი შვაზე და, ვინ იცის, სხვა როგორ და რანაირათ იბძეის მათი მოსაპოებლათ! მარა არც ერთი ამათგანი ჭეშმარიტ — უცდომელი გზა არ არისო, — გვეუბნება ჩვენი მწყემსი, — გინდა ბედნიერება, აღმატება, სიკეთე შენთვის, საზოგადოებისთვის, სამშობლოსთვის? — გქონდეს სარწმუნოებაო... ეს არი მისი ფესვები, სათავე ბედნიერებისაო. ვით მცენარეს არ შეუძლია უძიროთ არსებობა, არც ურწმუნოს შეუძლია იცხოვროს საზოგადოებისთვის, სამშობლოსთვის, ის ცხოვრობს „ჭამა — სმისთვის“ და ეს ჭამა — სმა გამოაცლის მას ხელიდან ყველა იმის, რაც მისთვის, როგორც ადამიანისთვის, ვით ჰაერი, საჭიროა, რომლისაც დამკარგველი ადამიანათაც არ ჩაირაცხებაო... ეს არი დედა აზრი ღვდელმთავრის მოძღვრებისა. მარა წარმოდგენილიც ნურავის აქვს, ვითომც ის ფანატიკური სარწმუნოებრივი გატაცებას ვინმე ურჩევდეს, ან არ ახსოვდეს, რო საჭაო მოსამზდებელია საიქიოსთვის. ამის საბუთს მისი პირველსავე სიტყვაში ვხედავთ: — „ღმერთმა გაჩინა ადამიანი ბედნიერება - სიხარულისთვის და არა ვაება-ტირილისთვის. შემოქმედმა თვისი მადლიანი კალთა დაბერტყა ქვეყანას და ეს ქვეყანა ჩაბარა თავის ხატსა და მზგავსებას — ადამიანს, ცხადია, იმ მიზნით, რომ უკანასკნელმა გაიხაროს, ისიამოვნოს და ბედნიერათ სცხოს თვისი თავიო.“ (გვ. 6)

ცხადიცაა, ფანატიკოსი, სულელურათ მორწმუნე არც ღმერთს უყვარს. მარა ისიც არ ნებავს, ვისაც არ შეუძლია გონებით შეიგნოს ღმერთი. მეცნიერი არმან საბატიე ამბობს: „ზოგიერთ მორწმუნეს არ შეუძლია წარმოიდგინოს ღმერთი, სანამ ხატებით სავსე ეკლესიაში არ შეიყვანთ და არ აჩვენებთ მახვილით ხელში გამოყვანილ სახეებსო“. როგორც პირველს, ფანატიკურს, ისე ამ მეორე გვარს — უსახო სარწმუნოებას მხოლოდ შეუძლია უფსკრულისკენ დააქანოს კაცი და, საზოგადოთ ხალხი... მარა, განა ასეთს რამეს გვირჩევს მქადაგებელი? — ის პასუხს, რომ ხალხს შეგნებულათ სწამდეს ღმერთი, ვით წამებია ის ქართლის გამგეს ნერსეს (პირველსავე სიტყვაშია). როგორც ღვდელმთავარი მოგვითხრობს, ნერსეს დიდი კაცი იყო, ის გამგე იყო მთელი ქართლის მარა იმავე ღროს იყო ღრმათ და გულიერულათ მორწმუნე ქრისტიანეც, რისთვისაც შეუყვარავს თვისი დიდკაცობა. ის დაუსმენია ხალიფთან ქრისტიანობისთვის, რომელსაც მიუყენებია

*) Ап. Хр. Лютардж. с. п. д. 1899 წ.

სატანჯველი და დაუმწყვდევია საპყრობილეში... მარა ნერსეს დიდძაცობაზე მაღლა ქრისტიანობა დაუყენებია და ის უარი არ უყვია.. სამაგიეროთ, ფოლადივით მტკიცე ნერსე, ნაცვალ ხალიფს გაუთავისუფლებია და თვისი რწმენით ქართლშივე გამოუსტუმრებია. მტკიცეს, მხნეს და გონიერ ნერსეს ეს შემთხვევა ამაღლებს. მარა ის უფრო მაღლა აყენებს, რო თვით საპყრობილეშიაც თვისი ქრისტიანული ცხოვრებით მოუხიბლავს ბუნებით ქრისტიანი და სჯულით მამადიანი აბო, რომელიც გაკიდებია უკან, სამშობლოში დაბრუნებულს ნერსეს, მიუღია აქ ქრისტიანობა აქვე მოწამებრივი აღსასრული ქრისტიანობისათვის მამადიანთაგან, მარა გამხდარა ერთი მანათობელი ვარსკვლავთაგანი ივერიის ეკლესიისა(ვიანვ). დიახ. ნერსესთანა მორწმუნეებს დაეძებს სამშობლოს მოყვარული მწყემსი, ვინაიდან იცის, სანამ ასეტკიცე, შეუდრეკელი, მხნე, გამჭრიახი, გულადი და სულით გოლიათი შვილებს არ შობს სამშობლო, იმის ცრემლთა ფრქვევისგან დახსნაც არ შეიძლება.

მწყემსი კეთილი თვით ეკლესიის კათედრაზე შემდგარიც გამოთქვამს თავის მწუხარებას საქართველოს დაქუცმაცება-დახურდავებაზე და იმის დამახინჯებით გულმოკლული, თითქო ნერსესებს ეძახის, მოდით, დახედეთ, რასა გავს ჩვენი სამშობლოო. თავის პირველსავე სიტყვაში გულსაწყავათ მოგვითხრობს—„სამშობლო უნდა წარმოდგენილი გვქონდეს ადამიანის მთელი სხეულით. ხო საბრალისი და უგვანო-რამ იქნება კაცის სხეული, მას რო ჩამოვჭრათ ფეხები, მუხლები, თეძოები, ხელები, მკლავები და მხრები! სწორეთ ასეთს სასავალალო მდგომარეობაში დღეს ჩვენი სამშობლო თავის ფართო კალთებს მოწყვეტილ—მოკვეთილიო“. (გვ. 10)

ეს აზრი ფანატიკურათ მორწმუნეს არ მოეწონება. ის, გატაცებული თავისებური რწმენით, რომელსაც წარმოდგენილი ყავს ისეთი ღმერთი, რომელიც კაცობრიობას ფოლადის ჯაჭვით უბორკავს ხელ-ფეხს; ღმერთი ისეთი, რომელსაც არა სწამს-რა საქაო ცხოვრებისა, რომელიც არ დაეძებს თითქმის ქვეყნის გატიალება-გაკოტრება-გაოხრებას, ოღონდ ილოცოს კაცმა საიქიოსთვის, მხოლოთ ილოცოს და გინდ მექანიკურათაც, მაშინვე დასძახებს: „მქადაგებელი გზას გადამცოცარაო... მოძღვრის სიტყვას, ეკლესიის კათედრიდან წარმოთქმულს, რა კავშირი აქვს სამშობლოს აღორძინებასთანო! პირუკმო, მან უნდა გაუქარვოს ადამიანს საამქვეყნო ზრუნვა და მხოლოთ საიქიოს დაუმიზნოს მისი გონება...“ დიახ. მარა მადლობი ღმერთს, რომ ასეთი მორწმუნენი ცოტა გვყავს, თუმკ არ ითქმის, რო სრულიათ არ იყოს... არის, მარა მათს შესახებ თითქმის ლაპარაკიც არ ღირა და მით უმეტეს არ ღირს ახსნა-განმარტება, ისეთაც ახსნილ განმარტებული აზრისა... ვიტყოთ მხოლოთ, რო სამშობლო კერის აღორძინების მქადაგებელი მოძღვრები, უეჭველათ, ღმერთს მსახურობენ, ვინაიდან სამშობლოს დასახიჩრებას და ენის წახდენას, უსათუოთ, უნდა მოყვეს ხალხის დაცემაც, ვით პოეტს უთქვამს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ და დაცემული ერი ზნეობა-სარწმუნოებას ვერ შეერიგდება... გულისხმიერ მკითხველს ეს ადგილი ღვთელმთავრის მოძღვრებისა ეუბნება, რო ცხოვრება საათივით არის აწყობილი: საათის და წუთის ისრები მხოლოთ მაშინ ტრიალობენ რიგიანათ, აშინ აჩვენებს უცთომლათ დროს, როცა მათი მამოძრავებელი ჩარხი და საათის მთელი აგებულობა სისწორით არი დაყენებული. ამოვიღოთ საათიდან რომელიმე ქვა, ან სხ. და საათი კვდება. ასევე კვდება კაცი სულიერათ და დაწვრილმანდება აგებულობითაც, როცა სამშობლო სახიჩრდება... სამშობლო იგივეა კაცისთვის, რაც ბუდეა კრუხისთვის: კრუხს ბუდეში თუ მკბენარი დაესია, ის წიწილებს ვერ გამოჩეკს და კიდეც რო გამოჩიკო დიდის ვაი-უბედურობით, ვერ გაზდის, ვიცით... და ამიტომ, ვინც მქადაგებელია, ვისაც გული შეტკივა მოძმისთვის და არ მელალობს, იმან უწინარეს ყოლვლისა საღვდელო მქადაგებელთან ეთათ უნდა ამაღლოს ხმა და ქადაგოს სამშობლოს აღორძინებაზე.

მქადაგებელიც, ვით პოეტი, ჩნდება... როგორც პოეტობის დაჩემება არ შეიძლება არც მქადაგებლობისა; მათ ორივეს ცა აგვირგვინებს და ვინც ნამდვილი მქადაგებელია, ის პირდაპირ საგანს—საიქიოს უხერხულათ თავის დღეშიაც არ წაეპოტინება, იცის: ,,ცუდსა მეთევზეს შერჩება უბრალოთ წყალთა მღვრევანი''.—საიქიო არის უმანკოთა ბინა და მქადაგებელიც აქცევს ყურადღებას პირობებს, თვისებებს,ნიადაგს, წრეს, ზნე--ხასიათს და, საზოგადოთ, ყველა იმას, რაც მანკსა

ბადებს და ებძვის მანკიერების გამომწვევ მიზეზებს, ვინაიდან იცის, რო თუ ეს მიზეზები სძლია, მანკიერებაც დაძლეულია და საიქიოსთვისაც სათქმელი არა ექნება—რა... ვაგლახ მასწავლებელო, თუ გატიტლებეულ—გაყინულ ბავშს, ქუჩაში მოხეტიალეს, მშიერსა და მწყურვალს წაადეგ—თავზე დაუწყო ანაბანას სწავლება!... მქადაგებელიც მასწავლებელია ეს, მაშასადამე, ოსტატიც უნდა იყოს. როგორც ერთმა, ისე მეორემ ჯერ უნდა დათრუგნოს ის პირობები, დაბრკოლებანი, რომელნიც მათს სამოღვაწეო გზაზე გაბნეულან და მის შემდეგ—კი მასწავლებელი ადვილათ წვდება მიზანს, ხოლო მქადაგებელს მიზანი გახორციელებულიც აქვს... ამ აზრით, ეპ. ლეონიდი, თვისი ქადაგებათა კრებულში, ყოველი ფეხის გადადგმაზე გვირჩევს, სამშობლო შევინარჩუნოთ, მაგრათ ჩავეიდოთ მას ხელები, არ დავანებოთ ის დასაგმობ—შესალახავთ არავის, თუ გვსურს აქ—სამშობლოში აღმოცენდეს „ხე ცხოვრებისა“... და ედემიც დავისაკუთროთ...

გვიკითხავს და გვსმენია ქადაგებანი, ასე წოდებული, „კაზიონური იქ სატყვებიც ლამაზია, ფრაზებიც არა ნაკლებ და, მაშასადამე, ყურს კარგად ესმის. მარა არ აკმაყოფილებს გულს შინაარსის მხრით: მქადაგებელს სურს მსმენელის ესთეტიური გრძნობა დაკმაყოფილოს, წვდება კიდეც მიზანს და ,,ვაშას'' იმსახურებს, მეტიც მას არა უნდა-რა. მარა ცოტაა ეს. მქადაგებელმა თვისი ნაწარმოებში, თუ გონებაც არ ჩალესა, თუ არ იქონია სახეში, რო მან უნდა გააღოს მსმენელის სული, არ დაიცვა თან და თაკობის კანონი და მიზნათ სარგებლობა არ დაისახა, მისი ქადაგებაც ფუჭეა. მქადაგებელს თავდა პირველათ თვისი საკუთარი თავთან უნდა ქონდეს საქმე, თვის თავს უნდა იცნობდეს ზედმიწევნილათ, უნდა ქონდეს გათვალისწინებული თვისი საკუთარი სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებანი, უნდა ყავდეს თვისი თავი მიუდგომლათ შეფასებული და ეს იქნება გასაღები, რომლითაც მას შეეძლება გააღოს სხვისი სულიც.—,,მოსძებნე ჯერ,—ამბობს უკვდავი მწერალი გოგოლი,—გასაღები საკუთარი სულისა და მით შენ გაადებ ყველას სულსო.'' ამ საზომით, თუ არ გამოვიდა მქადაგებელი, მას გამოუვა ნაშრომი, ვით ქრისტე ბძანებს: ,,რამეთუ შეკვრიან ტვირთი მძიმე და ძნიად სატვირთავი და დასდვიან მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაც მათითა არა უნებან შეძვრად იგი.''—(მათ 23—4.).

ჩვენში, ამ სიტყვის ფართე მოსაზრებით, სასულიერო წრეში, სამოქალაქოზე რომ არა ვთქვათ—რა, ნახტომებათ მიღებულია: ა—დან ჰ—ზე და სამშობლო ენის ან-ბანიდან პირ და პირ უცხო ენებზე გადახტომა ნაბძანებიც გვაქვს, რაც, სამწუხაროთ, სასარგებლო მოვლენებს არ ქმნის... ასეთს ანორმალურ პირობებში აღზდილნი, თვით ქადაგების ნიჭითაც დაჯილდოებულნი მოძღვრებიც, გარდა სულ მცირე გამონაკლისისა ვერ ახერხებენ მოძღვრებათა სისტემატიურათ დამუშავებას, ვერ ახერგებენ დაიწყონ თავიდან და თან და თანობის დაცვის კანონით აზრის დაურღვევლათ და გაუწყვეტლათ შექნან რამე მთელი—სრული. ჩვენი ნიჭიერი მოძღვრის სიტყვები—მოძღვრებანი, აქა—იქ შემთხვევით წარმოთქმულნი და, შემდეგ, წიგნაკებით გამოცემულნი, წარმოადგენენ რაღაცნაირათ აგებულ შენობას უსაძირკვლოს და უსახურაოს... ასეთი მოვლენისგან განგებას უხსნია ჩვენში მქადაგებლები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი. მათი ქმნილებანი წინ და წინ მოაზრებული გეგმით არიან აგებულნი, რის გამო, მათში თან და თანობა გაუწყვეტლათ არი დაცული, სადათ და მართლათაც ისინი წარმოადგენენ ისეთს მთელს, რომ არ შეიძლება, რომელიმე მათ მიერ შექნილი მოძღვრებათა კრებულთაგან გამოვიტანოთ, გინდ ერთიც არის მოძღვრება და ის შეუნიშნავთ დარჩეს, ვით არ დარჩება შეუნიშნავთ, რო კაბისგან გამოვიტანოთ რომელიმე საფეხური... ავიღოთ მაგ. ეპ. ლეონიდის კრებული მოძღვრებათა: ისედაც რო გადავფურცლოთ, შევნიშნავთ, რო მას მო-

სვლია განზრახვა, როგორც დღესასწაულები უხვდებოდა, გამოუტოვებლათ, თან და თან ეთქვა სიტყვა ჩვენი წმიდანებზე ისე, რო სისტემატიური კანონი არ დარღვეულიყო და წინდაწინ შემუშავებული გეგმით გაუვლია ლარივით სწორი გზა... ეს გარეგნული მხრით. შინაარსის მხრითაც, იგივე კანონი დაუცავს და, როგორც იყო, კიბის პირველ საფეხურზე, ჩვენს დროში გამეფებული სხეული საკითხი—დედის მიერ შვილის აღზდა დაუყენებია და ასე დაუხატავს: —,,სუსტი და ნორჩი სხეული ახლათ დაბადებულისა იზდება და ვითარდება დედის კალთაში და მკერდზე ამავე კალთაში და მკერდზე იზრდება, იფურჩქნება. დედაა მარტო ერთად—ერთი მასწავლებელი კარგ ხნობამდი ბავშისა, მასწავლებელი, რა საკვირველია, არა სიტყვით და დარიგებით, ამისთვის, რომ ახლათ დაბადებული მოკლებულია სიტყვისა და დარიგების მნიშვნელობის შეგნების, არამედ თავის ზნეობით, მიმართულებით, სულიერი მისწრაფებით და ხასიათით, რომლებიც გამოიხატებიან და გამოითქმიან დედის მიხვრა—მოხვრაში, ქცევაში, პირისახეში და თვალების გამომეტყველობაში. თუ დედა ნამდვილი ქრისტიანეა, თუ დედის არსება მოცულია ქრისტეს მხურვალე სიყვარულით, შემკობილია ქრისტიანული სიმშვიდით, სიწყნარით და სითავდაბლით, უეჭველია, ყველაფერს ამას ბავშიც შეამჩნევს და ამოიკითხავს დედის ალერსიან თვალებში, პირისახის გამომეტყველებაში და თვით მისი სხეულის მიხვრა-მოხვრაშიაც-კი. ამას ყველაფერს შეიწოვს ბავში დედის რძესთან ერთად, შეითვისებს მთელი არსებით და, შემდეგში, სამარის კარამდი ვერაგვარი ცვლილება, ვერაგვარი გაჭირვება, ვერაგვარი ქარტეხილი ვერ შეძლებს ამ მიმართულების შერყევას, გადაგვარებას და განადგურებას. მარა, თუ დედა ცივია სარწმუნოებაზე, არ ესმის სარწმუნოების მოთხოვნილებანი, მოკლებულია ქრისტიანობრივ სათნოებათა, გული და სული მიდრეკილი აქვს ბიწიერებისკენ, აუცილებლათ, ბავშიც ამასვე ამოიკითხავს დედის თვალებში, ამასვე შეიწოვს დედის რძესთან ერთად, ისევე გაუჯდება მის ძვალ—რბილში და, ამგვარათ, დედის წყალობით, სიკვდილამდი შეინარჩუნებს ბიწიერ და ბოროტულ მიმართულებას. აი, რა დიდი და გადაწყვეტილობითი მნიშვნელობა აქვს დედის ქრისტიანულ მიმართულების ჩამომავლობის ბედ—იღბლისთვის, ეკლესიის წარმატებისთვის, ოჯახის ბედნიერებისთვის და ერის კეთილდღეობისთვის. ,, —(გვ. 22)

აქაც მქადავებელს სახეში აქვს მიღებული ჩამომავლობა, ეკლესია, ოჯახი და ერი. აი, ბურჯები არსებობისა და ამათთან აკავშირებს ოჯახის დედას... ეს ოთხი სიტყვაა: ჩამომავლობა, ეკლესია, ოჯახი და ერი. აიყვანეთ უმაღლეს წერტილამდი და სასუფეველი თავის—თავათ დაისადგურებს ხალხში... მარა ვინ შესძლებს იმათ ამაღლებას, იმათ სასურველ ნიადაგზე დაყენებას? - უეჭველათ, ქალი—დედა ოჯახისა... ერთის წუთით დავანებოთ თავი ერს და წარმოვიდგინოთ ცალკე ოჯახი, იქიდან თვალი გავუსწოროთ ერსაც, ვინაიდან ოჯახსა და ერს შორა დიდი ნათესავობაა და გასხვავება მათ შორის მხოლოთ სივრცე—სიდიდეშია. ხომ უმჯობესია დაიწვას ოჯახი, ვიდრე ავზნიანმა და უტკუომ იქ დაისადგუროს! პირველი სპობს ოჯახს უეცრათ, ერთბაშათ და მეორე-კი თან და თან, მარა უფრო საგძნობლათ კი, ვიდრე პირველი აჩენს ალს წუთით, ქონებრივით გამანადგურებელს, მეორისგანკი გაუქრობელი და სამუდამო ალი დგას ოჯახში, გამანადგურებელი, ვით ქონებრივათ, აგრეთვე ზნეობრივათაც.. ამ შეხედულობის გასამართლებლათ, საკმაოა ბძნული გამოთქმა: -- ,,უმჯობესია უბედური ბოლო, ვიდრე დაუბოლოვებელი უბედურობაო''. ავზნიანი და უტკუო დედის მიერ გაჩენილი ალი ოჯახში არ ქრება თვით ამ დედის გაქრობითაც: ის ნათლათ გადადის ჩამომავლობაზე, ეკლესიაზე, და ერზე. რასაც ყოველგან ქონებრივ—ზნეობრივად გამანადგურებელი მნიშვნელობა აქვს...

თუ საზოგადოთ არა, უმრავლესობაში

მაინც მიღებულია, რო დედაკაცი მამაკაცის სწორი არ არი და არც უნდა იყოსო. ამის საბუთები მრავალი მოყავთ და, სამწუხაროთ, ზოგი სამართლიანიც... ეს რომ ასეა და ასე არ უნდა იყოს, ამას ღაღადებს დღეს მთელი განათლებული საზოგადოება... მერე, ვინ შექმნა ასეთი პირობები? ვინ დააკანონა ასე? ვინ დაამცირა ქალი? — პასუხი ერთია: თვით ქალმა... შეიძლებოდა, მამაკაცი უკანონოთ მოქცეოდა დედაკაცს, დაემცირებია, ფეხქვეშ გაეთელა მისი პიროვნება, ამხანაგთ არ მიეღო, გვერდში არ ამოეყენებია?? არა და არა. ნორმალურ მოვლინებას თვით ბუნებაც უარყოფს და, სხვა არა იყოს-რა, არ შეეძლო მამაკაცს ბუნება დაეთრუგნა — დაეძლია. ესეც არ იყოს, მამაკაცი ამხანაგში საჭიროებს, დიდათ უღირს, დაეძებს და, თუ პოვა, გინდ ქალიც იყოს, არ შეიძლება გულში ხელი კრას, ზურგი შეაქციოს, თავის სწორათ არ აღიაროს... ცხოვრებაში ჩახედულს და გონიერს მამაკაცს არ შეუძლია დედაკაცის მოწოდება უარყოს; არ შეუძლია რო თვით დედაკაცი თავის-თავზე მაღლა არ დააყენოს და ამაში სათაკილო რამ პოვოს. მარა, ნურას უკაცრავათ, დედაკაცი მხოლოთ... რაც, რო კაცი პირველყოფილ მდგომარეობიდან გამოიჩიკა, დედაკაცი დედაკაცობისთვის თავის დღეშიაც არ დაუწუნებია... ვინ დაიწუნა თამარი მეფეთაც?! ვინ კრა გულზე ხელი წმ. ნინოს და ვინ უთხრა: „ეჰ, დედაკაცის მოტანილი სჯული არ მინდაო?!“ ან ვინ არის ისეთი თვით თანამედროე მამაკაცთაგანი, რომელიც უარსყოფდეს თანამედროე მოღვაწე, მშრომელი და გონიერი დედაკაცების (რომელთა რიცხვი, სამწუხაროთ, მცირეა) ამხანაგობას და თვით უპირატესობასაც-კი?! ქალის უფლება არავის შეუზღუდავს, გარდა თვით ქალისა და, ვინ არი დამნაშავე, რო ქალს „თვისი ბედი თითვე ქონდეს ნაჭედი!“. ქალები ბევრს დაობენ, ჩივიან და იბძვიან კიდეც უფლების მოსაპოვებლათ მარა ეს უმცთარი გზა არ არი. გზა უცთომელი ის იქნება, რო მათ აამაღლონ არა მარტო ხმა, არამედ დიდ მნიშვნელოვანი მოწოდება მათი... მაშინ საჭირო არ იქნება ხმის ამაღლებაც, ველარც დავა, საჩივარი და ბძოლა, უმათოდაც მაღლა დადგებიან და, თუ არ გადააჭარბეს, გვერდში მაინც ამოუდგებიან მამაკაცებს... მარა მთავარი მოწოდებათაგანი მათი ის არის, რო მოდგმა გააუმჯობესონ, რასაც ისინი სხვას ვერ მიანდობენ, ვერ დააკისრებენ, ვერ შეაძლებინებენ... რამე სასწაულთ მოქმედებით ქალები ამ გზას დაადგებოდეს, ნახევარი საუკუნეც არ არის საჭირო, რო დღეინდელი მკვდარი აღდგეს და ქვეყანა ვერ იცნოს... ამ სახით, სრული ჭეშმარიტებაა, რო ჩამომავლობის, ოჯახის, ეკლესიის და ერთს ბედ — ილბალი ქალის ხელშია და, რომ ეს ბედ — ილბალი ქალებსაც ხელიდან გაუგდია, ამას დასტირის მქადაგებელი და ამბობს: — „ჩვენი მომავალი ქრისტიან ქალების ხელშია და არა ბებელის იდეალის ქალისაშიო.“

მარა ამით არ ათავებს მქადაგებელი სიტყვას ქალზე და არც შეიძლებოდა გაეთავებია, ვინაიდან რავდენი მეტათ დიდი და რთულია საქმე, რავდენათ მეტი პასუხსაგებელი და საწინაოა, იმდენათ მეტათ საჭიროა მედგრათ შებძოლება... ამიტომ, როგორც ზემოთაც გვაქვს ნათქვამი, თან და თანობის დაცვის კანონით, მოუნაცვლებია ფეხი და მეორე საფეხურიდან (შემდეგი მოძღვრებიდან), აი, რას მოგვითხრობს: „ვინც ჩვენი დროის მწერლობას თვალ — ყურს ადევნებს და რამოდენამდი მაინც ჩახედულია ცხოვრებაში, დამეთანხმება, რომ ახლა თითქმის აუცილებელ მოთხოვნილებათაა გადაქცეული ქალის დაჩაგრულ მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი, ქალის გაქელილ უფლებითა აღდგენაზე მსჯელობა, ქალის აწინდელ სოციალურ ვითარებაზე ბაასი, ზრუნვა და ფიქრი იმაზე, რო ქალი დახსნილი იქნას გონებრივ, ზნეობრივ და მოქალაქობრივ მონობისგან. პროლეტარიატის საკითხს, რომელიც მთავარ საკითხათ აქვს აღიარებული თანამედროე მწერლობის თვალსაჩინო ნაწილს, გვერდს ამოდგომია საკითხი ქალის შესახებაც. ქალთა გათავისულების

ჩვენი დროის უთვალავ მოციქულებს აუტანელ ჯოჯოხეთად ეჩვენებათ ახლანდელ პირობებში ქალთა ცხოვრება, ქალთა ცოლობა, დედობა, დიასახლისობა, დობა, მეგობრობა და საქვეყნო მოღვაწეობა. ყველას დაუსახავს გაადამიანება და უფლებამოსილების მინიჭება ქალის პიროვნებისადმი.—სიამოვნებით ივსები, როდესაც უყურებ ამ საერთო კეთილშობლურ აფრთოვანებას, ცას ეწევი სიხარულისგან, როდესაც ხედავ, რო საზოგადოებაში გაღვიძებულა დიდი და მაღალი სურვილი თვითშეგნებისა, ადამიანურ უფლებათა მოპოვებისა, თავისუფლების შეძენისა და ცხოვრების გიუმჯობესობისა. სიხარბით ეწაფები ამ ახალი მიმართულების მქადაგებელთა ყველა ნაწარმოებს, გულდასმით უსმენ მათ რჩევა—დარიგებას, რომელიც საფუძველათ უნდა დაედოს, მათი შეხედულობით, ახალს უმაღლეს ცხოვრებას. მარა წუთიერი გამოდის ეს გატაცება, ჩქარა გეკარგება ალმაფრენა, ისევ სევდა და ბოლმა გაწვება გულზე, რათგანც ცხადათ რწმუნდები, რომ უდიდესი ნაწილი იმისი, რაც დღეს იწერება და ეფინება საზოგადოებაში ვითომ და კეთილსადღეოთ, მოკლებულია საფუძვლიანობას და სიმართლეს. ქალთა საკითხის მომხრე მწერალთა ნაწარმოებში გიზიდავს და გულს გითბობს ის გარემოება, რო სავსებით და სინამდვილით, მასთან მკვეთრი და პირუთვნელი ენით, აგვიწერენ ჩვენი დროის ქალთა მდგომარეობის აუტანელობას და სიდუხჭირეს. მარა, სამწუხაროთ, მარტო ამითი თავდება გულდასადები მხარე ნაჩვენები პირების აზროვნობისა. დანარჩენში ისინი ცილდებიან სინამდვილეს, იწყებენ თავიანთ შემცთარ და მავნე აზრების ცხარე ქადაგებას, ამწვავებენ საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობას, დამწვარს ზედ მდუღარეს ასხამენ და, ადამიანთა ისედაც ბედშავ ცხოვრებას, ნამდვილ ჯოჯოხეთად ხთიან. ამ მწერლებს არ სურთ იცნონ ის ერთად ერთი ნათელი ძალა, რომელმაც მიათვისა ქალს მამაკაცის თანაბრათ ადამიანობა, რომელმაც ქალი გვერდს ამოუყენა მამაკაცს სწორ ამხანაგათ. მათ არ უნდათ აღიარონ, რო ქალის დღეინდელი დაჩაგრული მდგომარეობა პირდაპირი შედეგია იმისი, რო ქალმაც და კაცმაც ზურგი შევაქციეთ ამ ბწყინვალე ძალას, პირი ვიბრუნეთ ისევ სიბნელისკენ. მათ არ სურთ შეიგნონ, რომ ამაშია სწორეთ ჩამარხული დასაწყისი ახლანდელი ჩვენი ყოფა—მდგომარეობის ავადობისა და არა ეკონომიურ—პოლიტიკურ—სოციალურ პირობებში. "(გვ. 45)

ნათქვამის გასაშუქებლათ მქადაგებელს მაგალითად წმ. ნინო მოყავს და ამბობს:

„ ჩვენ ვიცით, რომ უცნობმა, უცხომ, ღარიბმა და სუსტმა ნინომ საქართველოში მოსვლიდან სულ მცირე დროს განმავლობაში იხილა თავის წინ დაჩოქილი და ცრემლით ქრისტიანობის მთხოვნელი იმ დროის საქართველოს მეფე მირიანი! ნუ თუ ამ შემთხვევაში ნინოს მოქმედებას ხელი შეუწყვეს ეკონომიურმა, ან პოლიტიკურმა და სოციალურმა პირობებმა?... "(გვ. 47)

ამ მოძღვრებით, მქადაგებელი გვიხატავს ყველასგანკარგათ ცნობილ სახეს, მხატვრობას და არა ახალ რამეს. თითქმის უკიდურესი ათეისტიც, რომელსაც ხალხის სიყვარული ოდნავ არის შერჩენია, გძნობს, რომ უსარწმუნოებოთ ხალხი კვდება: რაც გინდ, განათლებულ საზოგადოებაში, ცამდი ავიდეს, ასე წოდებული, ცივილიზაცია, ის ურწმუნო ხალხს, ვერ განკურნავს... თითქმის ქვეყნათ ცნობილი ლეონ ტოლსტოიც, რომლის სოფლმხედველობა მკითხველმა საზოგადოებამ იცის, ვერ შერიგებია ურწმუნოებას და ალაგ-ალაგ, თავის ნაწერებში ისე ნათლათ, ისე მკვეთრათ ამტკიცებს სარწმუნოების აუცილებლობას, რო ძნელათ ვინმე თვით სარწმუნოების წარმომადგენელთაგანიც, თვისი გძელი ქადაგებებითაც მისებ ჩაიჭრას ადამიანის გულში... ურწმუნო ოჯახი სიბინძურე-სიმყრალით ივსება, უზნეობის ლაფში დაკოტრიალდება, ქონებრივათაც მალე ეცემა, ერთი ნიაღვარი და ცხოვრების მეწყერი სამუდამოთ საფლავს გაუთხრის. ასეთივეა ერიც ურწმუნო: რა გინდ მაღალი სწავლით არ გამოტენოთ მისი თავი, შეუძლებელია, რო

მან მაგარ ნიადაგზე ფეხი მოიმაგროს, თვისი აზროვნობა შეინარჩუნოს. შეიძლება ვინმე მოტყუვდეს გარეგნული შეხედულობით, ერი დაარქვას ურწმუნო ხალხს. მარა ასე ხო მირაჟსაც მოუტყუებია კაცი: მისულა, თუ არა მოჩვენებაც გამქრალა. ა—კი ფუტუროც ატყუებს, თვალს თავის ბწყინვილებით, მარა განა არი რამე ფუტურაში ბწყინვალების გამომწვევი?!...

მაშ, სად არი ხსნა?—ხსნა არი დედებში. აღზარდონ მათ ქრისტიანულ—მოქალაქობრივ ნიადაგზე მოდგმა და ვერც-კი მოვასწრებთ გარემოხედვას, რო დღეინდელ მოწამლულ ცხოვრებას წესი აეგოს...

რაც დრო გადის, იმდენათ საჭიროება ითხოვს პოლიციელების, მსაჯულების და ღვდლების გამრავლებას. ეს მოვლინება ხალხის მომრავლებას რო მივაწეროთ, შეცთომას ვერ ავიცთენთ; შეუცთომელიც არ იქნება ვთქვათ, რომ არსებობისთვის ბძოლა თან და თან მწვავდება, რაც მდგომარეობასაც ამწვავებს და ეს-კი ბადებს დამცველების გამრავლებასო, თუმცა დღეინდელი პირობების მიხედვით და საქმის ზედაპირის გაშინჯვით, სხვანაირათ არც შეიძლება ეს მოვლინება აიხსნას... მარა ბურუსით მოცულ ტყეში უფრო ღრმათ რო შევიხედოთ, დავინახავთ, რომ არც ერთში, არც მეორეში ნამდვილი მიზეზი არ იმალება... ავიღოთ მაგ. ქურდი: ღვდელი უხსნის მას მერვე მცნებას: ,,არა იპარო'' - და ეუბნება, რო ქურდობა ცოდვაა, წინააღმდეგია სარწმუნოების და ზნეობის. ქურდს ეს არ ჯერა, უვარდება ხელში პოლიციას, ის ტანჯავს და უგდებს ხელში მსაჯულს, ისიც სტანჯავს და აგზავნის ციხეში... ღვდელს, პოლიციელს და მსაჯულს გონიათ, რო ვალი მოიხადეს და სინიდისს იმშვიდებენ... მარა ვხედავთ, რო ერთი ქურდის ადგილზე გაჩდა ორი ქურდი, რაც აფიქრებს ხალხის მამებს და დაყავს იმ დასკვნამდი, რო საჭიროა ორი ღვდელი, ორი პოლიციელი, ორი მსაჯული. ასეც ხდება: მრავლდებიან ეს ,,მარილნი ქვეყნისანი'' და იხარჯება მათზე მილიარდები. მარა ქურდობა (უნდა ვიგულისხმოთ ყოველგვარი დამნაშაობა) მაინც არ ისპობა; პირ-იქით. რაც დრო გადის, უფრო ვრცელდება... ამ სახით, დამნაშავენი, გარდა იმისა, რომ აწუხებენ ხალხს და ტანჯავენ თავიანთ თავსაც, ფუფუნებით საზდოებენ... აცალიერებენ ხაზინას... ვერ დაინახოს ეს ხალხის მამებმა, ვიტყვი ბ. კლდიაშვილის სიტყვით, ,,სასაცილოა, რო სამწუხაროა არ იყოს!''.. იცის ხაზინამ რამდენათ უჯდება ქურდობა?! განა დაფიქრებულან ოდესმე ხალხის მამები, რო გზავრობა, რომელიც მათ აურჩევიათ დამნაშაობათა მოსასპობათ, გავს იმ გზავრობას, რო ვინმემ მოიფიქროს ქუთაისიდან ამერიკით წასვლა მოსკოვში, გასწიოს უშველებელი შრომა და ხარჯი და ნაცვლათ მოსკოვისა, მოხვდეს პეკინს... რა შვაშია ქურდი? განა ქურდს-კი უნდა, რო ქურდი იყოს და ბაცაცი და არა პატიოსანი მუშა, მოღვაწე კეთილი, რო თვისი ოფლით ჰამოს პური თვისი?.. თქვენ ვერ მონახავთ ისეთ ქურდს და, საზოგადოთ, დამნაშავეს, რომელიც არ გძნობდეს. რო მის მიერ არჩეული გზა ცხოვრებისა არ არი კეთილი, რომელსაც არ ეზიზღებოდეს თვისი თავი, მარა ვერც ისეთს მონახავთ, რომელსაც მრუდე გზიდან გადახვევა ადვილათ შეეძლოს... ფიზიელი შეხედულებით, ქურდი არა თუ დასასჯელი არ არი, პირიქით, საბრალოცაა... ესეც არა ვთქვათ, დამნაშავეთა დასჯა იმ მიზნათ, რო სხვა გასწორდეს, მეტის—მეტათ სუსტი ხერხი და საშვალებაა დამნაშაობათა შესამცირებლათ. აქიდან, ცხადია, ის მილიარდები, რომელიც იხარჯება საპოლიციო სამსაჯულო და საღვდლო დაწესებულებებზე, არ ამართლებენ და ვერც გაამართლებენ მასზე დამყარებულ იმედებს... ჩვენ თამამათ ვიტყვით, რო დამნაშაობას მოსპობს **დედათა სქესი**. დაიხარჯოს ნაწილი იმ მილიარდებისა, რაც უსარჯებლოთ იხარჯება „ქვეყნის მარილი", დედების მოსამზადებლათ! მიექცეს დედებს ნაწილი იმ ყურათღებისა და პატივისა, რაც მსაჯულებს და პოლიციელებს ექცევა; დაწესდეს ხარისხები და ჯილდოები დედებისთვის და

სხ.—ერთი სიტყვის, ამაღლდეს. დედა ხარისხის მიხედვით, ხალხისა და მთავრობის თვალში, დაისაკუთროს მან საპატიო ადგილი სახელმწიფოში და დავინახავთ, რო ერთი ორმოც და ათჯერ შემცირდეს სამსაჯულო, საპოლიციო და საღვდლო დაწესებულებებზე ხარჯები და, მიუხედავათ ამისა, ორმოცდაათჯერაც შემცირდეს დამნაშაობა და, მაშასადამე, ამდენჯერმე შემცირდეს ტანჯვანი და გაწვალებანი ხალხთა შორის და ცხოვრებაც ამდენჯერვე გაუმჯობესდეს, გაკეთილშობილდეს, გასწორდეს...

ღვდელს, პოლიციელს, მსაჯულს ასე, თუ ისე საქმე აქვს დიდებთან, რომელნიც, ან არ უდებენ თავს არავის, ან ისე არიან ცხოვრებისთვის მომზადებულნი, რო მათზე თვით ჩამოღრჩობის შიშიც ვერ მოქმედობს... მარა თვით ღვდლები, პოლიციელნი და მსაჯულნიც არა უკეთეს პირობებში არიან აღზდილნი... პირველებმა უნდა მოძღვრონ ქურდი, რომელსაც თხა მოუპარავს, ძროხა, ან ცხენი; მეორეებმა უნდა ამაორახონ და მესამეებმა უნდა ასამართლონ. მარა ერთი მათკენაც მიიხედეთ.... და განა იმაზე სასაცილო, იქნება რამე რო დიდმა... პატარა ქურდი მოძღვროს, ამათრახოს და ასამართლოს! სად არი, სირცხვილო სინათლე შენი!... ესეც არ იყოს, ადამიანმა თვისი მოვლენის დღიდან დაინახა და შეიგნო, რო ბებერი ხის, ვით ნორჩი წნელის, მოგრეხა შეუძლებელია. მარა ვერ იქნა და ვერა, ეს ცხოვრებაში ვერ გამოიყენა და ისევ მილიარდებს ხარჯავს და იბძვის, რო ხანგადასული ხე მოგრიხოს, რასაც ის თავის დღეშიაც ვერ მოესწრება.., მართალია, ერთნაირ იმედს შკოლაზედაც ამყარებენ. მარა შკოლა ბავშვისთვის მეორე ნაბიჯია და ისიც არა ისეთი გვაქვს, როგორიც საჭიროა... კარგი შკოლა, მისადებ ბავშვის მარტო ჩვეულებრივი გამოცთაზე არ უნდა დასჯერდეს: თავდაპირველათ, უნდა იკითხოს მან, ვის იღებს, რა მიმართულების, ზნის და ხასიათის დედის აღზდილ—მომზადებულ ბავშს უშვებს თავის კარებში!.. ვით ღდელს, პოლიციელს და მსაჯულს, არც შკოლას შეუძლია დედის მაგივრობა გაუწიოს ბავშს... შკოლას შეუძლია მისცეს ბავშს დიდი ცოდნა, მეცნიერება. მარა გადაახვევინოს დედის მიერ ძუძუსთან ერთათ შეწოვებულ ზნეობისგან, ან სრულიათ არ შეუძლია, ან იშვიათად და ისიც რომელიმე ნაწილში... მოითხოვოს შკოლამ ბავშვისგან ის, რაც დედას არ მიუცია მისთვის, უსამართლობა იქნება. მოინდომოს შკოლამ დედის მიერ უხეიროთ გაზდილი ბავშვის ზნეობრივათ გაკეთილშობილება (რაზედაც ის თავს არ იტკივებს), ვერას გახთება. გამოვუა მხოლოთ ანეგდოტი ვინმე ხუცისა, რომელმაც სადილზე რავდენჯერმე მოითხოვა, თურმე, მარილი, რაც მხოლოთ მაშინ მიართვეს, როცა სადილით გული იჯერა. ამ შემთხვევაში, თუ ხუცესმა უთხრა უთავბოლო მსახურს: „აწი ზურგზე დამაყარე, შვილო, შენი მარილიო“, დედის მიერ გაფუჭებულ ბავშვსაც შეუძლია უთხრას შკოლას: „ახლა გვიან არის ჩემი ზნეობრივი გაკოჩაღებაზე ლაპარაკი. მართალია, მესმის რომ ადამიანი ასეთი უნდა იყოს და არა ისეთი, ვგძობ ჩემთან ერთად აღიზარდა ეკლიანი მკენარე, მართა ის ჩემზე უფრო მაღალია და ახლა იმის მოთხრის ძალა მე არა მაქვსო“—და მთქმელი ამისა—ბავში მართალი იქნება სრულიათ...

აგრეთვე არ იქნება დროის უბრალოთ დაკარგვა შევიხედოთ სამსაჯულოშიაც, სადაც 21—50/0 არ გადააჭარბებს დამნაშაობა, რომელიც დედის გავლენით და მიზნით არ იყოს ჩადენილი... ამ სახით, ცხადია, რო დედის საიდუმლო ხმა, ვით შკოლის, სამსაჯულოს კარებზედაც აკაკუნებს. მარა ეს არავის ესმის...

დიახ, როგორც მქადაგებელი მოგვითხრობს, დედაში იმალება საიდუმლო ასეთი თუ ისეთი მოდგმის წარმოშობისა.—მასშივე იმალება ჩარხი, რომლის შეტრიალებაზე არი დამოკიდებული ჩამომავლობის, ეკლესიის, ოჯახის და ერის ბედ—იღბლის წაღმა, თუ უკუღმა შეტრიალებაც...

ქართველი ერი თლად სურვილათ არი გადაქცეული, მისი სურვილებს საზღვარი არ ედება. მარა სურვილებს მხოლოთ, რომლის გახორციელებაზე, ან სრულიათ არ სცთილობს, ან ძალა არა აქვს, რო მისი ზღვა განზრახვებს ნაყოფი მოატანიოს, მარა მთავარ სურვილათ კეთილი, გონიერი და მორწმუნე დედების გამრავლება მოეველინებოდეს და მისი სისრულეში მოყვანას შეეცთებოდეს, შესძლებს კიდეც და არც არას წააგებს, მაშინ თავისით გაჩდებიან თამარ მეფეები, დავით აღმაშენებლები, გორგასლანები, საკაძეები, ცოტნეები და სამშოლო თავს დაუკრავს იმ ბაიყუშ ღამეს, რომელიც კუპრივით გადაგვწოლია და მნათობებით მოქარგულ ცას გვიჩდილავს.

ერთი უცხო სიტყვა შემოგვეპარა: „ემანციპაცია'' ან „ემანსიპაცია". ეს, ქალებმა და მათ დამცველმა კაცებმაც დაიხვიეს თითზე... რა თქმა უნდა, ამაში ჩვენ არაჩვეულებრივს და თვით არა ბუნებრივსაც ვერას ვხედავთ... მართალია, ბუნება მრავალში ასხვავებს დედაკაცს მამაკაცისგან. მარა ეს იმას როდი ნიშნავს, რო დედაკაცი მამაკაცის სწორი ამხანაგი არ უნდა იყოს! არც ერთი გონიერი მამაკაცი, რომელშიაც ადამიანობაც სუფევს, არ ეტყვის ადამიანსვე —დედაკაცს, ჩემი სწორი არა ხარო. პირიქით. გძნობს კიდეც, რო დედაკაცი, ვინც მართლა დედაკაცია. მაზე მაღლა დგას... ამ აზრისთვისაც მიუქცევია მქადაგებელს ყურათდება და კიბის მესამე საფეხურიდან (შემდეგი ქადაგება), აი, რას მოგვითხრობს: „წმ. ნინომ ქართველობა გააქრისტიანა და ამით ყველას დაანახვა, რო საზოგადო საქმეში ქალი თანასწორია მამაკაცისა, სიკეთის გარიგებაში ქალი ტოლია მამაკაცისა. წმ. ნინოს გავლენას უნდა ვუმადლოდეთ, რო საქართველოში ქალმა იმ თავითვე იდეალური პატივისცემა შეიმრსა,რო ჩვენში ქალებს ხან და ხან სამეფო ტახტი სჭერიათ და ქართველმა ერმა ძველ დროშივე გამოთქვა თვისი. საუკეთესო შვილის პირით სავსებით მთელი და ნათელი შეხედულობა ქალზე: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია" (გვ. 66) მარა 69 გვერდზე უფრო მწვავეთ გამოთქვამს მქადაგებელი თავის შეხედულობას ამავე საგანზე: — „ცნობილია და ჭეშმარიტათ მიღებული, რო, სადაც მწუხარებისგან დედას თვალზე ცრემლი არ უშრება, სადაც ცხოვრების პირობები ისეთია, რო ქალი ჩაყენებულია ჭირსა და მწუხარებაში, სადაც ქალი სულით დაჩაგრული და გათელილია, იქ არც მამაკაცისთვისაა შესაძლო ბედნიერათ ცხოვრება, ის არც საზოგადოება დგას სიკეთის გზაზე, არც მთელი ერია უზრუნველყოფილი ზნეობრივი დავადებისა ჯ განადგურებისგან. ამა, თუ იმ ერის კეთილდღეობას, ზნეობა-გონებრივ გავითარების ხარისხს და სამერმისო ბედს სწავლულები ტყობილობენ, იმას მიხედვით, თუ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იქ ქალი. სადაც ქალს ადამიანურათ ეპყრობიან', პატივს ცემენ და ღირსეულ ალაგს უთმობენ ცხოვრებაში, იქ, მეცნიერთა დასკვნით, ერიც შეგნებულ გავითარებულია, არსებობის მკვიდრსა და მთელს ნიადაგზე დგას. წინააღმდგ ამისა, თუ ქალი საზოგადოებაში ითვლება მხოლოთ მამაკაცთა გასართობ არსებათ და თავის-თავათ ქალის პიროვნება არავითარ ღირებულობით არ არი ცნობილი, ეს აღებულ საზოგადოების ველურობის და პირუტყვულ მდგომარეობაში ყოფნის უტყუარ საბუთათ მიაჩნიათ. ამიტომ, მეცნიერები ქალის პიროვნების ამაღლებას, ქალის აღჭურვას ადამიანის უფლებებით, და ქალის გამოხსნას ზნეობრივი დამცირებისგან თვლიან თვით ამ ერის ამაღლებათ, ერის გაადამიანებათ და მუდამ ბედნიერებისკენ წინსვლის გზაზე დაყენებათ," (გვ. 69). დიახ! მარა ყველა ქალს, როდი უნდა გაუხარდეს ასეთი დაკვა, ასეთი ამაღლება ამ სქესის პიროვნებისა, ვინღიდან ის ყველას არ ეკუთვნის. ამ გადმოძახილს ღვდელმთავრისას საეკლესიო კათედრიდან დასტაცებენ ხელს ისინი, ვინც ღირსია მისი, დანარჩენები არ ეზიარებიან ამ ხმას, რასაც ჩვენ დავინახავთ შემდეგი მოძღვრებიდან: — „დღეინდელი ქართველ ქალს მაგდენათ აღარ ეხალისება ქრისტიანობა, ჩვენი დროის ქარ-

თველ ქალს სასახელოთ აღარ მიაჩნია წმ. ნინოს გზით სიარული. იგი სულ სხვა გზას აღგია სულით და გულით. ამიტომ წინანდებურათ აღარც გუზგუზობს ჩვენი საკუთარი არსებობის კერა, აგერაგერ ჩაიწვას ის ძველი დედების ნაკურთხი ხელით დადებული ძელის უკანასკნელი ნაშთი და მთელს ოჯახში გამეფდეს უსიამოვნო სიცივე.“ (გვ. 74)

ამ აზრს და შეხედულობას დამატება არაფრისა სჭირია. შეგგიძლია ეხლოთ ვთქვათ, რო, რასაც ღვდელმთავარი, საზოგადოთ, გვეუბნება ძველ დედებზე, იმას ჩვენი სახელმოხვეჭილი მწერლები და მგოსნები ცალ—ცალკე აგვიწერენ და გვიხატავენ მომხიბლავ სურათებს... მარა რა?—მოვისმინეთ, ვილხინეთ სანაქებოთ კაზმული სიტყვებით, ქება—დიდება შევძღვენით გმირ დედებს და მეტი არაფერი... და არაფერი იქ, სადაც საქმეა საჭირო. საქმე და არა ოცნება! ქართველი საზოგადოება, რო შექმნიდეს ისეთს იდეალურ სადიდო შკოლებს, გასხვავებულს თითქმის ყველა დღეს არსებული „კაზიონური“ შკოლებისგან, შექმნიდეს შეგირდთა მისაღები გასხვავებულ პირობებსაც, მემკვიდრეობითი მნიშვნელობის გათვალისწინებით (მემკვიდრეობითი მნიშვნელობას ახლაც რომ აქცევდენ ყურათღებას ბავშების მიღების დროს, ისიც დიდათ გაუმჯობესებდა ჩვენს დედებს) და აღგვიზდიდენ მომავლელ დედებს გონივრებს, შრომის მოყვარეებს, ტანმთელებს ქრისტიანული ზნეობით შემკულებს, ოცნებას დიდათ აჯობებდა ეს... ჯერ ჯიშებს პირუტყვებისას ეძებენ, ნაყოფიერი ხეებისას, საბოსტნე მცენარეებისას და სხ.. იმათ უვლიან, თავს დასტრიალებენ, აუმჯობესებენ, თორე ადამიანის, ამ ბუნების გვირგვინის, გაუმჯობესებაზე, როგორ არ უნდა იზრუნოს კაცმა?! (მხოლოთ ბრმას და ზნეობით მახინჯს შეუძლია თქვას, რომ ახლა წინ მივდივართ. ჩვენი შკოლები, საზოგადოება, ოჯახები და ცხოვრების პირობები პირ და პირ რეგრესის გამომხატველნი არიან. გაიხედეთ და (ნახავთ.) მარა, რას ვამბობთ? განა დროა დღეს ქალის დარბაისლათ აღზდის შესახებ ლაპარაკისა?! კიდევ კაი, რაც ვთქვით იმაზედაც, ყუმბარები არ დაგვაყარეს! დღეს პატივსა და დიდებაში ცელქი, ტიტინა, უთავ— ბოლო, მეპრაშტი—პრუშტე და, თუ უკაცრავათ არ ვიქნები, თვით ქარაფშუტა ქალებია და კიდეც ასეთებს იძლევა დღეინდელი ცხოვრება... აქიდან გონებით ბეცი უნდა იყოს კაცი, არ დაინახოს ჩვენი მომავალი გაჭაღუებისა!...

(შემდეგი იქნება).

კირიჟე ფუთისოფლელი.

ჭიათურის შარშანდელი და დღეინდელი მდგომარეობა.

წასული წლის 20 ივლისს აქით, ესე იგი, ომის დაწყებიდან ჭიათურის მდგომარეობა ბევრათ შეიცვალა. ომის დაწყება და შავიქვის მრეწველობის შეჩერება ერთ დროს მოხდა. ომის დაწყებამდი კი ჭიათურას, როგორც სამრეწველო ადგილს, ძალიან დიდი სიფხიზლე და სიცოცხლე ემჩნეოდა. ძალიან მკვირცხლი და ყოველიფერში მარდი, ცოცხალი, ბეჯითი და მხნე აქაური საზოგადოება. შავი ქვის მრეწველობას თან მოსდევს დიდი ვაჭრული და ანგარიშიანი საქმიანობა, ფულების შოვა და გახარჯვა, მომუშავე ხალხის ფიზიკური შრომა და მოძრაობა, „პრიკაშჩიკების„ თავდგმურების, მწონელების და მათი მეთვალყურეთა ხმაურობა და ფაცა-ფუცი, მეურმეების და ჩალვადრების ხმაურობა, ერიამული და ჰაი—ჰუი ხო მკვდარსაც-კი გააცოცხლებს და ზარმაც—მცონარე უბრალოთ მუქთათ ჭამა-ყლაპია ბინძურსაც-კი გამოაფხიზლებს, გულში ჩაახედვებს და სირცხვილს აგძნობიებს. აი, ასეთი გახლავს ჩვენი ჭიათურა, რომელსაც შევხარით და შევ-

ტრფით დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი და აწიც დიდი იმედები გვაქვს და დედასავით შევყურებთ ამ საქართველოს პატარას, მარა ბუნებით მდიდარს და დაჯილდოვებულ—შემკულ კუთხეს, რომელიც თვისი აურაცხელი მდიდარი მადნებით რაოდენიმე ათასს „პროლეტარებს“ და უმიწა-წყლო ღარიბ-ღატაკ მუშებს უბრუნებს სულს, თუ სხვებ არა, დღიური სამუშევრებით მაინც...

დღეს რას ვხედავთ?! დდეინდელმა ომმა სრულიათ შეწყვიტა შავი ქვის წარმოება, ეს საუკეთესო დედა ძარღვი ხალხის არსებობისა, შეწყდა სიცოცხლე... მრეწველნი აქით-იქით გაიბნენ თავიანთი მოსამსახურეებით. კანტორები, სავაჭრო სახლები და სასწორ-პლატფორმები დაცალიერდა და დაიკეტა, აღარ გაისმის მუშა-მეურმეთა და ჩალვადრების ოფლში ჩალესილი ღიღინ-სიმღერა და ბაიათები... სრული სიჩუმეა, ჩაკვდა და ჩაქრა სიცოცხლე...

მარა ნუ დავკარგავთ იმედს, სულით ნუ დავეცემით, მალე მოვა დრო, მრეწველობა ისევ აღდგება და ჭიათურაც ისევე გამოცოცხლდება, გამოფხიზლდება და თავისებურათ მრეწველობასაც ააყვავებს.

ჭიათურა.

ბესარიონ ჭიათურელი.

სპირიდონ მცირიშვილი.

(ბიკენტი ლომთათიძე.)

(მოგონება).

„...ბედმა თუ უბედობამ“... ასე იწყებოდა ის „დღიური“ რომელიც პირველათ გულს მომხვდა, ძვალ-რბილში გამიჯდა, და თავდავიწყებით გამიტაცა... ჩემში უსაზღვრო სიყვარული დაიბადა ისედაც ძვირფას, ტანჯულ-წამებულ „დღიურის“ ავტორისადმი... და იმ დღიდან გულ მოდგინეთ შევუდექი სპ. მცირიშვილის ნაწერების ძებნას ძველ ჟურნალ-გაზეთებში, რო წაუკითხავი არ გამომჩენოდა ისინი. ყოველ ახალ ნუმერს გაფაციცებით ვათვალიერებდი, ვეძებდი ძვირფას ადამიანის, სპ. მცირიშვილის ხელ მოწერილს და, თუ ასეთი აღმოჩდებოდა, რაც უნდა სასწრაფო საქმე მქონებოდა, მივატოვებდი და შევუდგებოდი სიხარულით გატაცებული მის კითხვას.

ისე გაგიჟებით შემიყვარდა მცირიშვილის ნაწერები და ნამეტურ ცოცხლათ დამარხულთა ცხოვრებიდან, რომ ამგვარებს რამდენიმე ჯერ გადავიკითხავდი...

იმ დროს, როდესაც ნესტიან ცხრაკლიტულიდან სინათლეზე გამოვიდა, გამზეურდა „დღიური,“ ყოველივე მასში დახატული, ყოველ დღე თვალწინ მედგა ცხადათ—სინამდვილეში და ამ გარემოებამ ჩემში მით უფრო გააძლიერა „დღიურისადმი“ სურვილი—წადილი მისი შესწავლისა.

მართლაც, სპ. მცირიშვილის „დღიური“ შეუდარებელ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს ცოცხალთა სასაფლავოს ცხოვრებიდან... მცირიშვილის სუკინი ნამდვილ პირმშო შვილია წყვდიადისა...

მე არ შევუდგები, არც ძალი მიძს, მისი დაფასება. ეს კრიტიკისთვის მიგვინდვია და მისი საქმეა.

მხოლოთ კიდევ ვიტყვი, რომ ის ნაწარმოები ნამდვილი სარკეა ცხრა კლიტულის ცხოვრებისა...

სურვილით, თუ იძულებით თქვენმა მონა მორჩილმაც ამოყო თავი ცოცხლათ დამარხულთა სასაფლავოში მარა არა ფიზიკურათ...

დღიდან იქ შესვლისა შეუდგა ტანჯულ-წამებულთა, ცხოვრების გერთა ცოცხლათ დამარხულთა მძიმე ტვირთის ოდნავათ მაინც შესუბუქებას...

ვისაც უგემია ცხრა კლიტულში ყოფნა,

მათთვის ცნობილია, თუ, როგორ სასტიკათ აკრძალულია მათთვის სულიერი საზდო და განსაკუთრებით „ბულბული“ ცხრა კლიტულში მყოფთა სახელ-წოდებით.

ცოცხლათ დამარხულთა ტანჯვა-წვალების შესუბუქების მსურველმა გამოიჩინა თვისი საქმიანობა მალამოს დადებით, სულიერ საზრდოს „ბულბულის“ მიწოდებით, რომელიც დღიდან იქ თავის ამოყოფისა, სისტემატიურათ აწვდიდა მრავალს და მათ რიცხვში იყო სპ. მცირიშვილის „დღიურის“ გამამზეურებელი „ბულბულიც“...

ვერ ძალმიძს ავწერო ის სიხარული და აფრთოვანება, რომელსაც განიცდიდენ „დღიურის“ მოსმენით ცხრა კლიტულშივე დასურათხატებული ტანჯულ წამებულ სპ. მცირიშვილის მიერ, ცხრა კლიტულში მყოფთა ცხოვრებიდან და, შემდეგ, სინათლეზე -გამოსული, გამზეურებული...

ყოველ დილის მოახლოვება მათთვის უსაზღვრო სიხარულის მომგვრელი იყო, ვინაიდან იცოდენ, რო ყოველ დილობით „შეიფრენდა“ მათვის სასიხარულო გამამხნევებელი „ბულბული“, ამიტომ ალიონის მოახლოვების დროს ყველა „ნომრებიდან“ მოდარაჯებულნი იყვენ „ბულბულის“ მოლოდინში დ იმ იმედითაც, რომ, აი, ჩვენსკენ „შემოიფრენს და აი, ჩვენსკენო“...

„ბულბულის“ უდროოთ „შეფრენით„ ისედაც მშივრებს მრავალჯერ სადილი დაუთმიათ და, მის მაგიერათ, დაწაფებიან „დღიურს“ მათვის გამამხნევებელ მცირიშვილის „დღიურს“ და შედგომიან სულიერ შიმშილის მოკვლას, გაძღომას...

როგორც მოგეხსენებათ, ცხრაკლიტულში ყოფილ დგმურებს, „ოხრობეთში“ ასე უწოდებენ ცოცხლათ დამარხულნი თავიანთ სადგომ სახლებს) ყველა „ბულბული“ მათთვის ძვირფასია და სანატრელი, მარა „ბულბული“, ისიც სპ. მცირიშვილის „დღიურით“, ეს ხომ ულბარი მკურნავი საშვალებათ მიაჩდათ და რამდენიმე ხნით მაინც ავიწყდებოდათ სულიერი და ფიზიკური ტანჯვა... ხანდის ხან-კი უსაზღვროთ აღელვებდენ...

ცხოვრების გერებმა კარგათ იცოდენ სპ. მცირიშვილი, მარა გამოსაცდელათ სხვა პირი დაუსახელე და ზოგნიც რწმუნდებოდენ ამაში. ამან გამოიწვია მათშორის ნიძლავი და სხვა.

ორი დღის შემდეგ, დანიძლავებულთა ერთ მოპიდაპირეთაგანს, „კანტორიდან“ გამობრუნებულს დავუკმაყოფილე ცნობის მოყვარობა, სპ. მცირიშვილის შესახებ. თუმცა წაგებული, მარა სიხარულით აღტაცებული გაექანა თავის „ნომრისკენ“ ამხანაგების სახარებლათ და ნიძლავის გადასახდელათ.

სამი წუთის შემდეგ, მოისმა მის „ნომრიდან“ მჭექარე ხმით „ვაშას“ ძახილი, რამაც გამოიწვია წესიერების დამცველთა შორის, საყვირით ძახილი და „Отойди отъ окна“-ს ყვირილი...

გარდა „დღიურისა“, არა ერთი და ორი ნაწერები მოუსმენიათ ცხრაკლიტულში მყოფთ, ცხრა კლიტულში, ყოველივე ადამიანურ მოპყრობას მოკლებულ სპ. მცირიშვილისგან...

დროთა განმავლობაში თქვენ უმორჩილესსაც აღირსეს მოკლე ხნით „ოხრობეთის“ გემო ფიზიკურათაც და, მის შემდეგ, გადარიცხეს „მოღალატეთა“ Христо продавецъ“-ის რიცხვში... ...სპ. მცირიშვილსაც გამოეცვალა ბინა, შედარებით, ძველი ბინაზე უკეთესი... თავიდან რაღაც ინსტიკტურათ ვგძნობდი, რომ ადრე ვერ მოვესწრებოდი სპ. მცირიშვილის უკვდავ შრომის ერთად გამოცემას. ამიტომ „ოხრობეთიდან“ ისევ უკან „გამოფრენილ ბულბულებს“ ვაგროვებდი, რათგან საშვალებას მოკლებულს არ შემეძლო ახალის შეძენა. მარა ესეც რომ არ ყოფილიყო, არც იშოვებოდა „დღიურიანი ბულბული“ ჩემი მოცლის დროს.

ათს ჭირში გამორებული „ბულბული“

ისიც რაოდენიმე ნაწილათ დაყოფილი—დაჭრილი, ფრიად საძნელო შეიქნა მისი გამოყენება.

ამიტო გავიჩინე საერთო რვეული და დავიწყე „ღღიურების“ გადაწერა. რამდენიმე თავი გადავწერე, ზოგან-კი ვერ გავარჩიე, „ოხრობეთის“ სასტიკის წყალობით, და სხვა დამრჩა გადაუწერელი...

„ღღიურის“ გამზეურების შემდეგ, რამ დენიმე თვისა, წავიკითხე ერთ-ერთ გამოცემაში სპ. მცირიშვილის წერილი, რომელშიც-თხოვდა ყველას, დუ ვისმე მოეპოვებოდა მისი ნაწერები მიეწოდებიათ მისთვის, ნაჩვენები მისამართით.

მე გავაპირე იმის გაგზავნა, რაც მომეპოვებოდა. მარა უხერხულათ მივიჩნიე, არეულ-დარეულის გაგზავნა, უფრო იმ იმედით, რო დარწმუნებული ვიყავი, ვინმე მიაწოდებდა მას თავის ნაშრომს.

მას შემდეგ გაიარა რამდენიმე წელმა... --ჩემს გაცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როცა წავიკითხე (გაზ. „სიტყვა“ 1913 წ. დეკემ.) სპ. მცირიშვილის განცხადება, რომელიც პირველი განცხადების განმეორება იყო. ზემოხსენებულმა განცხადებამ ძლიერ შემაწუხა.. ნუ თუ არ გამოჩდა ისეთი მოსაქმე ვინმე, რო ნაწამები სპ. მცირიშვილისთვის—გერისათვის მიეწოდებიათ თავის ნაშრომი, ისიც ჯოჯოხეთის კუნჭულში დამზადებული, ათას ვაი უბედურება გამორებული?... იმ სპ. მცირიშვილისთვის, რომელიც ვერ გატეხა ვერავითარმა ულმობელმა სისასტიკემ და ცოცხლათ დამარხულთა სასაფლავოშიაც მედგრათ ებძვის მტარვალს და გაბედულათ იცავს ჩაგრულთ.“ ამ კითხვებით ვედავებოდი ჩემს თავს.

ხალხის ერთგულ ჭირისუფალს, სპ. მცირიშვილს შევატყობიე, გავუგზავნე სია იმ მისი ნაწერებიდან, რომელიც მე მომეპუოებოდა.

მივიღე, ჩემთვის ძვირფასი უკვდავი ადამიანისგან ღია წერილი 6 იანვარს, 1914 წ. შემდეგი შინაარსის: „პატ.პ.....!მივიღე თქვენი წერილი და დიდათ გმადლობთ თავაზიანობისთვის. მომაწოდეთ, თუ-კი შეგიძლიათ ყველა ნუმრები, რომლების შესახებ იწერებით-მაქვსო. აკლდეს, რაც აკლია.არარაობას ჯობია. თუ მოიწერებით, ჭკანვე დაგიბრუნებთ. ამას გარდა, ერთი დიდი სათხოვარი: არავისგან არავითარი ამბავი არ მომდის „სიკვდილით დასასჯელის ღღიურის“ შესახებ, შეიძლება. ვისმე თქვენ ნაცნობთაგანს ქონდეს. კითხეთ მირიან ჭანიშვილს. იქნებ, იმას აქვს შენახული. თუ საჭირო იქნება, გადასაწერ ფულს გამოვგზავნი, ეცადეთ, თუ რამე შეიძლოთ. მეტის მეტათ მჭირდება და ამ სამარიდან ვერაფერი გავაწყვე. ხოლო სამშობლოში ისეთა არავის მყავს, რო დახმარება გამაწიოს 1). თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემ წერილზე „სიტყვაში“ მხოლოთ სამმა გამცა პასუხი—თქვენ და კიდევ ორმა. გისურვებთ ტანმთელობას დაგილოცავ ახალ წელს. გამოგზავნით „ზაკაზნი ბანდეროლით“. იაფი დაჯდება. მისამართი: ასტრახანი: Богадѣльня Ефименковыхъ. პატივისცემით ბიკენტი ლომთათიძე. 30 დეკემბერი, 1913 წ.“

მოხსენებულ ღია წერილში, ზემოთა მოწერილის გარდა, ეწერა სხვა ხელით შემდეგი: „როგორ ხარ, ძამია? მიშამ მოკითხვა შემოგითვალა. მიშა.“

მაშინვე, რაც მომეპოვებოდა, გადუწერელი და გადაწერილიც, ამოვიღე საერთო რვეულიდან და გავუგზავნე ჩვენგან მივიწყებულ ადამიანს და ისიც განვმარტე, თუ რათ ვინახავდი ისეთ დაჭრილ მასალას...

ჩემი წერილის და ამანათის მიღების შესახებ, მაცნობა ბიკენტიმ კიდევ ღია წერილით, რომელიც მივიღე 24 იანვარს 1914 წ. აი ისიც. „ძმაო პ.....!

თქვენი ამანათი მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნი. რათ არ მწერთ, დაგიბრუნოთ, თუ არა უკან. ისე ბინაშურათ არა დაბეჭდილი-მხოლოთ ჩვენშია შესაძლებელი ასე აბუჩათ ბგდება მწერლის“. მარა რას იზამ.

---

1) ხაზგასმული ჩემია. პ. ო.

2) ხაზ გასმული ჩემია. პ. ო.

თუ სიკვდ. დასჯ. დღიურს“ მიშოვით, დიდათ დამავალებთ. ცოტა ავათ ვარ, ვწევარ და მაპატიეთ ეს მოკლე წერილი. მიშა—არსენიძე. თუ ალექსანდრე მითაიშვილს იცნობთ-მოკითხვა. გამაგებინე, როგორ ცხოვრობს. ამხანაგური სალამით ბიკენტი ლომთათიძე. Богадельня Ефименковыхъ. 16—1—14 წელს“ თანახმათ ბიკენტის პირველი წერილისა შ.მ.ჭანიშვილი ვნახე, გადავეცი აუცილებელი საჭიროება „სიკვდ. დასასჯ. დღიურის“ შესახებ. მარა ბ. ჭანიშვილსაც არ აღმოაჩდა და ვერც შოვნას შემპირდა. ბევრს მივმართე ხვეწნა-მუდარით, ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკაში და სხვაგანაც ვეძებე, მარა, სამწუხაროთ, ვერსად ვიშოვე. მხოლოთ ჩემს ძველ ჟურნალ-გაზეთებში აღმოვაჩინე ნაწილი „სიკვდილით დასჯ. დღიურისა“, რაც მაშინვე გავუგზავნე მწერალს. თან ვატყობიებდი, რო მისი ნაწერები არ იშოვებოდა კერძოთ, თუ არ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავში...

16 ივნისს, 1914 წ. მივიღე ძვირფასი ბიკენტისგან ლია ბარათი ასტრახანის ნავთსადგურის ნახატით. აი, ეს წერილი შეიქნა სამწუხაროთ „**უკანასკნელი წერილი**“ საყვარელ ადამიანისა. იმასაც აქ ვთავსებ, ვინაიდან ისეთ წამებულ ადამიანის, ნიჭიერ ბელეტრისტის, როგორც ბიკენტი ლომთათიძე—სპ. მცირიშვილი-გერი იყო ყოველივე მისი ნაწერი, სიტყვა, ძვირფასია ყველასთვის, და ეს—კი უფრო მომავლისთვის... მესამე წერილიც: „10 ივნისი, 1914 წ. ძმაო ბ... თქვენი წერილი და გაზეთის ერთი ნუმერი მივიღე. დიდი უკაცრავათ ვარ, მარა ყველა, რაც წინათ გამომიგზანეთ, დაუპატიჯებელმა სტუმრებმა წაიღეს და დამიბრუნებენ, თუ არა, არ ვიცი. ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენ ხანს არაფერი მოგწერე, ავათაც ვიყავი და ვარ, აგრეთვე ცუდ გუნებაზეც ვიყავი. გისურვებთ ტანმთელობას. თქვენი ბიკენტი ლომთათიძე“.

როგორც მწერლის გარდაცვალების შემდეგ გავიგე, აუსრულებიათ მისი სურვილი და მიუწოდებიათ „სიკვდ. და სასჯ. დღიური“, მარა, მძიმე ავათმყოფობისა გამო, „ვერ შეიძლებდა გადაკეთებასო“.

მაშინ, როდესაც ცოცხალი იყო, ვერ მიგვიქცევია შესაფერი ყურადღება, ვერ გამოგვიჩენია სიფხიზლე და იმდენი საქმიანობა, რომ არაჩვ თუ მისი ნაწერების გამოცემა-ვერ მიგვიწოდებია სულთ მოშრძავი საყვარელ მწერლისთვის თავის ნაწარმოები. სამწუხაროთ, ასეთი უყურადღებობით არა ერთი საზოგადო მოღვაწე გამოგვსალმებია და ის წამებული, მგონი, უკანასკნელიც არ იქნება... საზოგადო მოღვაწის, საუკეთესო ბელეტრისტის და ტვირთ მძიმეთა ნამდვილ ჭირისუფალის გარდაცვალებამ, რაც გამოიწვია, ეს ყველასთვის ცხადია, და ათას წილათ უმჯობესი იქნებოდა მისი მწარე-წამებულ სიცოცხლეში გამოეჩინათ იმდენი სიფხიზლე—ვიდრე საუკუნოთ მიძინების შემდეგ...

როგორც ხალხის ერთგული ჭირისუფალის წერილიდანაც დაინახავდით, მას არ ყოლია ისეთი რო დახმარება გაეწია მისთვის... თვით-კი ხალხის კეთილ დღეობისთვის, ბედნიერობისთვის შეწირა თავი და ფიზიკურათ ძლეული სამარეშიაც იბძოდა ხალხისთვის, ტვირ-მძიმეთათვის... ჩემს სიყვარულს საზღვარი არა ქონდა, როცა გავიგე, რომ უმაღლესნა მთავრობამ ბიკენტის (ჭოლას) ნება დართო სამშობლოში ცხოვრებისა და ამ იმედით დღე დღეზე მოველოდებოდი მის მადლიან, მირონცხებულ შუბლის ნახვას... ფიქშიაც არ მომივიდოდა, როგორ ვიფიქრებდი, ისედაც ჩვენთვის გადაკარგულს, შორს მყოფს, მძიმე ავათმყოფს, ცხრა მთას იქით ამოაყოფიებდენ თავს?..

უკვდავო ბიკენტი! ვერ შესძლეს ვერაფრით მონადირება-დაძლევა სპეტაკი სულის არამკითხე გამგეებმა ამა ქვეყნისათა და შენკი წამებით ვალ მოხდილი გაეშურე შენი ამხ. არჩილ და სვეერიანესთან...

შენ ტვირთ მძიმეთა დამცველო, ჭირისუფალო, შენ, შენ უსამართლობისთვის გა-

უტეხელი, მებძოლი, შენ ცოცხლათ და-
მარხულთა სამარის მესაიდუმლეო ბიკენტი!
ვერ დაგივიწყებს ის, ვისთვისაც გაჩენილ
იყავ, გიმეშავნია და ვისთვისაც წაგებია და-
ლიე ტანჯული სული... შენი მირონცხებუ-
ლი, მადლიანი სახე ყოველთვის თვალწინ,
სარკეთ ექნებათ გამოხატული...

ს. ოხრობეთელი.

ახალციხე.

ახალციხეს მეგისტოფელივით თავპირი
ჩამოსტირის. დღე ღამეს ცვლის, ღამე—დღეს,
მიქრიან დრონი. ირგვლივ დუმილი, გულ-
ჩათხრილობა, ვაება, ოხვრა, ენაკანჭალობა,
ლოთობა და ბანქო-ფრაკობა. არარობა, მეუ-
ფე წყვდიადისა, თავს დაკისკისებს აქაურ არე-
მარეს...ყველას გულში რაღაც უიმედობა ღვი-
ვის, შენ-ჩემობა გაკეკეულა ბურდ ფულს
ეკიდება. ცხოვრების სიცარე და მოუსავ-
ლობა დღევინდელ სისხლის წვიმების სივ-
რცე-სიგანეს ცის სარტყლათ გადაკვრია. ახ-
ალციხე მაღლობ ადგილზეა გაშენე-
ული. ჰაერი არ დაიწუნება, თუმცა
სინოტივეც არა. აქაური მოსიხლკარენი მო-
მეტებულათ ორ ეროვნებას წარმოადგენენ:
არიან ქართველები და სომხები. სარწმუნო-
ებით ახალციხის მკვიდრნი აბრელებულნი
არიან: მართლმადიდებელი, მამადიანი და
კათოლიკე ქართველები. აგრეთვე გრეგო-
რიანები და კათოლიკე სომხები საინ-
ტერესოა ვიცოდეთ, ქართველი კათოლიკები
სომხურათ, რათ ლოცულობენ? ორში ერთი-
კი უნდა იყვეს: ან მათ პატრებს ხურჯინიც
ფეხებზე კიდიათ, ან დოიკლმი მათივის
ქოშებიც ფეხსაცმელია!!! საერთოთ აქ ურთ
ერთშორის სოლიდარობას აციებს! არის ექვს
კლასიანი პროგიმნაზია, სამოქალაქო სასწავლე-
ბელი, სამრევლო—სამინისტრო და სხვა კერძო
სასწავლებლები: ადგილობრივ საზოგადოებას
მთავრობის წინაშე აღძრული აქვს შუამ-
გომლობა ქალთა გიმნაზიის გახსნის შესა
ხებაც. სხვათა შორის, აქ ქ-ნ ს. ე. მიტკევი-
ჩისას გახსნილი აქვს საბავშო ბაღი. ამ ბაღის
საქმის ვითარებაზე, რომ კაცმა თვალები
ახვიოს მაინც საკითხავია ქ-ნი მიტკევიჩისა თა-
ვის სასწავლებელს ხან ერთს მასწავ-
ლებელს რათ ახვევს კისერზე და ხან, რო-
ცა მეორე მასწავლებელსაც დაიქირავებს ხა-
ლმე საჭიროებისამებ რაღათ ითხოვს ორი
ან სამი თვის შემდეგ? მასწავლებლის ჯამა-
გირის დაკლება უნდა მიუმატოთ ასეთ ტაკ
ტიკას, რომელიც ქ-ნ მიტკევიჩისას სჩვევია???
ძველ ქალაქში არსებობს აგრეთვე ორ კლა-
სიანი ქართული საქალებო სასწავლებელი,
არი ფერმკრთალი ქართული საქველმოქმედო
საზოგადოება, ქ. შ. წერაკითხვის გამავრცე-
ლებელ საზოგადოების განყოფილება, კოოპე-
რატული დუქანი, საქალაქო სამკითხველო,
კლუბი და ორი პროფეკტორიც.

ახალციხეს სიბინძურე მურავს. ქვაფენი-
ლები და მოუკირწლავი ქუჩები ღორებისგან
დაჩიჩქნილს გვანან. თუმცა ახალციხე ბათუ-
მი არარი, მარა განათებას აქაც ფერი წას-
ვლია. იქნება, ახალციხის თავმაც იცის!!!
მახლას...

სტ უმარი.

სალსის მტერნი, თუ მოყვარენი.*)

(დასასრული.)

მე იმ ღამესვე გადავალეთრე კონტრაკტი და
მოვაწერეთ ხელი ხამმა ენერთა ენმა: მე, იო-
ბა შავგულიძემ და ივლიანე თედორაძემ. დი-
ლით, მეორე დღეს, 11 ივნისს, გადავგზავნე კონ-
ტრაკტი ბ. შუბლაძეს ხელ მოსაწერათ ივაიე

*) იხ. „განთიადი". № 17.

ოყროშიძის ხელით, რომელმაც დამიბრუნა იმავე პირის ხელით ხელ მოუწერელი კონტრაკტი და შემომითვალა შემდეგი სიტყვები: „მე სემინარიის სტუდენტი ვარ და ამ კონტრაკტზე ხელ-მომწერლების მუსიკაზე ვერ ვითამაშებ. მე მსურს ჩემი ეკლესიის შეკეთება თავდგირიძეს მივცე და კიდეც ავასრულებო.“ ბევრი სხვა უადგილო სიტყვებითაც გაგვიმასპინძლდა, რომელსაც აქ ადგილს არ ვაძლევ.

აი, სწორეთ მ. შუბლაძის მხრით ასეთმა თავხედმა და უადგილო სიტყვებმა და შისმა (არ ვიცი, რისთვის), დაჯინებამ და ორი ზომით მეტ ფასზე ეკლესიის შეკეთების საქმის თავდგირიძისთვის მიცემამ, ისე გამამწარა, როგორც მე, აგრეთვე ჩემი ამ საქმეში მომხრენი, იობა შავგულიძე და თედორაძე, რომ იძულებული გავხდით მიგვემართა თხოვნით ადგილობითი ეპისკოპოზისთვის და ბლაღოჩინისთვისაც 12 და 13 ივნისს 1913 წ.. მივართვით ორივე ზემოხსენებულ მართებლობის პირთ თხოვნები, სადაც უფრო მკაფიოთ (ვიდრე აქ, ზემოთ მოვიტანე) გავმარტეთ ჩვენი ეკლესიის შეკეთების საქმის მდგომარეობა ⁄ უმართებულოთ მოქცევა ამ საქმეში მ. შუბლაძისა და ბ. ჩარკვიანისმიერ. თხოვნებთან ერთად წარდგენილი იყო: 1) და 2) ანგარიშის აღრიცხვა (სმეტა) თავდგირიძის 2.660 მან. და 50 კაპ. და ბაზაძის ამავე გაკეთებისთვის 1.400 მან., 3) ბაზაძის წარმოდგენილი ზალოგი 200 მან. და 4) ბაზაძის სახელზე შეკრული კონტრაკტი და ვთხოვდით დაემტკიცებიათ ეს უკანასკნელი, რათგანც კომიტეტის წევრები ხმის უმეტესობით ხელს ვაწერდით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვთხოვდით შეკითხოდენ მრევლს, თუ რა ფასებში და ვისთვის სურდათ ეკლესიის შეკეთების მიცემა.

იმავე თვის 26 რიცხვში, ადგილობრივ ბლაღოჩინმა მოახდინა ხსენებულ ეკლესიის მრევლის ყრილობა და ზემოხსენებული თხოვნების შინაარსიც გამოარკვია ოსტატ ბაზაძის თანადასწრებით, სადაც თხოვნებში მოყვანილი უკანონო მოქცევა ბ. ჩარკვიანისა და მ. შუბლაძისა დამტკიცდა. შემდეგ ამისა, ამავე ბლაღოჩინმა ინება მშვიდობიანობის ჩამოგდება კომიტეტის წევრებს შორის; მომჩივან წევრებს მოგვცა წინადადება ჩვენი ზემოხსენებული თხოვნები, რამდენიმე საბუთებით, უკანვე წაგველო და მამა შუბლაძეს წინადადება მისცა ხელი მოეწერა ბაზაძესთან შეკრულ კონტრაკტზე,

ჩვენ ორივე მხარემ მ. ბლაღოჩინის წინადადება შევასრულეთ, რომელმაც აღვითქვა ეპისკოპოზისგან კონტრაკტის დამტკიცება, ვინაიდან ერთად ერთი კომიტეტის ბ. ჩარკვიანის გაღრეკილობა, რომელიც იმ დღეს არ გამოცხადდა, ოთხის წინააღმდეგ, არაფერს შეადგენდა. ჩვენცა, დარწმუნებულნი, რომ ჩვენი (კონტრაკტი) ხელწერილი ბაზაძესთან დამტკიცდებოდა, დავიშალენით. მარა აქაც ბედმა გვიმტყუნა. ეს ყველაფერი, საიდანც იყო, გაიგო ბატ. ჩარკვიანმა.). დარწმუნებული ვარ, უამბო იმ პირმა, ვინც ჩარკვიანთან ერთად თავდგირიძისთვის და მისი ამხანაგისთვის ზრუნავდენ.). ბ. ჩარკვიმნმა იმ წამსვე მიართვა თხოვნა ეპისკოპოზს, რომელშიაც, სხვათა შორის, თხოვდა, თუ ბაზაძეზე კონტრაკტი არ დაემტკიცებია, რათგანც ის იაფ ფასებში იღებდა ამ ეკლესიის შეკეთებას და 1.530 მანათათ ბაზაძე მასალასაც ვერ იყიდდა. (ვერ ვიტყვი, რო ბაზაძის ჯიბეს ნაღვლობდა ბ. ჩარკვიანი). ამასთანვე მოწინააღმდეგე პირებმა სცნეს, რო. მარტო ერთად ერთი კომიტეტის წევრის, ბ. ჩარკვიანის უსაფუძვლო საჩივარი ვერას გახდებოდა, წინააღმდეგ ოთხისა. მალე, შემდეგ ამისა, როგორც გადმომცეს, მ. შუბლაძე, ბ. ჩარკვიანი და თავდგირიძე მისულან კომიტეტის წევრთან, ივლიანე თედორაძესთან ჭომაში, სადაც მას სამიკიტნო ქონდა, რომელიც აწერდა ხელს ხსენებულ თხოვნებს და კონტრაკტსაც, უთხოვიათ მისთვის მიეცა ეპისკოპოზისთვის თხოვნა, რო ვითომც მან, თედორაძემ, ჩემის და იობა შავგულიძის ძალა დატანებით მოაწერა ხელი ზემოხსენებულ საჩივრების თხოვნებს და კონტრაკტსაც და ეთხოვა მათი მეუფებისთვის უყურათღებოთ დაეტოვებია მისი

ხელ მოწერილები. თედორაძემ მათი სურვილი აღუსრულა.

ასე, ამ გვარათ, ბ. ბ. ჩარკვიანის და თედორაძის საჩივრების წყალობით, რომელსაც მალულათ ხელ მძღვანელობდა მ. შუბლაძე, გაკეთებული საქმე კიდევ ჩაიფუშა. მათმა მეუფებამ მოსწერა ადგილობითი ბლაღოჩინს მოეთხოვა ჩვენთვის, მე და იობა შავგულიძისთვის, პასუხი ამ ეკლესიის შეკეთების შესახებ.

7 ივლისს 1913 წ. კომიტეტის წევრებმა მე და იობა შავგულიძემ მივართვით ბლაღოჩინს თხოვნა, სადაც აღვწერეთ ჩვენი კომიტეტის შორის უთანხმობა და დასამტკიცებლათ ამისა იმ თხოვნასთანვე წარვუდგინეთ შემდეგი საბუთები: 1 და 2) ზემო დასახელებულ მ. ბლაღოჩინისგან დაბრუნებული ორი თხოვნა, რომელშიაც ნათლად ჩნდა მ. შუბლაძის და ბ. ჩარკვიანის უკანონობა, ამ საქმეში; 3 და 4) ორი ანგარიშის აღრიცხვა (სმეტა) წარმოდგენილი თავდგირიძის და ბაზაძის მიერ, ერთი მეორესთან შესადარებლათ; 5) აგრეთვე წარვადგინეთ ინჯინრის შედგენილი სმეტა, სადაც ნათლად იყო აღნიშნული, რომ ინჯინერი მარტო ამ ეკლესიის შეკეთებისთვის ითხოვდა 1.717 მან. და 47 კაპ., ბ. თავდგირიძე—კი ამის გაკეთებაში გვთხოვდა 2.660 მ., ინჯინერის და თავდგირიძის სმეტებში შენიშვნები იყო მიცემული იმ ადგილებზე, სადაც ეკლესიის შიგნით შეთეთრებისთვის ინჯინერი თხოულობდა 34 მან. და 60 კ., თავდგირიძე-კი 200 მანეთს გვთხოვდა. ამასთანვე ვთხოვდით ბლაღოჩინს, ეშვამდგომლა მათი მეუფების წინაშე, მიუხედავათ უსაფუძვლო საჩივრებისა, დაემტკიცებია უკვეწარდგენილი კონტრაკტი ამ ეკლესიის შეკეთების ოსტატ ბაზაძის სახელზე. 1.530 მან., წინააღმდეგ შემთხვევაში, ვთხოვდით ჩვენ კომიტეტის წევრობიდან დაეთხოვეთ, ჩვენი ერთმანეთში ზემოთ მოხსენებულ შეუთანხმობლობისთვის.

აგვისტოს პირველ რიცხვებში 1913 წ. ხმა გავრცელდა, რო მათმა მეუფებამ ინება ყველა კომიტეტის წევრების დათხოვა და ახალ კომიტეტის ამორჩევა, აგრეთვე ადგილობიოი ღვდლის შუბლაძის მაგივრათ, მათი მეუფება შეგვპირდა ვინმე ქალაქის ღვდლის დანიშვნას ახალ კომიტეტში. რასაკვირველია, ასეთი განკარგულება მ. შუბლაძისთვის მეხის დაკემა იყო, და ამისათვის მ. შუბლაძეც დატრიალდა თავის მრევლში, რომელსაც ეჩვენა ბალახზე უფრო დაბლათ და თხოვდა მრევლს კიდევ აერჩიათ იგი კომიტეტის თავმჯდომარეთ, რათგანც ის ამ საქმეში უდანაშაულოა. ამასთანვე იგივე ავრცელებდა მრევლში ხმებს, რო კომიტეტის დათხოვა მოხდა იმის, მ. შუბლაძის, შესმენით ადგილობითი ღვდელ-მთავართან იმიტო, რო ვითომც მე და იობა შავგულიძეს გვსურდა ეკლესიის ფულების მითვისება და მამა შუბლაძე ამას წინა აღუდგა.

ამ გვარი ცრუ ხმების ზედა-ქვიტირის ეკლესიის მრევლიდან დაჯერება ხდებოდა იმიტო, რომ ადგილობრივ ბლაღოსინს არც ერთი ჩემი და იობა შავგულიძის თხოვნების შინაარსი მრევლისთვის არ გადაუცია, და რისთვის ხდებოდა ყველა ეს, ჩემთვის დღემდი გაუგებარია.

2 ოკტომბერს 1913 წ. სასულიერო წოდების დეპუტატის დაუსწრებლათ ადგილობითი მამასახლისმა მოახდინა ამ ეკლესიის მრევლის ყრილობა და ახალი კომიტეტის ამორჩევა. მრავალ მრევლთაგანს სურდა გაეგო, თუ რისთვის იყვენ დათხოვნილი ყველა კომიტეტის წევრები. მარა ვისთვის უნდა მიემართნათ, არ იცოდენ, რათგანც ამ ყრილობაზე, არც ადგილობითი ბლაღოჩინი დასწრებია, არც სასულიერო წოდებიდან დეპუტატი. ერთმა ამ ეკლესიის მრევლთაგანმა მამასახლისს თხოვა აეხსნა, თუ რისთვის არიან დათხოვნილი ძველი კომიტეტის წევრები. მამასახლისმა მიუგო, თუ მან ამის შესახებ არაფერი იცის, მხოლოთ მან აჩვენა მთხოვნელს ბოქაულის მოწერილობა, სადაც უკანასკნელი მოკლეთ წერდა: „ზედა-ქვიტირის ეკლესიის მრევლი და ახალი კომიტეტი ამო-

არჩიეო“. დარწმუნებული ვარ, რო მთავრობის მხრით ესეთი შეცდომა მ. შუბლაძის მოხერხებით იყო დაშვებული. ერთმა მრევლთაგანმა,— ითბა შავგულიძემ, ამ დღეს არჩევნების შესახებ უკმაყოფილება გამოაცხადა და სახლში მიდიოდა; კარგა მანძილზე დაშორებული იყო ყრილობიდან, არ ვიცი, ვისი ბძანებით, დაედევნა მას მამასახლისის დარაჯი, დააბრუნა და კომიტეტის არჩევის დადგენილობაზე ძალათ ხელი მოაწერინა. ყრილობა გათავდა მით, რო მამასახლისის თაოსნობით აირჩიეს ახალი კომიტეტის წევრები და თავმჯდომარეთ მოხერხებით კიდევ მ. შუბლაძე...

ამის შემდეგ, ხელ ახლათ გაეხსნათ ცა მ. შუბლაძისა და ბ. ჩარკვიანის კანდიტატებს ამა ეკლესიის შეკეთების აღებაში—ოსტატებს თავდგირიძეს და დოლაბერიძეს. ამ უკანასკნელთ დაიწყეს ხელ-ახალი ნადიმობის გამართვა და ახალი კომიტეტების პატიობა. აი, მარტო შეხედულობით, ვითომც და ამ ეკლესიის შეკეთების გაცემისთვის ახალმა კომიტეტმა „ტორღი“ დანიშნა და მოითხოვა მათთან დაახლოებულ პირებიდან დახურულ კონვერტებით ხარჯთ აღრიცხვა (სმეტა)—თუ, ვინ, რა ფასებში აიღებდა ამ ეკლესიის შეკეთებას. ეს ყველაფერი იმისთვის ხდებოდა, რომ ამ კომიტეტს სურდა მათი ამომრჩევლებისთვის თვალები აეხვია, და ეს ხრიკები, შეხედულობით ფორმალური მოქმედება, თუ დაჭირდებოდათ მართებლობის წინაშე გასამართლებელ ხმალათ ეხმარათ და სწორეთაც ასე მოხდა. ასე რომ, ამათ მოქმედებაზე ვერც საჩივარმა გაჭრა. ეკლესიის შეკეთების ხარჯთაღრიცხვის (სმეტის) განხილვის დროს, რომელიც სამიკიტნოში ხდებოდა, კომიტეტის წევრებმა ნახეს რო მსურველები ამ ეკლესიის შეკეთებისთვის თხოულობდენ: 1.500 მ., 1.700 მ., 1.900 მ., ხოლო თავდგირიძე-კი დოლაბერიძითურთ 2.000 მან. თხოულობდა. მ. შუბლაძის დაჯინებით და მოხერხებით ამ ეკლესიის შეკეთება მიეცა უკანასკნელთ 2.000 მანათად. ასე, რომ ინჯინერის ხარჯთაღრიცხვას წაუმატეს ზედ მეტი 300 მანათი...

მიდგომ მოდგომა და სხვა რამეც რომ არ ყოფილიყო, ამ ეკლესიის შეკეთება პატიოსნების გარჯით და კანონის მიხედვით, რომელსაც ჩვენი ეკლესიის შეკეთებაში ადგილი არა ქონია, უნდა დარჩენოდა იმ პირს, რომელიც 1.500 მანათს თხოულობდა, და 500 მანათის ზედ მეტის ეკლესიის ფულის დაფლანგვისთვის დამნაშავე სასჯელის ღირსია და ვიმედოვნებ, რო კანონი მოთხოვს მას ამას.

აი, მამაო სილოვან, ნამდვილი სიმართლე თქენგან ზედა—ქვიტირის ეკლესიის შეკეთების შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რო თქვენ ამ სიმართლეს უწოდებთ ლანძღვა-გინებას. მე მგონია, რო თქვენ ახლა ჩავარდით სინანულში, რათგანც სცანით, თუ წარსული წლის ჭინახულის მოუსვლელობის გამო, მრავალ თქვენ მრევლთაგან საძნელოთ ურჩება ზედმეტი 500 მანათის გადახდა ეკლესიის შეკეთებისთვის, რომელიც თქვენის დაჯინებით და თავმჯდომარობით გადაწყდა. ასე, 1.500 მან. რომ აკეთებდენ ჩვენს ეკლესიას, თქვენ ინებეთ 2.000 მანათად გაცემა, მიუხედავათ კანონისა და, რა მიზეზით მოხდა ესეთი შეცდომა, ეს აწერილია დათხოვნილ კომიტეტის წევრების თხოვნებში ადგილობრივ ეპისკოპოზის და ბლაღოჩინის სახელზე მირთმეული: 12 ივნისს, 13 ივნისს, 7 ივლისს, 4 ოკტომბერს და 18 ნოემბერს 1913 წელში, სადაც არი მიკერებული დასამტკიცებელი საბუთებიც.

განა, ამის შემდეგ, გაქვთ კიდევ უფლება თქვენ მრევლს პატიოსნებაზე უქადაგოთ?!.

ელისე მოსეხძე შავგულიძე.

რედაკტ.-გამომცემელი რომანოზ ს. ფანცხავა.

ნებართულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ძმობა“ ქარვასლ. ქ. სახ. ჩარექოვისა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის. გაზეთ

„სახალხო ფურცელზე“

სურათებიანი დამატებით გაზეთი ღირს წლიურად 9 მ. 10 შაური ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. 10 შაური თვით 18 შაური.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **პრემიას**, თხზულებას თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობას შესახებ.

თხზულების დაწერაში მონაწილეობას იღებენ:

აბაშიძე, კიტა.	ლასხიშვილი, გიორგი.	ფირცხალავა, სამსონ.
გედევანიშვილი, იოსებ.	მაიაშვილი, გიორგი.	ქიქოძე, გერონტი.
		ღლონტი, თევდორე.
გველესიანი, გრიგოლ.	რცხილაძე, გრიგოლ.	ჯაჯანაშვილი, არჩილ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: თფილისი, სასახლის ქუჩა, № 6.

რედაქტორ-გამომცემელი: **დავით ჯოჯუაძე.**